ბ. ბუაჩიძე

ჰანიბალი

გამომცემლობა „განათლება"
თბილისი — 1977

36(3)
ბ, 361

ნაშრომში II პუნიკური ომის ფონზე ასახულია ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მხედართმთავრის, კართაგენელი ჰანიბალის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი ბრძოლა რომის რესპუბლიკის წინააღმდეგ.

Б $\frac{10600-061}{М-602(08)77}$ 142—77

© გამომცემლობა „განათლება", 197

წინათქმა

ჰანიბალზე, გენიალურ კართაგენელ სარდალზე, სხვადასხვა თვალთახედვით უამრავი ნაშრომი დაიწერა. ბრწყინვალე სამხედრო გენიის წყალობით მან უფსკრულის პირას მიიყვანა აღმავლობის გზაზე მდგარი რომის რესპუბლიკა, რომელსაც შემდგომში აღარასოდეს დამუქრებია ესოდენ სერიოზული სასიკვდილო საფრთხე. ჰანიბალია II პუნიკური ომის მთავარი ფიგურა. ეს ომი I პუნიკური ომის გაგრძელება იყო. ხოლო III პუნიკური ომი — წინა ორი ომის ლოგიკური შედეგი. კართაგენი დაემხო. იგი დაანგრიეს და გადახნეს. ამიერიდან მისი სახელი ისტორიის კუთვნილებაღა გახდა. რომმა გაიმარჯვა ტოტალურ ომში. მან გზიდან ჩამოიცილა მრისხანე მოწინააღმდეგე. ამიერიდან დიდხანს რომის იარაღის ტრიუმფული მარში უზრუნველყოფილი იყო, მაგრამ ინტერესი პუნიკური ომებისადმი, კერძოდ კი II პუნიკური ომისადმი, დღემდე არ განელებულა, რადგან ამ ომში კართაგენელებს რომის წინააღმდეგ წინ მიუძღოდა უბადლო სარდალი, რომლის გვერდზეც კაცობრიობამ ხელზე ჩამოსათვლელ სულ რამდენიმე სახელს მიუჩინა ადგილი. და მიუხედავად იმისა, რომ დიდი კართაგენელის მოწინააღმდეგე სციპიონ აფრიკელი უდავოდ ნიჭიერი მხედართმთავარი იყო, პირუთვნელმა მატიანემ გენიალურ სარდალთა თანავარსკვლავედში მისი სახელი არ შეიტანა.

ჰანიბალის შემდეგ ისტორიამ მრავალი ნიჭიერი მხედართმთავარი წარმოშვა, მაგრამ არც ერთ მათგანს არ დაუჩრდილავს კართაგენელი სარდლის სახე. ჰანიბალმა დიდი გავლენა იქონია მის მომდევნო თაობებზე. ძნელად თუ შეხვდებით ისეთ პოლიტიკურ თუ სამხედრო მოღვაწეს, რომელსაც გვერდი აევლოს ჰანიბალისათვის. ჰანიბალმა სრულიად დამსახურებულად მოიპოვა გენიალური სარდლის სახელი. სპეციალისტები განცვიფრებულნი არიან მი-

სი სამხედრო ხელოვნებით, ჭკუით, გაბედულებით. ჰანიბალს სწავლობენ როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს, სტრატეგს, ტაქტიკოსს.

ქართულ ენაზე არ გვაქვს ჰანიბალისადმი მიძღვნილი ცალკე ნაშრომი, თუმცა აქვე ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ პროფ. ლევან სანიკიძის დამხმარე სახელმძღვანელოში „ანტიკური ქვეყნების ისტორია, პუნიკური ომების ეპოქა" (თბილისი, 1963), საინტერესოდ და ვრცლადაა გაშუქებული ჰანიბალის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ნაშრომში სქემები და ილუსტრაციები გამოვიყენეთ შემდეგი გამოცემებიდან: Е. А. Разин. „История военного искусства", т. I, М., 1955; И. Ш. Кораблев. Ганнибал. М., 1976. Тит Ливий. Война с Ганнибалом. Москва, 1968; Денисон. „История конницы", I, С.-Петербург, 1897. თარიღები მითითებულია ძველი წელთაღრიცხვით.

წყაროები და ისტორიოგრაფია

ჰანიბალის შესახებ ცნობებს გვაწვდიან ანტიკური ავტორები: პოლიბიოსი, ტიტუს ლივიუსი, პლუტარქე, აპიანე, ფლორუსი და სხვ. პოლიბიოსი წერს, ისტორიკოსის დანიშნულება ის კი არ არის, რომ უცნაური ამბებით მკითხველი შეაძრწუნოს, არც ის, რომ მართლის მსგავსი ამბები გამოიგონოს, არამედ ის, რომ ზუსტად აღნუსხოს, რაც სინამდვილეში მოხდა ან ითქვაო[1].

თავისი ისტორიის სარწმუნოობის შესახებ პოლიბიოსი ამბობს, იმიტომ ვწერ ასე დაბეჯითებით პუნიკური ომების შესახებ, რომ მრავალი ცნობა ომის მონაწილეებმა გადმომცეს და ბრძოლის ადგილები თვითონ მინახავსო.

ტიტუს ლივიუსი ძირითადად პოლიბიოსს ეყრდნობა, ზოგჯერ მეტისმეტად გულუბრყვილოდ ხსნის მოვლენების მიზეზებს, მაგრამ მხატვრულად აგვიწერს მეორე პუნიკური ომის ისტორიას, რომელშიც აგრერიგად გამომჟღავნდა ჰანიბალის გენიალური ნიჭი და უნარი: „მე მოგითხრობთ მსოფლიოში დღემდე მომხდარ ყველაზე დიდი ომის ამბავს, — წერს იგი — მეორე პუნიკური ომის ამბავს, — რომელსაც კართაგენელები გენიალური სარდლის მეთაურობით დიდხანს ეწეოდნენ რომაელი ხალხის წინააღმდეგ.

მანამდე ბრძოლის ველზე არასოდეს შებმულან ესოდენ მძლავრი და საუკეთესოდ აღჭურვილი სახელმწიფოები ან ტომები. ამასთან, მოწინააღმდეგეებმა კარგად გაიცნეს ერთმანეთი პირველ პუნიკურ ომში, ოცდაცამეტ წელი რომ გაგრძელდა და ბოლოს რომის გამარჯვებით დამთავრდა. ომის ბედი იმდენად ცვალებადი იყო, რომ ხშირად გამარჯვებული უფსკრულის პირას იდგა, ორივე

---

[1] Полибий. Всеобщая история в сорока книгах. Перевод с греческого Ф. Г. Мищенка. Т. I, Москва, 1890, с. 276.

მხრივ ძალები განუზომელი იყო, ხოლო ურთიერთზიზღი კიდევ უფრო მეტი"[2].

აპიანეს შესახებ კ. მარქსი ფ. ენგელსისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავდა: „საღამოობით, დასასვენებლად ვერთობოდი აპიანეს „სამოქალაქო ომებით რომში", ბერძნულ ორიგინალში. შეტად ძვირფასი წიგნია. შთამომავლობით იგი ეგვიპტელია. შლოსერი ამბობს, რომ მას „სული არა აქვს". ალბათ იმიტომ, რომ იგი ცდილობს ჩაწვდეს ამ სამოქალაქო ომების მატერიალურ საფუძვლებს"[3].

პლუტარქეს ცნობები სავსეა შეთხზული ამბებით, მაგრამ მისი „პარალელური ბიოგრაფიები", კრიტიკულად განხილული, ფრიად ძვირფასი მასალაა ჰანიბალის მთლიანი პორტრეტის დასადგენად.

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ანტიკური ისტორიის შესწავლის საქმეს საკუთარი კლასობრივი პოზიციებიდან უდგება.

ცნობილი ბურჟუაზიული მეცნიერი თ. მომზენი კართაგენში კაპიტალისტურ წყობილებას ხედავს[4].

ბურჟუაზიული მეცნიერების უმრავლესობა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ყოველივე ბერძნულსა და რომაულზე, მაშინ როდესაც ანტიკური სამყაროს დანარჩენ ხალხთა ისტორიის ძირითადი საკითხები ზოგჯერ შეუსწავლელი რჩებათ[5].

ჰანიბალის სამშობლო — კართაგენი

1975 წლის ივლისში პრესა იტყობინებოდა, რომ კანადის ქალაქ ბრომტვილის მახლობლად (კვებეკის პროვინცია) აღმოაჩინეს სამი ქვა ლიბიური წარწერებით, რომლებიც გაშიფრა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰოვარდ ფელმა. მასში ნათქვამია:

---

[2] Тит Ливий. Война с Ганнибалом. С латинского пересказал Симон Маркиш. М., 1968, с. 4.

[3] ს. ი. ყოველიოვი, მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ. თბილისი, 1937, გვ. 242.

[4] Т. Моммзен. История Рима. Т. I. Москва, 1936, с. 470.

[5] Е. М. Штаерман. Современная американская литература по истории Древнего Рима. Вестник древней истории, № 4, 1949, с. 201—203.

„ექსპედიცია, რომელმაც შირამ ღმერთის ნებით გადასცურა ოკეანე, რათა ხელთ ეგდო ტერიტორია“.

„ხატამ, რომელმაც მდინარით მიაღწია ამ ადგილს, ღუზა ჩაუშვა და წარწერა გააკეთა ამ ქვაზე“;

„ხანომ, ტამუს შვილმა, მიაღწია ამ ადგილს მთაზე“[6].

მეცნიერ-არქეოლოგის, ლავალის უნივერსიტეტის პროფესორის ტ. ლის აზრით, კვებეკის პროვინციაში აღმოჩენილი წარწერები მოწმობენ, რომ კართაგენის მცხოვრებლები ჩრდილოეთ ამერიკაში ჩასულან 1992 წლით ადრე, ვიდრე ამერიკას კოლუმბი აღმოაჩენდა.

ამ სენსაციურმა ცნობამ კიდევ ერთი კორექტივი შეიტანა ჩვენს ცოდნაში ამერიკის აღმოჩენის შესახებ.

კართაგენი! რამდენი საუკუნე იმძლავრა მან ხმელთაშუაზღვეთის აუზში. რამდენმა მოწინააღმდეგემ მოიხარა ქედი მის წინაშე. თითქოს უბრალო შემთხვევის წყალობით აღმოცენდა ეს პატარა ფინიკიური კოლონია, რომელიც შემდეგ უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა.

კართაგენი ტვიროსელებმა დააარსეს. თვით ტვიროსი კი ტროას დანგრევამდე ერთი წლით ადრე დაუარსებიათ სიდონელებს.

თანამედროვე ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ტვიროსი დაანგრიეს „ზღვის ხალხებმა“, მაგრამ შემდეგ სიდონელებს იგი აღუდგენიათ. ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა და სტრატეგიულმა მდებარეობამ განაპირობა ტვიროსის გაძლიერება.

პროფ. ი. შიფმანი იმოწმებს აპიანეს ცნობას, რომელიც გადმოგვცემს, კართაგენი ფინიკიელებმა დააარსეს ტროას დაცემამდე ორმოცდაათი წლით ადრე[7]. იქვე შიფმანს მოჰყავს აპიანეს მეორე ცნობა, რომელიც, თავის მხრივ, მიუთითებს კართაგენულ და რომაულ წყაროებზე, და წერს, რომ კართაგენი დააარსა ტვიროსის მეფის ასულმა დიდონა-ელისამ, რომელიც დამარცხდა თავის ძმასთან — პიგმალიონთან ტახტისათვის ბრძოლაში.

საინტერესოა ერთი გადმოცემა ელისას შესახებ: „მეფის ასულს ფინიკიურად ელისა ერქვა და ტვიროსელი მეფის პიგმალი-

---

[6] გაზ. „კომუნისტი“, 1975, 27. VII. № 175.

[7] И. Ш. Шифман. Возникновение Карфагенской державы. М.—Л., 1963, с. 37—38.

ონის და იყო; როცა ჭმარი მოუკლეს, თავისი ქონება ხომალდზე დატვირთა და რამდენიმე მოქალაქესთან ერთად სამშობლოს განშორდა. მრავალი გასაჭირის გადატანის შემდეგ ლიბიის სანაპიროს მიაღწია. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ელისას დიდონა შეარქვეს. მან დააარსა დასახელებული ქალაქი"[8].



ქართაგენი.

ელისასთვის ცოლობა უთხოვია ლიბიელთა მეფეს. ამ შეუღლებისათვის ბხარი დაუქერიათ ელისა-დიდონას თანამოქალაქეთ. მაგრამ ქალს უარი უთქვამს, ალუმართვინებია კოცონი და მასში ჩანთქმულა[9].

ისტორიამ ქართაგენის დაარსების რამდენიმე თარიღი შემოგვინახა. ესენია: 814 წ., 824 წ. და 826 წ.

---

[8] ი. შ. შიფმანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 38.

[9] იქვე.

პროფ. ი. შიფმანი, ყველა მონაცემების ანალიზის საფუძველზე, კართაგენის დაარსების თარიღად თვლის 825 წელს.

თუ როგორი იყო კართაგენის სახელმწიფო წყობა ამ დროს, ბურუსითაა მოცული. ელისა-დიდონა მეფეა. აქვე არის სენატი და სახალხო კრება.

VII ს-ის მეორე ნახევარში კართაგენმა გატეხა ფინიკიური ქალაქის გადესის წინააღმდეგობა ესპანეთში, რის შემდეგაც სხვა ფინიკიური კოლონიებიც იგდო ხელთ. ამის შემდეგ ესპანეთში დიდი ხნის განმავლობაში ქ. ტარტესი მარტოდმარტო ებრძოდა კართაგენელებს. შემდეგ მათ დაუკავშირდნენ ფოკეელები, რომლებიც საზღვაო ბრძოლებში ამარცხებდნენ ხოლმე კართაგენელებს.

კართაგენელების პოლიტიკის შესახებ სიცილიაში VII—VI საუკუნეებში მეტად მცირე ცნობები გვაქვს. კართაგენელთა ჯარების სათავეში ყოფილა მალხი, რომელიც დაახლოებით VI საუკუნის 60—50-იან წლებში ცხოვრობდა. მალხი დამარცხებულა სარდინიაში და კართაგენის ხელისუფალთ განდევნა მიუსჯიათ, რის წინააღმდეგაც წასულა ჯარი. შემდეგ მალხს ხელთ ჩაუგდია ძალაუფლება, მაგრამ მისთვის ბრალი დაუდვიათ მეფის ხელისუფლების უზურპაციაში და დაუმხიათ.

მალხის შემდეგ ხელისუფლებას სათავეში მოქცევია მაგონი, რომელსაც ბოლომდე მიუყვანია კართაგენის სახელმწიფოს შექმნის საქმე. მას აქტიური მონაწილეობა მიუღია მალხის დამხობაში და ხალხთა მასების ანტიოლიგარქიული მოძრაობის ჩახშობაში. მაგონის სახელს უკავშირებენ დაქირავებული არმიის შექმნას, რომელიც, ცხადია, უფრო ძლიერი იყო სახელდახელოდ შეგროვილ სახალხო ლაშქარზე და თვისებრივად განსხვავდებოდა მისგან. ამის შემდეგ სახალხო ლაშქარი მცირე როლს ასრულებდა. დაქირავებული ჯარის შექმნა და მისი დაქვემდებარება არა სახელმწიფოსადმი, არამედ პირადად სარდლისადმი, ამ შემთხვევაში მაგონისადმი, საშუალებას აძლევდა მზედარდმთავრებს ხელთ ეგდოთ მძლავრი იარაღი. დაქირავებული არმია კართაგენში გახდა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ძალა. მაგონის რეფორმა ანტიდემოკრატიული იყო, რადგან დაქირავებული ჯარის შექმნამ ხელისუფლებას ჩამოაშორა კართაგენის პლებსი.

535 წელს კართაგენისა და ეტრუსკების გაერთიანებულმა ფლოტმა დაამარცხა ფოკეელების ფლოტი, რის შემდეგაც ბერძნები იძულებული გახდნენ ესპანეთი დაეტოვებინათ. ტარტესი იზოლირებული აღმოჩნდა.

ბერძნები შეეცადნენ ფეხი მრეკიდებინათ ფინიკიურ-კართაგენულ გავლენის სფეროში. სპარტის მეფე დორიევსმა ერიქსთან დააარსა კოლონია ჰერაკლეა. კართაგენმა ეს თავისი ინტერესებისათვის მუქარად ჩათვალა და ომი დაიწყო ჰერაკლეას წინააღმდეგ. მას ამ ომში მხარს უჭერდნენ ეგესტა და სიცილიის ქალაქები. ჰერაკლეას წინააღმდეგობა გატეხეს. დორიევსი დამარცხდა.

ირანელთა შეჭრამ საბერძნეთში V საუკუნეში მნიშვნელოვნად შეცვალა მდგომარეობა დასავლეთ ხმელთაშუაზღვეთში. გაჩნდა რეალური საფრთხე, რომ სპარსელები ჯერ კამბისესის მეფობის დროს, ხოლო შემდეგ დარიოსისა და ქსერქსეს დროს გაილაშქრებდნენ კართაგენის წინააღმდეგ, მაგრამ, სხვადასხვა მიზეზის გამო, სპარსეთის ეს განზრახვა ჩაიშალა.

V ს-ის შუახანებში კართაგენი მეტად რთული სახელმწიფო ორგანიზმი იყო. კართაგენის ხელისუფალნი ყოველმხრივ ცდილობდნენ, რომ მათი ქვეშევრდომნი არ გაერთიანებულიყვნენ მეტროპოლიის წინააღმდეგ და ამას დიდხანს წარმატებითაც ახერხებდნენ. კართაგენს მათთან სხვადასხვა ურთიერთობა ჰქონდა: ზოგი მისი მოკავშირე იყო, ზოგი კოლონია, ხოლო ზოგი მის პროტექტორატში შედიოდა. ყველაზე უუფლებო ნაწილს შეადგენდნენ ე. წ. „ქვეშევრდომნი“. ამ კატეგორიას ძირითადად ეკუთვნოდნენ ლიბიელები. კართაგენის არმიაში ლიბიელები ძალდატანებით მიჰყავდათ, მაშინ როცა იბერები ან მოკავშირეები, ან თავისუფლად დაქირავებულნი იყვნენ.

კართაგენის პოლიტიკური წყობა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ყოფილა. მაგალითად, VI ს-ის ბოლოს და V ს-ის შუახანებში ქვეყანაში სამხედრო დიქტატურა იყო. V ს-ის მეორე ნახევარში კართაგენის მონათმფლობელურმა ოლიგარქიამ შექმნა 104-ის საბჭო, რითაც შეზღუდა მხედართმთავართა დიქტატურა.

კართაგენის უმაღლესი მაგისტრატები იყვნენ სუფეტები, რაც ბერძნულ „მეფეს“ ეთანაბრება. ერთი ვადით ირჩევდნენ ორ სუფეტს. ძალაუფლების ეს დანაწილება აბრკოლებდა ერთმმართ-

ველური დიქტატურის დამყარებას. სუფეტებს არ ჰქონდათ სამხედრო ძალაუფლება, არ შეიძლებოდა ორივე სუფეტი ერთი გვარისა ყოფილიყო. არისტოტელე ამაში ხედავდა კართაგენელთა სახელმწიფო წყობილების დიდ უპირატესობას. იგი კართაგენელთა სახელმწიფო წყობილებას ლაკედემონელებისას ადარებს, სადაც „ზოგიერთი ელემენტი დემოკრატიისაკენ იხრებოდა, ხოლო ზოგიერთი — ოლიგარქიისაკენ"[10]. ა. ვ. მიშულინი ასეთ წყობილებას მონათმფლობელურ-ოლიგარქიულ-ფედერაციულ რესპუბლიკას უწოდებს[11].

ოლიგარქიული ხელისუფლების ორგანოები რეორგანიზებულ იქნა. ათის საბჭო გაზარდეს ოცდაათის საბჭოდ და ის იქცა კართაგენის უმაღლეს ორგანოდ. მის ფუნქციებში შედიოდა საგარეო საქმეებიც. ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხზე სუფეტებთან ერთად გადაწყვეტილებას იღებდა უხუცესთა საბჭო, რომლის წევრთა რიცხვი 100-დან 300 კაცამდე აღწევდა.

კართაგენში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ხუთის კოლეგია — „პენტარქია", რომლის ფუნქციაც იყო 104-ის საბჭოს წევრების დანიშვნა. პენტარქიები სოციალური ბუნებით ოლიგარქიული ხელისუფლების ციტადელებს წარმოადგენდნენ.

დემოკრატიულ ორგანოებს კართაგენში არ ჰქონდათ რაიმე სერიოზული ძალა. სახალხო კრების მთავარი ფუნქცია იყო მაგისტრატების არჩევა, მაგრამ რადგან არჩეული პირი წარჩინებული და მდიდარი უნდა ყოფილიყო, პლებსს არ ჰქონდა საშუალება რომელიმე თანამდებობაზე თავისი წარმომადგენელი დაენიშნა. ნამდვილ ძალაუფლებას სახალხო კრება მხოლოდ მაშინ იღებდა, როცა ორ ოლიგარქიულ ჯგუფს შორის უთანხმოება წარმოიშობოდა. ასეთ შემთხვევაში იგი უმაღლესი განმკარგულებელი ორგანო ხდებოდა.

„ჩვენ არ ვიცით არც ერთი შემთხვევა, — წერს პროფ. ი. შიფმანი, — რომ სახალხო მასები, თვით ყველაზე უფრო ძლევამოსი-

---

[10] Аристотель. Политика. Перевод С. А. Жебелева. Кн. II, гл. 8, 2—8. См. Струве В. В. Хрестоматия по древней истории, т. II, с. 41.

[11] Мишулин А. В. Карфагенская держава до пунических войн. ВДИ, № 4, 1948, с. 38.

ლების პერიოდში III—II საუკუნეებში, რომელიმე ოლიგარქიული ხროვის თანამგზავრნი არ ყოფილიყვნენ"[12].

სოფლის მეურნეობის ძირითადი რაიონი კართაგენში იყო მდ. ბაგრადის ველი, სადაც კართაგენელ არისტოკრატებს დიდი მამულები ჰქონდათ. მიწას ამუშავებდნენ მონები, ან ადგილობრივი ლიბიელები. სოფლის მეურნეობა რაციონალურად იყო მოწყობილი. კ. მარქსი ამის შესახებ წერს: „ის სიწმინდე (აბსტრაქტული გარკვეულობა), რომლითაც მოვაჭრე ხალხები — ფინიკიელები, კართაგენელები, ძველს ქვეყანაში გამოჩნდნენ, სწორედ მიწათმოქმედ ხალხთა გაბატონების მიზეზითაა მოცემული. კაპიტალი სავაჭრო ან ფულადი სახით ჩნდება სწორედ ამ აბსტრაქციაში იქ, სადაც კაპიტალი ჯერ კიდევ არ არის საზოგადოების გაბატონებული ელემენტი. ლომბარდიელებს, ებრაელებს იგივე ადგილი უკავიათ მიწათმოქმედების მწარმოებელ საზოგადოებათა მიმართ საშუალო საუკუნეებში"[13].

კართაგენი ძირითადად საშუამავლო ვაჭრობას ეწეოდა, თუმცა აქაურ ვაჭრებს ადგილობრივი წარმოების საგნებიც გაჰქონდათ. საშუამავლო ვაჭრობამ განაპირობა კართაგენის ეკონომიკა და მისი ხასიათი.

III ს-ის მეორე ნახევარში კართაგენში ბრძოლა გამწვავდა ორ ოლიგარქიულ ჯგუფს შორის — აგრარულ და სავაჭრო-სამრეწველო ჯგუფებს შორის. აგრარული ჯგუფი, რომლის სათავეშიაც ჰანონ დიდი იდგა, აფრიკაში დაპყრობების მომხრე იყო, ხოლო სავაჭრო-სამრეწველო ჯგუფი კი დაინტერესებული იყო ზღვისიქითა დაპყრობებით. ამ ჯგუფის სათავეში ბარკიდების გვარი იდგა.

პოლიბიოსი III ს-ის კართაგენის შესახებ წერს, ამ დროისათვის „კართაგენი უკვე დაბერდა, ხოლო რომი, ყოველ შემთხვევაში სახელმწიფო დაწესებულებების მხრივ, განსაკუთრებით გაიფურჩქნაო"[14].

კართაგენსა და რომს შორის თავდაპირველად მეგობრული ურთიერთობა ყოფილა. მათ შორის პირველი ხელშეკრულება დაიდო ლუციუს იუნიუს ბრუტუსისა და მარკუს ჰორაციუსის დროს.

---

[12] ი. შ ი ფ მ ა ნ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 102.
[13] ს. ი. კ ო ვ ა ლ ი ო ვ ი, მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ, გვ. 49.
[14] პ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 58.

სამეფო ხელისუფლების გაუქმების შემდეგ პირველი კონსულების დროსო, წერს პოლიბიოსი. მაგრამ მას შემდეგ რაც რომაელებმა პიროსი დაამარცხეს და ფეხი მოიკიდეს რეგიუმში, ხოლო კართაგენი კუნძულ სიცილიაზე გამაგრდა, აშკარა შეიქნა, რომ მათ შორის შეტაკება გარდაუვალი იყო. რომის გაძლიერებული მადა ვერ იტანდა, რომ სიცილია, იტალიის ეს ბუნებრივი ნაწილი, მას არ ეკუთვნოდა. კართაგენს კი აზრადაც არ მოსდიოდა სიცილიის უბრძოლველად დათმობა[15].

პირველი პუნიკური ომის მთავარი ასპარეზი კუნძული სიცილია იყო. ხმელეთზე რომაელებმა წარმატებებს მიაღწიეს, ზღვაზე კი კართაგენელები ბატონობდნენ. მაგრამ რომაელებმა მალე აქაც იმარჯვეს. „აგრარული ქვეყანა, ძლიერი თავისი გლეხური არმიით, ან საზღვაო სახელმწიფოდ უნდა გადაქცეულიყო, ან დასავლეთ ხმელთაშუაზღვეთში ხელმძღვანელობის დაჩემებაზე უარი ეთქვა... ძალთა უდიდესი დაძაბვით და ბერძენ ინსტრუქტორთა დახმარებით, რომაელებმა განსაცვიფრებლად მოკლე დროში შექმნეს 120 დიდი სამხედრო გემისაგან შემდგარი ფლოტი"[16]. გარდა ამისა, რომაელებმა მშვენივრად გამოიყენეს საბორდაჟო კაუჭები, რომელთა საშუალებითაც მათ კართაგენულ სწრაფმავალ გემებს მანევრირება მოუსპეს, თან ზღვაზედაც გაავრცელეს რომაული ქვეითი ჯარის აშკარა უპირატესობა. კართაგენელებმა დაკარგეს ზღვაზე ბატონობა.

ფრ. ენგელსი I პუნიკურ ომში მომხდარი საზღვაო ბრძოლების შესახებ წერს: პირველი პუნიკური ომის შემდეგ, რომელმაც ბოლო მოუღო კართაგენელთა საზღვაო ძლიერებას, ძველი მსოფლიოს ისტორიაში აღარ ყოფილა არც ერთი საზღვაო ბრძოლა, ოდნავ პროფესიულ ინტერესს რომ იწვევდესო[17].

საზღვაო ბრძოლებში გამარჯვების შემდეგ, რომაელებმა დესანტი აფრიკაშიც გადასხეს, მაგრამ რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ისინი დამარცხდნენ. 241 წლისათვის ორივე მებრძოლი მხარე გამოფიტულია. ეგატის კუნძუ-

---

15 პ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 266.

16 Всемирная история. Т. II, 1956, с. 293.

17 Фр. Э н г е л ь с. Избранные военные произведения. Т. I, М., 1940, с. 257.

ლებთან კართაგენის ფლოტის დამარცხება ზავის დასადებ საბაბად იქცა. საზავო პირობების შესახებ ცნობას გვაწვდის პოლიბიოსი: „კართაგენელები ვალდებულებას კისრულობენ დაცალონ სიცილია და იტალიასა და სიცილიას შუა მდებარე ყველა კუნძული... არ აუტეხონ ომი არც სირაკუზელებს და არც მათ მოკავშირეებს, რომაელებს უსასყიდლოდ დაუბრუნონ ყველა ტყვე და 20 წლის განმავლობაში გადაუხადონ მათ 2 ათას 200 ფინიკიური ტალანტი ვერცხლი"[18].

რომის სენატმა ხელშეკრულების რატიფიკაცია მხოლოდ მაშინ მოახდინა, როცა მასში შეიტანეს შემდეგი ცვლილებები: კონტრიბუციის ვადა 20 წლიდან 10-მდე შეამცირეს, ხოლო გადასახდელი თანხა 3200 ტალანტამდე გაზარდეს.

აკად. ს. ა. ჟებელიოვის აზრით, პირველ პუნიკურ ომში საქმე გადაწყვიტა რომაელების მიერ ძლიერი ფლოტის აგებამ. „პირველივე შეტაკებისას ახალგაზრდა რომაულმა ფლოტმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ამან არსებითად გადაწყვიტა ომის ბედი"[19]. ხოლო ჰ. დელბრიუკი წერს: „თუკი ბოლოს და ბოლოს, რომაელებმა გაიმარჯვეს, ამაში მათ დიდი დახმარება გაუწია... რომის სახელმწიფოში მოქცეულმა დიდმა იტალიკურმა გაერთიანებამ. იგი საშუალებას აძლევდა რომაელებს განადგურებული და დამსხვრეული ფლოტის ნაცვლად სასწრაფოდ ახალი ფლოტი ჩაეშვათ წყალში"[20].

I პუნიკური ომის დამთავრებისთანავე კართაგენში აჯანყებამ იფეთქა, იგი წალეკვით ემუქრებოდა კართაგენის მონათმფლობელურ რესპუბლიკას. აჯანყება გაგრძელდა სამ წელიწადს (241—238 წწ.). მასში მონაწილეობას იღებდნენ უცხო დაქირავებულნი და ადგილობრივი ჩაგრული მოსახლეობა. აჯანყებულთა რიცხვმა 70 ათასს მიაღწია. აჯანყება ასე დაიწყო:

კართაგენელებს ლილიბეუმიდან აფრიკაში უნდა გადაეყვანათ დაქირავებული ჯარი, დაახლოებით 20 ათასი კაცი და მიეცათ მათთვის ჯამაგირი, ხოლო შემდეგ დაეგზავნათ სამშობლოში. ლილი-

---

18 პ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 271.

19 С. А. Ж е б е л е в а. История Рима, Л., 1948, с. 196.

20 Г. Д е л ь б р ю к. История военного искусства в рамках политической истории. Т. I. М., 1936, с. 252.

ბეუმის კომენდანტმა ჰისგონმა გადაწყვიტა ისინი მცირე ჯგუფებად გაეგზავნა კართაგენში, რადგან ამდენი შეიარაღებული ჯარისკაცის თავმოყრა დედაქალაქში კარგს არაფერს მოასწავებდა. ი. შ. კორაბლიოვი მიუთითებს, რომ დაქირავებულთა შორის ამ დროს დისციპლინა შერყეული იყო. თან კართაგენის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ჯამაგირის ნაწილი არ გადაეხადა დაქირავებულთათვის. ამან. ცხადია, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია დაქირავებულთა შორის. ქალაქში ნორმალური ცხოვრება დაირღვა. გახშირდა ძარცვა და მკვლელობა. ხელისუფლებამ გადაწყვიტა დაქირავებულნი ქვეყნის სამხრეთით, ქალაქ სიკაში გადაეყვანათ, რომელიც კართაგენის სამფლობელოთა ცენტრში მდებარეობდა. კართაგენის მმართველნი ფიქრობდნენ, რომ ამ მოქმედებით ისინი უკმაყოფილო დაქირავებულთ დედაქალაქიდან გაიყვანდნენ და იქ, თავიანთ სამფლობელოთა შუაგულში, იოლად გაუსწორდებოდნენ, მაგრამ ანგარიშში მოტყუვდნენ.

სიკაში დაქირავებულებთან გამოცხადდა ლიბიის მმართველი— კართაგენელი სტრატეგოსი ჰანონი, რომელმაც სცადა ჯარისკაცებისათვის განემარტა კართაგენელთა უმძიმესი მდგომარეობა და მოითხოვა, რომ მათ ჯამაგირის ნაწილზე უარი ეთქვათ. ჰანონის სიტყვამ აღავსო ჯარისკაცთა მოთმინების ფიალა. ისინი დაიძრნენ კართაგენისაკენ და შეჩერდნენ ქალაქ ტუნესთან, კართაგენის მისადგომებთან.

ახლა მიხვდნენ კართაგენელები, თუ რა შეცდომა ჩაიდინეს. ქვეყანას მრისხანე საფრთხე დაემუქრა. კართაგენის საბჭომ დაქირავებულებთან მოსალაპარაკებლად ჰისგონი გაგზავნა, სწორედ ის ჰისგონი, რომელმაც მოაწყო დაქირავებულთა ევაკუაცია ლილიბეუმიდან.

ჰისგონი ტუნეტში გამოცხადდა და ჯამაგირის დარიგება დაიწყო. თითქოს კონფლიქტი უნდა მოგვარებულიყო, მაგრამ ამ დროს კამპანიელმა სპენდიუსმა, გაქცეულმა მონამ, ჯარისკაცებს მოუწოდა არ დაჰყოლოდნენ ჰისგონის სიტყვებს. იგი შიშობდა, რომ არსებული რომაული კანონი, როგორც მოღალატეს, დასჯიდა. სპენდიუსის გარდა უკმაყოფილოთა შორის გამოირჩეოდა ლიბიელი მათოსი, რომელიც თავიდანვე კართაგენთან ყოველგვარი შეთანხმების მოწინააღმდეგე იყო. მათოსმა ლიბიელებს მოაგონა, რომ

თუკი კართაგენელები მიაღწევდნენ აჯანყებულებთან კონფლიქტის მოწესრიგებას, უცხოელი დაქირავებულნი წავიდოდნენ თავიანთ ქვეყნებში და მოწინააღმდეგის პირისპირ მხოლოდ ლიბიელები დარჩებოდნენ, რომელთა დამარცხება კართაგენელებს არ გაუჭირდებოდათ.

აჯანყებულებმა დააპატიმრეს ჰისგონი, მისი თანმხლები კართაგენელები და ხელთ იგდეს მთელი თანხა, რომელსაც ისინი არიგებდნენ. ახლა კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებაზე ლაპარაკიც აღარ შეიძლებოდა. აჯანყებულთ შეუერთდა კართაგენიდან გაქცეული მრავალი მონა. მათოსმა და სპენდიუსმა მოწოდებით მიმართეს ლიბიურ ქალაქებს, მოეშორებინათ კართაგენელთა უღელი და დახმარებოდნენ აჯანყებულთ, მეამბოხეთა, დასახმარებლად ტუნისში სურსათით დატვირთული ლიბიელთა მრავალი რაზმი მივიდა.

„აჯანყებამ,—წერს ი. შ. კორაბლიოვი,—თანდათან დაკარგა ჯარისკაცთა ბუნტის ნიშან-თვისებები და გადაიზარდა ჩაგრულთა მძლავრ მოძრაობაში მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

მათოსისა და სპენდიუსის სალაროში უზარმაზარმა სახსრებმა მოიყარა თავი. მათ თავიანთ ამხანაგებს არათუ ჯამაგირი გადაუხადეს, არამედ დიდი თანხა გადაინახეს კიდეც. დაქირავებულ „ჯარისკაცთა ბუნტი“ თანდათან გადაიზარდა სახალხო-განმათავისუფლებელ ომში — ლიბიის ომში, როგორც მას წყაროები იხსენიებენ“[21].

აჯანყებულებმა ორად გაყვეს თავიანთი ძალები და ალყა შემოარტყეს უტიკასა და ჰიპონს, რითაც კართაგენი მოკვეთეს აფრიკის მატერიკს.

უარმიოდ დარჩენილმა კართაგენელებმა საგანგებო ღონისძიებები განახორციელეს. მათ თავი მოუყარეს ახალ დაქირავებულ ჯარს, ხელახლა აღჭურვეს ფლოტი, მობილიზაცია უყვეს მოქალაქეთ. კართაგენის არმიის სარდალი გახდა ის ჰანონი, რომელმაც აჯანყების დასაწყისში ასე უხეიროდ წარმართა დაქირავებულებთან მოლაპარაკება.

ჰანონმა გასწია უტიკასკენ. მისმა არმიამ, რომელსაც წინ 100 სპილო მიუძღოდა, გააპო მოწინააღმდეგის თავდაცვა. აჯანყებულნი

---

[21] ი. შ. კ ო რ ა ბ ლ ი ო ვ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 44—45.

დამარცხდნენ და გაიფანტნენ. მაგრამ ჰანონმა, ისე რომ ბოლომდე არ მიიყვანა წარმატება, შეწყვიტა ბრძოლა და დასასვენებლად უტიკაში წავიდა. ამით ისარგებლეს აჯანყებულებმა, თავი მოუყარეს გაფანტულ ძალებს, თავს დაესხნენ კართაგენელებს, მრავალი გაჟლიტეს და ჰანონის მთელი აღჭურვილობა და აღალი იგდეს ხელთ. რამდენიმე დღის შემდეგ ჰანონმა კვლავ გაუშვა ხელიდან გამარჯვება.

აჯანყება უბადლო ოსტატობით აღწერა გ. ფლობერმა „სალამბოში“.

„აქ ნახავდით ყოველი ეროვნების კაცს — ლიგურიელთ, ლუზიტანიელთ, ბალეარელთ, ზანგებს და რომიდან ლტოლვილთ. დორიული მძიმე კილოს გვერდით ისმოდა საბრძოლო ეტლებივით გრუხუნა კელტური სიტყვები, იონიური დაბოლოებანი ტურების მჭახე კივილის დარ უდაბნოს თანხმოვნებს ეჯახებოდნენ. ბერძენს იცნობდით თხელი აღნაგობით, ეგვიპტელს — აწოწილი მხრებით, კანტაბრიელს — მსხვილი კანჭებით. კარიელნი ამაყად არხევდნენ მუზარადებზე მიმაგრებულ ფრთებს, კაპადოკიელ მშვილდოსნებს ბალახდა წვენით დიდრონი ყვავილები დაეხატათ სხეულზე, ხოლო რამდენიმე საყურეებიანი ლიდიელი, ქალის კაბაში გამოწყობილი... შეექცეოდა ტაბლას. სხვანი საზეიმოდ სინგურით მოთითხნილიყვნენ და მარჯნის ქანდაკებებს ჰგავდნენ“[22].

კართაგენის სენატმა აჯანყებულთა წინააღმდეგ ოპერაციების ხელმძღვანელობა ჰამილკარ ბარკას დაავალა, რომელიც გაცილებით სჯობნიდა ამ ომში მონაწილე „ყველა სარდალს ჭკუით, სიმამაცითა და ენერგიით. იგი ძველი სამყაროს საუკეთესო მხედართმთავართა რიცხვს ეკუთვნოდა“[23].

ამ დიდებული სარდლის მეთაურობით კართაგენის არმიამ დაამარცხა აჯანყებულნი. კართაგენი ამჯერად გადარჩა.

ჰამილკარმა კარგად იცოდა, რომ დაქირავებული ჯარის მორალური დონე ძლიერ დაბლა დგას სამშობლოს დამცველი არმიის

---

[22] გუსტავ ფლობერი, სალამბო, მთარგმნელები კარლო ჭილარჯიანი (1—VII თ.) და მანანა გოგინეიშვილი (VIII—XV თ.), გამომც. „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი, 1963, გვ. 18.

[23] Г. В. Штолл. Герои Рима в войне и мире. С.-Петербург, 1877, с. 204

მორალურ დონესთან შედარებით. ამიტომ მან გადაწყვიტა, რომ პატრიოტიზმის გრძნობა, რომელიც არ შეიძლებოდა კართაგენის მიმართ ჰქონოდათ სხვადასხვა ქვეყანაში შეკრებილ დაქირავებულებს, შეეცვალა სარდლისადმი სიყვარულითა და მორჩილებით.

ამისათვის კი საჭირო იყო თვით სარდლის მაგალითის ძალა.

ჰამილკარმა იმასაც მიაღწია, რომ განუსაზღვრელი დროით გახდა არმიის მეთაური და შომავალში მისი მემკვიდრე სარდალიც ჯარს უნდა აერჩია.

I პუნიკური ომიდან II პუნიკურ ომამდე. ჰანიბალის ფიცი

ჰამილკარმა კარგად იცოდა, რომ პირველხარისხოვანი სახმელეთო არმიის გარეშე მას არ შეეძლო დაემარცხებინა რომის არმია, რომელსაც შაშინდელ მსოფლიოში ყველაზე უფრო ძლიერი ქვეითი ჯარი ჰყავდა.

ფრ. ენგელსი ამ არმიის შესახებ წერს: რომის არმია ქვეითი ტაქტიკის სრულყოფილი სისტემაა, გამოგონილი იმ ეპოქაში, რომლისთვისაც უცნობი იყო დენთი[24].

რომაული ქვეითი ჯარის უპირატესობას ჰეგელი შემდეგნაირად ხსნის: „ფალანგის ძალას შეადგენდა მასა და შემჭიდროებულობა. და რომაული ლეგიონებიც იყვნენ ერთიანნი და ამავე დროს დანაწევრებულნიც. ისინი ერთმანეთში აერთიანებდნენ ორივე უკიდურესობას: ერთიანობასა და მსუბუქ რაზმებად დანაწევრებულობას. რამდენადაც ისინი მჭიდროდ იდგნენ ერთ ადგილზე, იმდენადვე იოლად იშლებოდნენ“[25].

ჰამილკარმა, ძლიერი არმის შექმნის მიზნით, აგრეთვე სიცილიისა და სარდინიის დაკარგვით გამოწვეული ზარალის ასანაზღაურებლად გადაწყვიტა დაეპყრო ესპანეთი და იქ ერთგვარი პლაცდარმი მოემზადებინა.

ესპანეთში ყველაფერი იყო იმისათვის, რაც ჰამილკარს სჭირ-

---

[24] ფ. ენგელსი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 121.

[25] Гегель. Соч., т. VIII. Перевод А. М. Водена, под редакцией Ф. А. Горохова, 1935, Л., с. 287.

ებოდა ბრძოლაში რომის წინააღმდეგ: მრავალრიცხოვანი მეომარი ტომები, რომელთა ხარჯზეც უნდა შეევსო დაქირავებული ჯარი, სურსათი უხვად, ხე-ტყე ფლოტისათვის, ვერცხლის მდიდარი საბადოები და, რაც მთავარია, სიშორე ხარბ კართაგენელ ხელისუფალთაგან.

237 წელს ჰამილკარი ესპანეთის დასაპყრობად დაიძრა. მან თან წაიყვანა თავისი უფროსი ვაჟი ჰანიბალი, რომელიც ამ დროს 9 წლის იყო. პოლიბიოსმა შემოგვინახა ცნობა ჰანიბალის ფიცის შესახებ, რომელიც მამის წინაშე დადო. ეს სიტყვები ჰანიბალს უთქვამს ანტიოქე III-თვის, როცა ამ უკანასკნელს ეჭვი შეუტანია ჰანიბალის გულწრფელობაში, თუმცა ა. ვ. მიშულინი ჰანიბალის ფიცს შემდგომი თაობების მიერ შექმნილ ამბად თვლის, მაგრამ იგი საინტერესოა და სრულიად ადვილად შესაძლებელია, რომ მაშინდელ პირობებში ასეთი რამ სინამდვილეშიც მომხდარიყო. ჰამილკარმა მას შემდეგ, რაც იბერიაში გამგზავრებამდე ზეესს მსხვერპლი შესწირა, განკარგულება გასცა, ჰანიბალის გარდა, ყველანი მოშორებით დამდგარიყვნენ. შვილს კი დაყვავებით ჰკითხა, სურდა თუ არა მასთან ერთად სალაშქროდ წასვლა. ჰანიბალი დაუფიქრებლად დიდი სიხარულით დაეთანხმა. მაშინ ჰამილკარმა შვილს მარჯვენა ხელში მოჰკიდა ხელი, მიიყვანა საკურთხეველთან, უბრძანა შეხებოდა ზვარაკს და დაეფიცა, რომ არასოდეს არ იქნებოდა რომაელების მეგობარი[26].

ბიჭუნამ მორჩილად აღასრულა მამის ბრძანება. შეჰფიცა და შემდეგ თავისი ბობოქარი და ფათერაკებით აღსავსე ცხოვრების მანძილზე არასოდეს უღალატია ამ ფიცისათვის. ამიტომაც იქცა „ჰანიბალის ფიცი“ მიცემული პირობის გაუტეხლობისა და ვაჟკაცური სიტყვის სიმბოლოდ.

ჰამილკარი კართაგენს მიუძღოდა დიდ ომში რომის წინააღმდეგ და თან მიჰყავდა თავისი პირმშო. იგი კარგად გრძნობდა, რომ ერთი სიცოცხლე საკმარისი არ იქნებოდა რომის წინააღმდეგ ომის ბოლომდე მისაყვანად და მის საქმეს ღირსეული გამგრძელებელი უნდა ჰყოლოდა. სარდლის დაგეშილმა თვალმა არჩევანი ჰანიბალზე შეაჩერა და მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ დაამტკიცა, რომ იგი არ შემცდარა.

---

[26] პ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 254—255.

ნეპოტის ტექსტი თითქმის არაფრით განსხვავდება პოლიბიოსისაგან: „მამაჩემი ჰამილკარი, — ამბობს ჰანიბალი, — როცა ვიყავი არაუმეტეს ცხრა წლისა, ესპანეთში მიემგზავრებოდა მხედართმთავრად და დიდ ღმერთს იუპიტერს მსხვერპლი შესწირა. შემდეგ მკითხა, ხომ არ მსურდა მასთან ერთად ომში წასვლა. როცა ამ ამბის გამო სიხარული გამოვთქვი და შევეხვეწე, რომ არ გადაეფიქრა ჩემი წაყვანა, მაშინ მითხრა: წაგიყვან თუ ფიცით განმიმტკიცებ დაპირებასო. შემდეგ წამიყვანა ტაძარში და იქ მსხვერპლი შესწირა. მას შემდეგ, რაც ტაძარი ყველამ დასტოვა, მამამ ხელი მომკიდა, ზვარაკთან მიმიყვანა და მიბრძანა, რომ რომაელებთან არასოდეს მეცხოვრა მეგობრულად. მშობლისათვის მიცემულ ამ ფიცს მე ისე ერთგულად ვინახავდი, რომ არავინ არ უნდა დაეჭვდეს მის სიმტკიცეში“[27].

ჰამილკარმა საფუძველი ჩაუყარა ისეთ სახმელეთო არმიას, რომელიც თითქმის ყოველოვის იძლეოდა გამარჯვების გარანტიას. ფრ. ენგელსი ამის შესახებ წერს: კართაგენელმა სარდლებმა ჰამილკარმა და ჰანიბალმა ნუმიდიურ ირეგულარულ ცხენოსან ჯართან ერთად ჩამოაყალიბეს რეგულარული კავალერია, და, ამრიგად, შექმნეს ჯარის სახეობა, რომელსაც თითქმის ყოველთვის გამარჯვება მოჰქონდა მათთვის[28]. ჰამილკარის არმიას თვით უნდა შეენახა თავი. ამასთან ერთად, ჰამილკარს კართაგენში უნდა გაეგზავნა თანხის განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც საჭირო იქნებოდა მისი წამოწყების დასაცავად. ცხადი იყო, რომ ჰანონის პარტია ყოველ ღონეს იხმარდა, რათა ხელი შეეშალა ჰამილკარის გეგმების განხორციელებისათვის.

თ. მომზენის გაანგარიშებით, ესპანეთის ვერცხლის საბადოები (სიერა-მორენას ვერცხლის მაღაროები) ყოველ წელს იძლეოდა 2,5 მილიონ ტალერს. ამავე დროს ესპანეთის თემების უმრავლესობა ხარკს იხდიდა[29]. ჰამილკარ ბარკას მიერ ესპანეთში მიღებული ვერცხლი, ნ. ა. მაშკინის აზრით, რომელიც პოლიბიოსს იმოწმებს, ასე ნაწილდებოდა: თანხის 1/3 ხმარდებოდა ჯარს, 1/3 კარ-

---

[27] Корнелий Непот. Жития славных генералов. Перевод с латинского Василия Лебедева. С.-Петербург, 1748, кн. XXIII, гл. II, с. 187.

[28] ფრ. ენგელსი, დასახელებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 182.

[29] თ. მომზენი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 535.

თაგენის ხაზინას, ხოლო 1/3 კართაგენის სახელმწიფოს ხელმძღვანელებისათვის იყო განკუთვნილი[30].

ჰამილკარმა ესპანეთში 9 წელი დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში ესპანეთში მოსახლე იბერიელი ტომების ერთი ნაწილი დიპლომატიური გზით შოაქცია კართაგენის ქვეშევრდომად, ხოლო მეორე ნაწილი ძალით დაიპყრო. განსაკუთრებით მძიმე ბრძოლები გადაიტანა მან ტურდეტანების ტომთა გაერთიანების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც მეთაურობდნენ ისტოლატიუსი და ინდორტი. კართაგენელმა სარდალმა ხელთ იგდო ინდორტი, ჯერ აწამა და თვალები დათხარა, ხოლო შემდეგ ჩამოახრჩო.

ჰამილკარმა ბრძოლებით განვლო გზა პალოსის კონცხამდე, რომელიც ძველი საზღვარი იყო კართაგენისა და რომის გავლენის სფეროებს შორის ესპანეთში. პალოსის კონცხიდან მან კვლავ განაგრძო გზა ნაოს კონცხამდე. ამ ორ კონცხს შორის მან დააარსა „თეთრი ციხე“.

რომაელებმა ჰამილკართან დელეგაცია გაგზავნეს და მოთხოვეს შეეწყვიტა რომაელთა ორიენტაციის მქონე მასალიელების წინააღმდეგ ლაშქრობა. ჰამილკარმა ელჩებს უპასუხა, რომ მისი მოქმედება ნაკარნახევი იყო პირველი პუნიკური ომის საზავო პირობებით, რაც ითვალისწინებდა კართაგენელებისათვის დაკისრებული საკონტრიბუციო თანხის ვადაში გადახდას. პოლიბიოსი გადმოგვცემს, ქალაქ ილიცეს ალყის დროს ჰამილკარმა გამოიჩინა გასაოცარი გმირობა და ისე გამოესალმა სიცოცხლეს, როგორც მამაც მებრძოლს შეშვენოდაო[31].

ჰამილკარის ნაცვლად ჯარმა მისი სიძე ჰასდრუბალი აირჩია, რომელიც მანამდე ცნობილი იყო როგორც ერთ-ერთი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და სამხედრო პარტიის აღიარებული ხელმძღვანელთაგანი. იგი განაგრძობდა ჰამილკარის პოლიტიკას. მან ესპანეთში დააარსა ახალი კართაგენი, რომელიც კართაგენელთა მნიშვნელოვან სტრატეგიულ ბაზად იქცა.

ჰასდრუბალის ხელში დიდმა ძალებმა მოიყარეს თავი და განიზრახა მონარქიული გადატრიალება მოეხდინა. იგი ამ მიზნით ჩავი-

---

[30] Н. А. Машкин. Последний век пунического Карфагена. ВДИ, № 2, 1949, с. 45.

[31] პოლიბიოსი, დასახელებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 139.

და კიდეც ლიბიაში, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა და ისევ ესპანეთს მიაშურა, სადაც თავს უშიშრად და დამოუკიდებლად გრძნობდა.

მამის სიკვდილის შემდეგ ჰანიბალი კართაგენში ცხოვრობდა. შემდეგ ჰასდრუბალმა სენატში წერილი გაგზავნა და მოითხოვა ჰანიბალი ესპანეთში გაეგზავნათ მასთან. შეიკრიბა სენატი. ბარკიდები მოითხოვდნენ, რომ ჰამილკარის შვილი მხედრული ცხოვრებისათვის შეეჩვიათ და მამამისის შემკვიდრე გამხდარიყო. მოწინააღმდეგე პარტიის მეთაური ჰანონი კი მოითხოვდა, რომ ჰასდრუბალისათვის უარი შეეთვალათ.

— რა გვაღელვებს? — კითხულობდა ჰანონი. — ის, რომ ჰამილკარის შვილს დაუგვიანდება შეუზღუდავი ძალაუფლებისა და შეფური დიდების გემოს გაგება? თუ ის, რომ ჩვენ თვითონ დაგვიგვიანდება სულ მალე მის მონებად გადაქცევა? არა, ეს უმაწვილი შინ უნდა იყოს და მეჩვიოს კანონებისა და ხელისუფლების მორჩილებას ისე, როგორც ემორჩილება მათ ყველა კართაგენელი! არადა, ფრთხილად იყავით, რომ ამ პატარა ნაპერწკლისაგან დიდი ხანძარი არ გაჩაღდეს[32].

არ ვიცით მამის სიკვდილის შემდეგ, რამ აიძულა ჰანიბალი ესპანეთიდან წასულიყო — წერს ი. შ. კორაბლიოვი. — შესაძლებელია, რომ ჰასდრუბალმა ზრუნვა გამოიჩინა თავის ცოლისძმებზე. ასევე შესაძლებელია, რომ მას სურდა, თუნდაც მცირე დროით თავიდან მოეშორებინა ძალაუფლებისათვის ყველაზე საშიში და უთუო პრეტენდენტი. ასეა თუ ისე, უახლოესი ხუთი წელი ჰანიბალმა კართაგენში გაატარა და, როგორც ჩანს, ყურადღებით აკვირდებოდა საშშობლოს პოლიტიკურ ცხოვრებას. მაგრამ უკვე 224 წელს ჰანიბალი ესპანეთში დაბრუნდა და სამხედრო სამსახური დაიწყო სიძის ხელმძღვანელობით, ვისთანაც ცხენოსან ჯარს სარდლობდა[33].

რომაელები კარგად ხედავდნენ კართაგენელთა წარმატებებს, მაგრამ ჯერ სხვა საქმეები ჰქონდათ მოსაგვარებელი. როგორც კი ახლომახლო ქვეყნების დაპყრობები და ილირიის ომი დაამთავრეს, მათ ჰასდრუბალთან დელეგაცია გაგზავნეს და დაავალეს ხელშეკ-

---

[32] ტიტუს ლივიუსი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 7.
[33] ი. შ. კორაბლიოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 54.

რულების დადება. მოლაპარაკებისას რომაელებმა ბევრი რამ დათმეს. ისინი არავითარ პრეტენზიებს არ აცხადებდნენ ჰამილკარისა და ჰასდრუბალის იბერსიქითა დაპყრობებზე, მაგრამ მოითხოვეს, რომ კართაგენელებს სამხედრო მიზნით იბერსგამოღმა ყოველგვარი ოპერაციებისაგან თავი შეეკავებინათ.

ეს ხელშეკრულება ჰასდრუბალსა და რომაელებს შორის 226 წელს დაიდო. ამრიგად, ესპანეთის დიდი ნაწილი კართაგენელთა გავლენის სფეროდ იქნა აღიარებული.

ტიტუს ლივიუსის გადმოცემით, ჰასდრუბალი რვა წელიწადს სარდლობდა. მას ჰამილკარმა, მისი გარეგნობითა და გამჭრიახი გონებით მოხიბლულმა, ქალიშვილი მიათხოვა... ჰასდრუბალი გონივრულად მოქმედებდა, შედარებით მცირე ომები გადაიხადა, მაგრამ სამაგიეროდ კართაგენს ახალი მოკავშირეები შესძინა, დაუმეგობრა მეზობელი ხალხები, მათი მთავრები და მეთაურები[34].

ჰასდრუბალის არმიაში იყო 200 საბრძოლო სპილო, 50 ათასი გამოცდილი ქვეითი ჯარისკაცი და 6 ათასი ცხენოსანი. ამ უძლიერესი სამხედრო ძალით მან გაილაშქრა ორისების ტომის წინააღმდეგ. გაანადგურა ისინი, ვისაც ბრალი მიუძღოდა ჰამილკარის დამარცხებასა და სიკვდილში, დაიმორჩილა ორისთა 12 ქალაქი, აგრეთვე ზოგიერთი ქალაქი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჰასდრუბალმა ახალი კართაგენის დაარსებით უძლიერესი დასაყრდენი ბაზა გაიჩინა. ახალი კართაგენი ფაქტიურად კართაგენელთა ადმინისტრაციული ცენტრი გახდა ესპანეთში[35].

ჰასდრუბალმა მოქნილი დიპლომატიური ხერხებით დაიახლოვა იბერიული ტომები. იგი დაქორწინდა კიდეც ერთ-ერთი იბერიელი ბელადის ქალიშვილზე. ი. შ. კორაბლიოვის აზრით, ეს შესაძლებელია მომხდარიყო ჰამილკარის ქალიშვილის სიკვდილის შემდეგ.

დაახლოებით ასეთი მდგომარეობა იყო 221 წლისათვის, როდესაც, პოლიბიოსის ცნობით, ჰასდრუბალი კერძო ინტერესით მოკლა ვიღაც კელტმა. შესაძლებელია, რომ კართაგენის სენატმა,

---

[34] ტ ი ტ უ ს ლ ი ვ ი უ ს ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 6.
[35] ი. შ. კ ო რ ა ბ ლ ი ო ვ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 54—55.

რომლისთვისაც ცნობილი გახდა ჰასდრუბალის მიზნები, ამით იგი თავიდან მოიშორა. მის ადგილზე ჯარმა აირჩია ჰამილკარ ბარკას ახალგაზრდა ვაჟი — ჰანიბალი. ჯარის ეს არჩევანი შემდეგ კართაგენელმა ხალხმა და სენატმა დაადასტურეს.

პოლიბიოსი ამ აქტის შესახებ წერს: როგორც კი ჰანიბალმა ძალაუფლება მოიპოვა, აშკარა გახდა, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა რომის წინააღმდეგ გალაშქრებაო[36].

ი. შ. კორაბლიოვის აზრით, როცა ჰანიბალი ხელისუფლების სათავეში მოექცა, 25—26 წლის იყო. მას ცოლად ჰყავდა კასტელონის მკვიდრი იბერიელი ქალი. ეს ქალაქი კართაგენელთა მოკავშირე იბერიულ ტომს ეკუთვნოდა[37].

ჰანიბალი კართაგენელთა ჯარის სათავეში

ჰანიბალის ბავშვობა კართაგენისათვის მეტად მნიშვნელოვანი მომენტებით აღინიშნა. I პუნიკური ომის ბოლო წლები და იმით გამოწვეული სიხარული და მწუხარება პატარა ბავშვის პირადი ცხოვრების ნაწილად იქცა. თავისი გავლენა იქონია ბავშვის ფსიქოლოგიაზე დაქირავებულთა და მონების ზემოთ აღწერილმა აჯანყებამ, რადგან ეს აჯანყებაც მამამისმა ჩააქრო. ისე რომ, საფიქრებელია, ჰანიბალი ბავშვობიდანვე ჩაება კართაგენის პოლიტიკური ცხოვრების ფერხულში. და გარკვეულ გამჭრიახობას ამჟღავნებდა. გასაკვირი არ არის, რომ ჰამილკარ ბარკა ნიჭიერ პირმშომში თავისი დაწყებული საქმის განმგრძობს ჭვრეტდა.

ჰანიბალის გენიალური ნიჭი და გაქანება ჯერ კიდევ მისმა თანამედროვეებმა შეიგნეს მთელი სიცხადით. ტიტუს ლივიუსი კართაგენელებისადმი ზიზღს არ მალავს. მაგრამ მისი დახასიათებითაც კი კართაგენელი სარდალი მთელი სიდიადით გვიდგება თვალწინ.

„არასოდეს ერთი ადამიანი ასე თანაბრად არ ყოფილა დაჯილდოებული ორი, ასე განსხვავებული თვისებით — მეთაურისა და ხელქვეითის თვისებებით, ამიტომ ძნელი იყო იმის გარკვევა, ვისთვის უფრო ძვირფასი იყო ჰანიბალი — მთავარსარდლისა თუ ჯა-

---

[36] პ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 176.

[37] ი. შ. კ ო რ ა ბ ლ ი ო ვ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 61.

რისათვის. უფრო ხალისით ჰასდრუბალი არავის ანდობდა ლაშქრის უფროსობას, რომელსაც ევალებოდა საქმე, გაბედულებასა და სიმამაცეს რომ მოითხოვდა, და არც მებრძოლნი არავის მეთაურობით არ იყვნენ აგრერიგად დაიმედებულნი და მამაცნი. საფრთხისას არავინ ისეთი უშიშარი არ იყო, როგორც ჰანიბალი და არავინ ისეთი წინდახედული არ იყო ყველაზე დიდი განსაცდელის ჟამს. არ იყო სამუშაო, რომელიც მას დაღლიდა ფიზიკურად ან სულიერად. პაპანაქებასა და ყინვას ერთნაირად იოლად იტანდა. ჭამდა და სვამდა არა სიამოვნებისათვის, არამედ მხოლოდ შიმშილისა და წყურვილის მოსაკლავად. დღისა და ღამის დროს განურჩევლად ანაწილებდა ძილისა და ფხიზლობისათვის, მოსვენებას იმ დროს უთმობდა, რომელიც შრომას გადარჩებოდა. ამასთან, არაფრად დაგიდევდათ რბილ ლოგინს და ძილისათვის სიჩუმეს არ მოითხოვდა. ბევრი ნახულობდა მას მოსასხამში გახვეულს ზედ მიწაზე მძინარეს მებრძოლთა შორის, საგუშაგოზე და პოსტზე.

ტანსაცმლით არ განსხვავდებოდა დანარჩენთაგან. სამაგიეროდ, მისი იარაღი და ცხენი ყველას თვალში ეცემოდა. როგორც მხედრებს შორის, ასევე ქვეითებში ჰანიბალზე უფრო დახელოვნებული მეომარი არ იყო. პირველი გადაეშვებოდა ხოლმე ბრძოლაში და უკანასკნელი ტოვებდა მას.

მაგრამ ამ დიდ დადებით თვისებებთან ერთად მას ჰქონდა ასევე დიდი ნაკლოვანებები: არაადამიანური სიმკაცრე, გაუგონარი მუხანათობა. მისთვის არ არსებობდა ჭეშმარიტება, სიწმინდე, არავითარი შიში არ ჰქონდა ღმერთებისა, პატივს არ სცემდა მიცემულ ფიცს"[38].

პოლიბიოსი ჰანიბალის უფრო ობიექტურ დახასიათებას იძლევა. იგი აღფრთოვანებულია ჰანიბალის სტრატეგიული ხელოვნებით, რომელსაც იტალიაში 16 წლის ყოფნისას არც ერთხელ თავისი მხედრობა დამარცხებული არ გაუყვანია ბრძოლის ველიდან. იგი ჰანიბალს ადარებს სახელოვან მესაჭეს, ყოველთვის რომ მბრძანებლობდა სხვადასხვა ჯურის ურდოებზე, შეძლო დაეცვა ისინი მთავარსარდლის წინააღმდეგ ამხედრებისა და ურთიერთშორის შუღლისაგან.

---

[38] ტიტუს ლივიუსი, დასახელებული ნაშრომი. ტომ. 7—8.

„განა შეიძლება არ გაგაოცოს ჰანიბალის სტრატეგიულმა ხელოვნებამ, მისმა სიმამაცემ და სალაშქრო ცხოვრების ცოდნამ, თუ თვალს გადაავლებ მთელს მის ცხოვრებას, თუ ყურადღებით შეჩერდები ყველა დიდსა და მცირე ომზე, ქალაქების ალყასა და მათ გადმობირებაზე, სიძნელეებზე, ჰანიბალს რომ ხედა წილად, მიიღებრა საბოლოოდ, მხედველობაში მის მიერ ომის ხელმძღვანელობის დიდ ხელოვნებას? იტალიაში 16-წლიანი ომის განმავლობაში დახელოვნებული მესაჭის მსგავსად იგი ყოველთვის მბრძანებლობდა სხვადასხვა სახის ურდოებზე, შეძლო დაეცვა ისინი სარდლის წინააღმდეგ ამხედრებისა და ურთიერთშორის ბრძოლისაგან. მის ჯარში იბრძოდნენ იბერები, ლიგურიელები, კელტები, ფინიკიელები, იტალიელები, ელინები — ხალხები, რომელთაც თავიანთი წარმოშობით ერთმანეთთან საერთო არაფერი ჰქონდათ, მაგრამ ბელადის სიბრძნემ ასწავლა ამ განსხვავებულ და მრავალრიცხოვან ხალხებს დამორჩილებოდნენ ერთ კანონს, ერთ სურვილს“[39].

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ჰანიბალს ნაპოლეონს ადარებს. თ. მომზენი მას არა მარტო სტრატეგიულ, არამედ პოლიტიკურ გენიასაც უწოდებს და უდიდეს ადამიანად თვლის[40]. ასევე დიდ ადამიანად მიაჩნია ჰანიბალი სამხედრო ხელოვნების ისტორიის ცნობილ სპეციალისტს ჰ. დელბრიუკს, რომელიც კართაგენელ სარდალს თვლის არა ერთბაშად შემუსვრის, არამედ ქანცგამოლევის მეშვეობით მტრის წამოჩოქების სტრატეგად[41].

„თუ ჰანიბალს ხშირად ადარებენ ნაპოლეონს, არ უნდა დავიიწყოთ, რომ ჰანიბალმა ბოლოს და ბოლოს ვერ დაამარცხა მოწინააღმდეგე იმიტომ, რომ ვერ დაძლია თავისი ვაჭარი ხელისუფალნი, მაშინ, როცა ნაპოლეონი ზედაპირზედ ამოისროლა საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ“[42].

საბჭოთა ისტორიკოსები: ვ. სერგეევი, ნ. ა. მაშკინი, ა. ვ. მიშულინი, ნ. ა. ლაპინი, ს. ა. უტჩენკო, დ. პ. კონჩალოვსკი და სხვები ჰანიბალს დიდ სარდლად და პოლიტიკურ მოღვაწედ თვლიან.

---

39 პ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. II, გვ. 321—322.

40 თ. მ ო მ ზ ე ნ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 539.

41 Г. Д е л ь б р ю к. История военного искусства в рамках политической истории. Т. I, с. 252.

42 Ф. М е р и н г. Очерки по истории войн и военного искусства. с. 51.

აკად. ს. ი. კოვალიოვი ჰანიბალს ისეთსავე გენიალურ დიპლომატს უწოდებს, როგორც სტრატეგს[43], სხვა ადგილას იგი აღფრთოვანებული წერს: ჰანიბალის მთელი შინაარსიანი ცხოვრება, გამსჭვალული ერთი ფიქრითა და სურვილით, თავის შესახებ უკეთ მეტყველებს, ვიდრე ამას შეძლებდა რომელიმე ლიტერატურული დახასიათება[44].

ჰანიბალი თავისი დროისათვის განათლებული ადამიანი იყო. იგი შესანიშნავად იცნობდა მაშინდელი მსოფლიოს ხალხების ცხოვრებას, ადათ-ჩვეულებს. როგორც დ. პ. კონჩალოვსკი წერს, მან შეისწავლა მანამდე არსებული საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ეზიარა დახვეწილ ფინიკიურ და ელინურ კულტურას. გარდა ამისა, იგი ისეთივე ფინიკიელი იყო, როგორც ესპანელი. ისე რომ, მასში შერწყმული აღმოჩნდა ფინიკიური ეშმაკობა იბერიულ სიმამაცესთან. ეჭვს გარეშეა, რომ ჰანიბალს კარგად ჰქონდა შესწავლილი მისი წინამორბედი სარდლების სამხედრო ხელოვნება.

ი. შ. კორაბლიოვი თუმცა ხარკს უხდის ჰანიბალის უდიდეს სამხედრო ნიჭს, პირად დამოკიდებულებას კართაგენელი სარდლისადმი შემდეგი სიტყვებით გამოხატავს:

„...დიდი სარდალი... მაგრამ რა იგულისხმება ამ სიტყვებში?... ნუთუ სარდლის სიდიადე მხოლოდ იმით განისაზღვრება, რომ მთელი თავისი სამხედრო კარიერის მანძილზე უამრავი ბრძოლა მოიგო ურიცხვ ომში? ნუთუ მხედველობაში არ უნდა მივიღოთ მიზნებიც, რომლებსაც ის ისახავს, რისთვისაც ჩაღდება ომები და აღწევენ გამარჯვებებს? ნუთუ შეიძლება დიდი ეუწოდოთ ადამიანს, რომელსაც სხვა ხალხებისათვის დამონება, სიღატაკე და დაღუპვა მოაქვს"[45]?

ნაშრომის დასასრულს კი იგი წერს: „კართაგენელი სარდლის გარშემო ატეხილმა დავამ კარგახანია დაკარგა თავისი სიმწვავე. ჰანიბალის, მისი მეგობრებისა და მტრების ძვლებიღაა მიწაში. საზელმწიფოები, ოდესღაც რომ მსოფლიო ბატონობას იჩემებდნენ, გაქრნენ; აღარ არიან არც პუნები, არც რომაელები. დრო ახლა საშუალებას გვაძლევს შევხედოთ ჰანიბალს ორი ათას წელზე მეტი ხნის სიშორიდან. იგი შეუბრალებლად სპობს ყოველგვარ ფერუმა-

---

[43] С. И. Ковалев. История Рима, с. 219.

[44] ს. ი. კოვალიოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 223.

[45] ი. შ. კორაბლიოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 10—11.

რილს, ააშკარავებს „დიდი“ დამპყრობლების ნამდვილ მიზნებს, რომლებმაც ამდენი სისხლიანი მსხვერპლი შესწირეს თავიანთ პატივმოყვარეობას. მაღალფარდოვანი ფრაზებით შენიღბული წვრილმანი ზრახვები, დიდებისაკენ სწრაფვის ამაოება, ადამიანთა ტანჯვისა და თვით ადამიანთა სიცოცხლის პატივმოყვარულად უგულებელყოფა, იმის ურცხვი რწმენა, რომ უფლება აქვთ ჩაიდინონ ნებისმიერი ბოროტმოქმედება, ოღონდ კი მიაღწიონ წარმატებას... ძალაუფლების ხარბი მოყვარულნი, მოძალადენი და მკვლელები — ასეთებად დარჩნენ ისინი ბოლოს და ბოლოს კაცობრიობის მეხსიერებაში“[46].

ჩაუდგა თუ არა არმიას სათავეში, ჰანიბალმა ინტენსიურად დაიწყო ომისათვის მზადება. სარდალმა ჯერ ზურგის განმტკიცების ოპერაციებიდან დაიწყო. მან კარგად იცოდა, რომ ისეთი მეომარი ტომების ზურგში დაუმორჩილებლად დატოვება, როგორიც იყვნენ ოკლადები (ორეტანები), კარპეტანები, ბესტეტანები, კონსტეტანები, ვეტონები, ვაკცეები, ტარტესელები (ტურდეტანები)და სხვ. არ შეიძლებოდა. ჰანიბალი მშვიდად ვერ წავიდოდა შორეულ და ძნელ ლაშქრობაში, მით უმეტეს, რომ მისთვის ამჯერად მეტროპოლია ესპანეთი უფრო იყო, ვიდრე კართაგენი, რომლის იმედიც მას თითქმის არ ჰქონდა. ამიტომ ჰანიბალმა თავისი მახვილი ჯერ ამ ტომების დასამორჩილებლად მიმართა. ეს არც მთლად ადვილი საქმე იყო. ამაყი ადგილობრივი ტომები თავგანწირვით იცავდნენ თავიანთ დამოუკიდებლობას და კართაგენის გაწვრთნილ არმიასთან ბრძოლაში სიმამაცის მაგალითებს იძლეოდნენ. სხვა მრავალ გმირულ ფურცელთა შორის ისტორიამ ასეთი ეპიზოდი შემოგვინახა: ქ. სალამანტიკაში გარშემორტყმულმა ვეტონებისა და ვაკცეების ტომებმა მრავალი გამოხდომა მოახდინეს, ზარალიც მიაყენეს კართაგენელ მოალყეებს, მაგრამ გარემოცვა მაინც ვერ გაარღვიეს. ამის შემდეგ ისინი დათანხმდნენ ჰანიბალს წინადადებაზე, რომ ალყაშემორტყმულთ ჩაებარებინათ იარაღი, ქონება და ქალაქს გაცლოდნენ. ეს მათ მეტისმეტად შეურაცხმყოფელად მოეჩვენათ და გადაწყვიტეს მტრისათვის ძვირად დაესვათ გამარჯვება. ქალებმა იცოდნენ, რომ მათ არ გაჩხრეკდნენ და ხანჯლები გადამალეს. მამაკაცების გაჩხრეკის შემდეგ

---

[46] ი. შ. კორაბლიოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 355—356.

კართაგენელებმა დაიწყეს ქალაქის რბევა, ქონების დატაცება და ლოთობა. ყურადღების შესუსტებით ისარგებლეს დამარცხებულებმა, ქალებმა ხანჯლები მამაკაცებს გადასცეს, ეს უკანასკნელნი თავგანწირვით ეკვეთნენ მარბიელთ და გაჟლიტეს, რის შემდეგაც გზა გაიკაფეს ტყით დაბურული მთებისაკენ, სადაც მათი ხელში ჩაგდება უკვე ძნელი იყო.

ოკლადებმა, ვაკცეებმა და კარპეტინებმა უზარმაზარ, 100-ათასიან არმიას მოუყარეს თავი. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა მდინარე ტაგუსთან. ჰანიბალმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

ი. შ. კორაბლიოვი წერს, რომ ტაგუსთან გამარჯვებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჰანიბალის ბიოგრაფიაში. აქ მან პირველად გამოიჩინა ტაქტიკური თვისებები, ცხადყო, რომ შეუძლია მიიღოს გაბედული გადაწყვეტილება, დაამსხვრიოს დაწესებული სამხედრო ნორმები და თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ადგილმდებარეობის ის თავისებურებანი, რომლებიც ერთი შეხედვით უეჭველ დამარცხებას უქადდა[47].

ამის შემდეგ ჯერი რომაელთა მოკავშირე ქალაქ საგუნტზე მიდგა. ჰანიბალმა გადაწყვიტა ჯერ კართაგენში შეემზადებინა საზოგადოებრივი აზრი. ამიტომ დედაქალაქში ზედიზედ გაგზავნა რამდენიმე ცნობა, რომლებშიც იტყობინებოდა, რომ საგუნტელები ავიწროებდნენ კართაგენელთა მოკავშირე ტომს. ჰანიბალი პასუხს აღარ დაელოდა და საომარი ოპერაციები გააჩაღა საგუნტის წინააღმდეგ. პირდაპირი იერიშით ქალაქის აღება გაჭირდა. კართაგენელები ალყაზე შეჩერდნენ, რომელიც 8 თვეს გაგრძელდა. ალყის დროს ჰანიბალი ბარძაყში დაიჭრა. მიუხედავად ალყაშემორტყმულთა წინააღმდეგობისა, საგუნტი დაეცა. ეს ნიშნავდა რომისათვის ომის გამოცხადებას.

რომაელები მზად არ იყვნენ ომისათვის, ამიტომ ჯერ მოლაპარაკებით სცადეს საქმის მოწესრიგება. მათ კართაგენში დელეგაცია გაგზავნეს და ჰანიბალის გაცემა მოითხოვეს, მაგრამ უარი მიიღეს, თუმცა ჰანიბალის წინააღმდეგ ჰანონმა, როგორც ტიტუს ლივიუსი გადმოგვცემს, სიძულვილით აღსავსე სიტყვა წარმოთქვა.

„მე თქვენ გაფრთხილებდით, — თქვა ჰანონმა, — რომ ჰა-

---

[47] ი. შ. კორაბლიოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 63—64.

მილკარის შვილი ჯარში არ გაგეგზავნათ. არც სულს იმ კაცისას საიქიოს, არც მის ცოცხალ მემკვიდრეთ არ შეუძლიათ მშვიდი ცხოვრება და მანამ იქნება რომაელებთან ომის საფრთხე, ვიდრე იქნება ბარკას სახსენებელი და მისი სისხლის თუნდაც ერთი წვეთი. მაგრამ ყური არ დამიგდეთ — თქვენ თვითონ დაასხით ნავთი ცეცხლზე, თვით გააჩაღეთ ეს ხანძარი ახლა რომ მძვინვარებს. თქვენმა მეომრებმა ალყა შემოარტყეს საგუნტს, დაარღვიეს ხელშეკრულება, რომელიც მათ ამ ქალაქთან მიახლოებას უკრძალავდა; მაგრამ მალე რომაელთა ლეგიონები ალყას შემოარტყამენ კართაგენს — იმავე ღმერთების ნებით, რომლებიც წარსულ ომში (პირველ პუნიკურ ომზეა ლაპარაკი. — ბ. ბ.) დაეხმარნენ მათ შური ეძიათ შეურაცხყოფისა და ხელშეკრულების ფეხით გათელვისათვის! გაიხსენეთ ყოველივე, რაც თქვენ გადაიტანეთ ხმელეთსა და ზღვაზე იმ ომის ოცდასამი წლის განმავლობაში, მაშინ ხომ სარდალი იყო არა ეს ლაწირაკი, არამედ ჰამილკარი —„მეორე მარსი“, როგორც მას მეგობრები იხსენიებენ...

დამიჯერეთ, საგუნტის კედლებთან კი არა, ჩვენს საკუთარ კედლებთან მოიტანა ჰანიბალმა საალყო იარაღები, ჩვენს კედლებს აზანზარებენ მათი დარტყმები, და საგუნტის ნამსხვრევები ჩვენ გვაცვივა თავზე, იმიტომ, რომ საგუნტელთა წინააღმდეგ დაწყებული ომი რომაელთა წინააღმდეგ უნდა გავაგრძელოთ.

„მაშ, გავცეთ ჰანიბალი?“ — შემეკითხებით — ვიცი, რომ ჩემს რჩევას არ მიიღებთ, მაგრამ ყოველივეს მოგახსენებთ, რასაც ვფიქრობ. ის არათუ უნდა გავცეთ ხელშეკრულების კადნიერად დარღვევისათვის, არამედ, თუნდაც არავის მოეთხოვა, ცის დასალიერს უნდა გაგვესახლებინა, ცხრამთას იქით, რომ არასოდეს და არაფერი მის შესახებ არ გავიგონოთ, და რომ ვეღარასოდეს ვერ შეძლოს ჩვენი სახელმწიფოს სიმშვიდის დარღვევა!“[48]

ომის მიზეზები შემდეგი იყო: როგორც კართაგენის, ისე რომის სავაჭრო-სამრეწველო წრეები დაინტერესებული იყვნენ ახალ-ახალი ქვეყნების დაპყრობით, თავიანთი გავლენის ქვეშ მათი მოქცევით. ამის განხორციელება კი შეუძლებელი იყო, ვიდრე ერთ-ერთი მათგანი ძლიერი იყო. კართაგენი და რომი ამ დროს გამოდიან როგორც

---

[48] ტიტუს ლივიუსი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 13—14.

ხელთაშუა ზღვის აუზში ბატონობის პრეტენდენტები. ორივე მხარე უკმაყოფილოა I პუნიკური ომის შედეგებით. კართაგენი იმით, რომ დაკარგა სიცილია, სარდინია, კორსიკა და გადაიხადა დიდი კონტრიბუცია, ამიტომ იგი რევანშისათვის ემზადება. რომი კი უკმაყოფილო და შეშფოთებულია იმით, რომ I პუნიკურ ომში ვერ მოახერხა კართაგენის განადგურება და მისი საბოლოოდ ჩამოცილება. იგი უკმაყოფილოა კართაგენის გაძლიერებით და მისი გაზრდილი ექსპანსიით იბერიაში. შორსმჭვრეტელი ადამიანები რომში კარგად ხედავდნენ, რომ კართაგენის გაძლიერება ესპანეთში მომასწავებელი იყო რომისათვის დიდი და სერიოზული გართულებებისა.

ტიტუს ლივიუსი გადმოგვცემს, რომ სენატმა საგუნტის აღების შემდეგ მეორე ელჩობა გაგზავნა კართაგენში, რომელსაც ხელმძღვანელობდა კვინტუს ფაბიუსი. რომაელი ელჩები კართაგენის სენატში მიიღეს. კვინტუს ფაბიუს მაქსიმუსმა სენატორებს ჰკითხა, თუ რა გარემოებაში შემოარტყა ალყა ჰანიბალმა საგუნტს, მათი დასტურით და წაქეზებით, თუ პირადი თაოსნობით. ამაზე ერთ-ერთმა კართაგენელმა უპასუხა, რომ რომაელთა პირველი ელჩობა, როცა ისინი პირდაპირ მოითხოვდნენ ჰანიბალის გაცემას, უხეში კადნიერება იყო, არც მეორე ელჩობა გამოირჩევა დიდი მოკრძალებულობით, თუმცა სიტყვები შედარებით რბილად შეგირჩევიათო. ახლა ჰანიბალს კი არ ეხება საქმე, განაგრძო კართაგენელმა, არამედ ჩვენ; ჩვენ უნდა ვაღიაროთ დანაშაული და სასწრაფოდ დამაკმაყოფილებელი პასუხი გაგცეთ. მაგრამ საქმე ის კი არ არის როგორ დაიწყო ომი —ჩვენი დასტურით თუ მის საწინააღმდეგოდ. არა, აქ სულ სხვა რამ არის მთავარი: გაითელა თუ არა კანონი და სამართლიანობა. ყველაფერს, რაც შეეხება ჩვენი მოქალაქის შეცდომებს, ჩვენ თვითონ გავარკვევთ, თქვენთან კი მზად ვართ განვიხილოთ ერთი საკითხი — დაირღვა თუ არა თქვენსა და ჩვენს შორის დადებული ხელშეკრულება. შემდეგ კართაგენელმა სენატორმა დაასაბუთა, რომ ხელშეკრულებით რომსაც და კართაგენსაც უფლება ჰქონდათ დაეცვათ თავიანთი მოკავშირეები, მაგრამ საგუნტელებზე იქ კრინტიც არ იყო დაძრული, იმიტომ, რომ იმ დროს ისინი რომაელთა მოკავშირეები არ იყვნენ. ის ძველი ხელშეკრულება იყო, მას შემდეგ ახალი დაიდო ჰასდრუბალთან და რომაელებსაც ის ხელშეკრულებები მიაჩნდათ საავალდებულოდ. სხვათა შორისო, განაგრძო სენატორმა,

ჰასდრუბალს არ შეუტყობინებია ჩვენთვის, რომ რომაელებთან მოლაპარაკება გამართა. ისე რომ, დაეხსენით საგუნტს, მდინარე იბერს და ბოლოს და ბოლოს თქვით, რაც დიდიხანია გულში გაქვთ, —დაამთავრა კართაგენელმა.

მაშინ კვინტუს ფაბიუსმა ტოგის კალთა აიკრიფა, ორმაგად მოკეცა და უკმეხად განაცხადა — შეხედეთ, აქ მიძევს ომი და მშვიდობა, რომლებიც თქვენ ჩამოგიტანეთ. აირჩიეთ.

არანაკლებ მკვახე იყო კართაგენელთა პასუხი: თვით აირჩიე! რომაელმა ხელი უშვა აკეცილ კალთას და შესძახა, აჰა, მე გარგუნეთ ომი. ამის გაგონებაზე ყველა კართაგენელმა ერთხმად შესძახა, რომ ისინი იღებდნენ ომს და ისეთივე შემართებით იბრძოლებდნენ, როგორც ახლა მიიღეს რომაელთა ძღვენი[49].

კართაგენიდან რომაელი ელჩები ესპანეთში გაემგზავრნენ იმ იმედით, რომ იქაურ სახელმწიფოებსა და ტომებს მოკავშირეებად გაიხდიდნენ ან, ყოველ შემთხვევაში, ჩამოაშორებდნენ კართაგენელებს.

როგორც ტიტუს ლივიუსი გადმოგვცემს, პირველად ისინი ბარგუსების ტომს სწვეოიან, რომლებიც შეწუხებული ყოფილან კართაგენელთა ბატონობით. ისინი სიხარულით შეხვედრიან რომაელებს, მაგრამ როცა ჯერი ვოლკიანთა ტომზე მიმდგარა, ყოველგვარი იმედი გასცრუებიათ. ერთ-ერთ უხუცესს რომაელი ელჩებისათვის უხეშად მიუხლია: „არ გაქვთ არც სინდისი, არც ნამუსი, როცა გვთავაზობთ თქვენი მეგობრობა ვარჩიოთ კართაგენელებისას! თქვენ ხომ უღალატეთ მოკავშირეებს, რომლებიც დაგთანხმდნენ ასეთ წინადადებაზე. ახლა იქ ეძიეთ მოკავშირეები, სადაც საგუნტის დაღუპვის ამბავი არ იცოდან. ესპანელებისთვის საგუნტის ნანგრევები სამუდამოდ იქნება საშინელი გაკვეთილი და მრისხანე გაფრთხილება“[50].

აქედან ელჩები გალიაში გადასულან, მაგრამ, იქ ისეთი ხარხარი აუტეხიათ მათთვის შეკრებილ გალებს, რომ ისინი იმედგაცრუებულნი რომში დაბრუნებულან.

საგუნტის აღების შემდეგ ჰანიბალი გამოსაზამთრებლად ახალ

---

[49] ტიტუს ლივიუსი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 21—22. აგრეთვე ბოლიბიოსი, დასახელებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 276—277.

[50] ტიტუს ლივიუსი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 24.

კართაგენში დაბანაკდა. მან მოიწვია ესპანური წარმოშობის მებრძოლნი და შემდეგი სიტყვებით მიმართა:

„თქვენ კარგად გესმით, მეგობარო-მოკავშირენო, რომ ახლა, როცა ესპანეთის ყველა ხალხი დაპყრობილია, ჩვენ ისლა დაგვრჩენია, რომ ან დავშალოთ ჯარი, ანდა სხვა მხარეებში დავიწყოთ ახალი ომი. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ესპანელი ტომები მხოლოდ მაშინ მოიმკიან არა მხოლოდ მშვიდობის, არამედ გამარჯვების მთელ სიკეთეს, როცა უცხო მხარეებში განვაგრძობთ ნადავლისა და დიდების ძიებას. ამრიგად, თქვენ შორეული და ხანგრძლივი ლაშქრობა გელით, მალე როდი მოგიწევთ თქვენი ოჯახებისა და ნათესავების ნახვა; ამიტომ, ყველას, ვისაც სურს თავისი ახლობლების ნახვა, შეუძლია აიღოს შვებულება. მაგრამ გაზაფხულისთვის ყველა უნდა დაბრუნდეს. ღმერთების ნებით ჩვენ დავიწყებთ ომს, რომელიც განუზომელ დიდებას და აურაცხელ ნადავლს მოგვიტანს“[51].

ჰანიბალმა კართაგენში და აფრიკის სხვა ქალაქებში გაგზავნა ესპანელთა რაზმები, ხოლო მათ სანაცვლოდ გაითხოვა აფრიკელი რაზმები, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ყოველი მებრძოლი თავისი კერიდან მოშორებით უკეთესად იბრძოლებდა[52].

ამრიგად, II პუნიკური ომი ფაქტი გახდა. იგი ორმხრივ მტაცებლური იყო. სწორედ ასეთი შეფასება მისცა ვ. ი. ლენინმა მას: „იმპერიალისტური ომები ყოფილა აგრეთვე მონობის ნიადაგზეც (რომის ომი კართაგენთან ორივე მხრივ იმპერიალისტური იყო“[53]).

„მეორე პუნიკურმა ომმა, —წერს ჰეგელი, — მაშინდელ უძლიერეს სახელმწიფოთა კოლოსალური შეჯახება გამოიწვია...

...ეს დიადი პერიოდი რომის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობისა და ამით გამოწვეული სხვადასხვა გართულებები მოგვითხრო კეთილშობილმა აქაველმა პოლიბიოსმა, რომელსაც წილად ხვდა ყოფილიყო თვითმხილველი იმისა, თუ როგორ იღუპებოდა მისი სამშობლო ბერძენთა უკადრისი ვნებებისა და რომაელთა უსირცხვილო და ულმობელი დაჟინების გამო“[54].

---

[51] ტიტუს ლივიუსი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 25.
[52] იქვე. გვ. 25.
[53] ვ. ი. ლენინი, ტ. 26, გვ. 180.
[54] ჰეგელი, დასახელებული ნაშრომი. გვ. 288.

ჰანიბალმა გადაწყვიტა ომი თვით იტალიის ტერიტორიაზე გადაეტანა. მისი გეგმა შემდეგ მიზანს ისახავდა: ესპანეთიდან ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს გასწვრივ მოძრაობით მიეღწია ალპებისათვის, გადაელახა ის და რომაელებს ჩრდილოეთიდან დასხმოდა თავს. ჰანიბალის ეს გეგმა, თუმცა დიდ რისკთან და სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, მაინც რეალური და ყველაზე უფრო სწორი იყო, რადგან I პუნიკურ ომში კართაგენელებმა ზღვაზე ბატონობა დაკარგეს, ე. ი. რომზე თავდასხმა ზღვიდან შეუძლებელი იყო და იგი ხმელეთიდან უნდა განხორციელებულიყო. რომის ჩრდილოეთი კი ყველაზე უფრო მერყეევი იყო, რადგან იგი შედგებოდა ახლად დაპყრობილი ოლქებისაგან, რომელთა მოსახლეობაც ბორგავდა და ცდილობდა თავიდან მოეშორებინა რომაელთა ბატონობა. ჰანიბალის სტრატეგიული გეგმა კი იმას ისახავდა მიზნად, რომ ცალკეული ოლქების ჩამოცილებით რომი სისხლისაგან დაეცალა. გარდა ამისა, ჰანიბალის გამოჩენა იტალიის ჩრდილოეთში იმდენად მოულოდნელი იქნებოდა, რომ იგი თავზარს დასცემდა რომაელებს. ეს გეგმა საშუალო გონების ადამიანს პარადოქსულად მოეჩვენებოდა და სწორედ ამაზე იყო ნავარაუდევი დიდი სარდლის გეგმა. როგორც დ. პ. კონჩალოვსკი აღნიშნავს, ჰანიბალი ცდილობდა გამოეცნო ჭეშმარიტი, მაგრამ შეუმჩნეველი ძალები, გაეერთიანებინა ისინი და დაეპირისპირებინა იმ ძალებისათვის, რომლებსაც ემყარებოდა საშუალო აზრი[55].

ჰანიბალს შესაძლებლად მიაჩნდა რომაელების ექსპედიცია აფრიკასა და ესპანეთში. ამიტომ მან თავის ძმას — ჰასდრუბალს დაუტოვა დიდი არმია და ფლოტი და დაარიგა საჭიროების შემთხვევაში როგორ უნდა მოქცეულიყო[56].

კართაგენელმა სარდალმა გადაწყვიტა კელტებთან შეეკრა კავშირი. დიპლომატიური ალღოს მეოხებით იგი კარგად ხედავდა, რომ თუ კელტები ჰანიბალს მხარს დაუჭერდნენ მომავალ კამპანიაში, ამით მისი გენერალური გეგმა ბევრს მოიგებდა.

თ. მომზენი ჰანიბალის ლაშქრობას რომის წინააღმდეგ ადარებს ნაპოლეონის ლაშქრობას რუსეთის წინააღმდეგ და წერს, რომ კელ-

---

55 Д. П. Кончаловский. Аннибал. Петербург, 1923 г., с. 46—47.
56 Полибиос, დასახელებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 277.

ტებს იგივე როლი უნდა შეესრულებინათ რომის წინააღმდეგ, რა როლიც შეასრულა პოლონეთმა ნაპოლეონის ომში რუსეთის წინააღმდეგ[57].

ომის საბოლოო მიზანი მხოლოდ ჰანიბალმა და მისი თანამებრძოლების ვიწრო წრემ იცოდა.

ჰანიბალმა დანიშნულ დღეს დაიწყო ლაშქრობა. მის არმიაში იყო დაახლოებით 90 ათასი ქვეითი მებრძოლი და 12 ათასი მხედარი[58]. ჰანიბალმა გადალახა მდ. იბერი და დაიმორჩილა ის ტომები, რომლებიც მის წინსვლას აფერხებდნენ. მდ. იბერის მარცხენა ნაწილის მმართველად მან დანიშნა ჰანონი და აღჭურვა შეუზღუდველი უფლებებით. მასვე დაუტოვა 10 ათასი ქვეითი, ათასი მხედარი და არმიის მთელი სურსათი. ამდენივე მეომარი მან სახლებში გაუშვა, რათა დანარჩენებისათვის დაბრუნების იმედი ჩაენერგაო. — წერს პოლიბიოსი. ჰანიბალმა ეს იმიტომ მოიმოქმედა, რომ მეომართა ერთმა ჯგუფმა უარი განაცხადა თავისი სამშობლოდან შორს წასვლაზე. ჰანიბალმა ამაში დიდი საფრთხე დაინახა და უხმაუროდ, რათა ეს სენი დანარჩენ მასას არ მოსდებოდა, ისინი შინ გაუშვა. ასევე მოექცა სარდალი სხვებსაც, რომლებმაც მერყეობა გამოიჩინეს. ამით მან ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, თითქოს, დიდ ძალას არავის ატანდა და არცთუ მთლად უხეირო საქმეზე მიჰყავდა ისინი.

ამრიგად, რჩეული არმია 50 ათასი ქვეითისა და დაახლოებით 9 ათასი მხედრის რაოდენობით თან წაიყვანა[59]. ამ არმიით, რომელიც ფიზიკური გამძლეობით და იბერიაში მიღებული დიდი საბრძოლო გამოცდილებით გამოირჩეოდა, ჰანიბალმა პირენეის მთები გადალახა.

რომაელებმა გადაწყვიტეს იბერიაში ჰანიბალის წინააღმდეგ გაეგზავნათ პუბლიუს კორნელიუს სციპიონი, ხოლო ლიბიაში-ტიბერიუს სემპრონიუსი. სციპიონმა 60 გემით იბერიისკენ გასწია, ტიბერიუსი კი 160 გემით ლიბიისკენ გაემართა. ამრიგად, რომაელებმა თავიანთი ძალები გაჰყვეს და ეს მშვენივრად მეტყველებს იმაზე, რომ ისინი ერთი წუთითაც ვერ ითვალისწინებდნენ იმ საფრთხეს, შემდეგში მათ თავს რომ დაატყდათ.

---

[57] თ. მომზენი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 542.

[58] პოლიბიოსი, დასახელებული ნაშრომი, ტ. 1, გვ. 279.

[59] იქვე, გვ. 280.

პუბლიუსი მეხუთე დღეს მივიდა მასალიაში და მდინარე როდანუსთან ჩაუშვა ღუზა, ხოლო ჯარი ხმელეთზე გადმოსხა. აქ მას მოახსენეს, რომ ჰანიბალმა პირენეები უკვე გადალახა და მდ. როდანუსთან არისო.

ჰანიბალის მიერ მდინარის გადალახვას ხელი შეუშალეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, მაგრამ კართაგენელმა სარდალმა ჯარის ერთ ნაწილს უბრძანა მდინარე მთავარი ძალებიდან მოშორებით გადაელახა და შემდეგ ორმხრივი დარტყმით გაანადგურა მრავალრიცხოვანი მტერი. სწორედ ამ დროს ჰანიბალთან მოვიდა მდ. პადუსის დაბლობში მცხოვრები კელტების დელეგაცია მეფე მაგილის მეთაურობით. დელეგატები მეგობრობას და რომაელების წინააღმდეგ დახმარებას აღუთქვამდნენ კართაგენელებს. ჰანიბალმა მაგილს თხოვა ჯარისათვის მიემართა. მაგილის სიტყვამ დიდად აღაფრთოვანა მხედრობა. ამის შემდეგ თვით კართაგენელმა სარდალმა მიმართა ჯარს.

„ახლა, — ამბობდა ის, — როცა გზის დიდი ნაწილი განვვლეთ, როცა გადავლახეთ პირენეები და გზა გავიკვლიეთ გამძვინვარებულ ბარბაროსებს შორის, როცა გადავლახეთ როდანუსი და მრავალი ათასი გალის წინააღმდეგობა, დავძლიეთ, როცა თვით წყლის დინების ძალა ნადირივით დავიურვეთ, ალპების წინაშე, რომლის იქითაც უკვე იტალიაა,—ნუთუ ახლა, ზედ მტრის ჭიშკართან შევდრკებით... და განა რას წარმოადგენს ეს ალპები? ერთი მაღალი მთებია და მეტი არაფერი! იქნებ ის გაშინებთ, რომ ალპები პირენეებზე მაღალია? თუნდაც ასე იყოს. მაგრამ არ არის მთელს დედამიწაზე მწვერვალი, ცასაც რომ სწვდებოდეს, და ადამიანისთვის მიუდგომელი იყოს! ალპები! იქ ხალხიც ცხოვრობს, ხორბალიც მოდის და ფარები ბალახს ძოვენ! ვინ დამიმტკიცებს, რომ მისი უღელტეხილები ჯარისათვის დახშულია? მაშინ როგორღა მოაღწიეს ჩვენამდე ამ ელჩებმა, თქვენს წინაშე რომ დგანან? ხომ არ გადმოფრინდნენ... რა შეიძლება იყოს მიუდგომელი, გადაულახავი ჯარისკაცისთვის, რომელსაც თან არაფერი მიაქვს, გარდა იარაღისა? იმისათვის, რომ აგვეღო საგუნტი, რვა თვის ალყის განმავლობაში რა ჯაფა არ გადავიტანეთ! ახლა ჩვენი მიზანია რომი, მთელი მსოფლიოს დედაქალაქი... ეს ქალაქი თავის დროზე გალებმა აიღეს. პუნს კი მის გალავანთან მისვლაც კი ვერ წარმოუდგენია და ამის გაფი-

ქრებაც არ უნდა. რა გაეწყობა, მაშინ ვაღიაროთ, რომ ჩვენ მხდლეები და სულმოკლენი ვართ იმ ხალხთან შედარებით, რომლებიც არაერთხელ დავამარცხეთ ამ უკანასკნელ დღეებში... ეს მაინც დაიხსომეთ — ჩვენი გზა დასრულდება მარსის ველზე და ტიბრსა და რომის გალავანს შორის"[60].

ჰანიბალს მოახსენეს, რომ პუბლიუსი ცდილობდა მასთან ბრძოლის გამართვას. მან დასაზვერავად გაგზავნა ნუმიდიელები, რომელნიც შეხვდნენ რომაელ მზვერავებს. მოხდა შეტაკება, რომელშიაც 200 ნუმიდიელი და 120 რომაელი გაწყდა.

პუბლიუსმა დაადგინა თუ არა ჰანიბალის ადგილსამყოფელი, მის შესახვედრად გაემართა, მაგრამ ჰანიბალი ბრძოლას მოერიდა. მიუხედავად იმისა, რომ ჰანიბალს გარანტირებული ჰქონდა უეჭველი გამარჯვება, იგი მაინც არ შეება მტერს შემდეგი მიზეზების გამო: ჯერ ერთი, ჰანიბალს უნდა ეჩქარა, რომ მოესწრო ალპებზე გადასვლა აცივებამდე, მეორე, ბრძოლაში არ შეიძლება კართაგენელებსაც არ მოსვლოდათ გარკვეული ზარალი, რაც დაასუსტებდა მათ. განსაკუთრებით საზრუნავი გახდებოდნენ დაჭრილნი, რომელნიც შეაფერხებდნენ ჰანიბალის არმიის მოძრაობას. სწორედ ამ მიზეზების გამო ჰანიბალი ბრძოლას განერიდა. ჰ. დელბრიუკი ჰანიბალის ამ მოქმედების შესახებ წერს, ახალგაზრდა კართაგენელი სარდალი არ გამოეკიდა იაფი დაფნის გვირგვინს, რაც ადასტურებს მთელ მის გენიალობასო[61].

პუბლიუს კორნელიუს სციპიონი, რადგან მტერს ვერ შეხვდა, მან არმია ორად გაყო. ერთ ნაწილს თვითონ ჩაუდგა სათავეში და ჩრდილოეთ იტალიისაკენ გაუძღვა, ხოლო მეორე ნაწილს თავისი ძმა გნეუსი ჩაუყენა სარდლად და ესპანეთში გაგზავნა.

კორნელიუს სციპიონის ამ მოქმედებას სწორად ხსნის დ. პ. კონჩალოვსკი. იგი წერს, რომ სციპიონი მხოლოდ ამ დროს დარწმუნდა ჰანიბალის ნამდვილ განზრახვაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან დიდი ძალები ესპანეთში თავისი ძმის მეთაურობით იმიტომ გაგზავნა, რომ ესპანეთი მიაჩნდა ჰანიბალის ძირითად ეკონომიკურ და პოლიტიკურ დასაყრდენადო.

ჰანიბალმა ოთხი დღის შეუსვენებელი მარშის შემდეგ ე. წ. „კუნძულს" მიაღწია. ეს ის ადგილიაო, წერს პოლიბიოსი, რომელ-

---

[60] ტ ი ტ უ ს ლ ი ვ ი უ ს ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 32—33.
[61] ჰ. დ ე ლ ბ რ ი უ კ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 290.

საც ორივე მხრიდან მდინარეები როდანუსი და ისარა უვლიანო[62]. აქ მან მონაწილეობა მიიღო ორი ძმის ცილობაში, დაეხმარა უფროსს უმცროსის წინააღმდეგ და სამაგიეროდ მიიღო სურსათი, ტანსაცმელი და ახალი იარაღი უვარგისის ნაცვლად. ამის შემდეგ კართაგენის არმიამ კვლავ ალპებისაკენ განაგრძო გზა. ალპების გადალახვის ადგილის შესახებ მეცნიერებაში სხვადასხვა აზრია. ეს გაშოწვეულია იმით, რომ პოლიბიოსი და ტიტუს ლივიუსი ამ მხრივ ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობებს გვაწვდიან. ამის გამო მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ჰანიბალმა ალპები სენ-ბერნარის უღელტეხილით გადალახა, ხოლო მეორეთა აზრით — მონ-სენის უღელტეხილით.

ჰანიბალის მიერ ალპების გადალახვა ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელია სამხედრო ხელოვნების ისტორიაში. ლაშქრობა სიძნელეებით იყო აღსავსე. არმიის მოძრაობას ხელს უშლიდნენ ადგილობრივი მთიელნი, რომელნიც თავს ესხმოდნენ ხან წინა, ხან უკანა რიგებს და დიდ ზიანს აყენებდნენ არმიას. „მეცხრე დღეს ჰანიბალმა უღელტეხილს მიაღწია და იქ გაშალა ბანაკი, რომელშიც ორ დღეს დარჩა“[63]. ამ ორი დღის განმავლობაში საარიერგარდო ნაწილი წამოეწია არმიის მთავარ ძალებს. ჯარმა დაისვენა, მაგრამ ლაშქრობის არაადამიანურმა სიძნელეებმა დიდი ზიანი მიაყენა მის სულიერ მხარეს. ამიტომ ჰანიბალმა საჭიროდ ჩათვალა მებრძოლებისათვის გამამხნევებელი სიტყვით მიემართა. მან მიუთითა იტალიაზე, რომელიც გაშლილი იყო ალპების ძირში და იქ არსებულ სიმდიდრეზე. ამით მან ბრძოლისა და გამარჯვების წყურვილი აღუძრა ჯარს, რომლის დაქირავებული წევრებისთვისაც ბრძოლაში გამარჯვება ძარცვასა და გამდიდრებას ნიშნავდა.

„...შეხედეთ, ჩვენს წინაშეა იტალია, — თქვა ჰანიბალმა, — და დღეს თქვენ არა მარტო მის კედლებზე ახვედით, არამედ ქალაქ რომის კედლებზეც. ამიერიდან გზა სწორი და იოლი იქნება: ერთი, ჰა, სულ დიდი ორი ბრძოლა, — და იტალიის დედაქალაქი თქვენს ხელთ და თქვენს განკარგულებაში აღმოჩნდება“[64].

---

[62] პ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 296.

[63] იქვე, გვ. 301.

[64] ტ ი ტ უ ს ლ ი ვ ი უ ს ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 37, აგრეთვე პ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 301.

მეორე დღეს ჰანიბალი აიყარა და დაიწყო მთებიდან ძირს დაშვება. აქ მას მტერი არ შეხვედრია, მაგრამ „გზის სიძნელეებისა და თოვლის გამო თითქმის იმდენი მებრძოლი დაკარგა, რამდენიც მთებზე ასვლისას“[65].

მესამე დღეს ჰანიბალმა ვაკეს მიაღწია. იმის შესახებ, თუ რა ზარალი ნახა ჰანიბალმა ახალი კართაგენიდან ალპების გადალახვამდე, ცნობას გვაწვდის პოლიბიოსი. იგი წერს: „განვლო რა მთელი გზა ახალი ქალაქიდან ხუთ თვეში და ალპები 15 დღეში, ჰანიბალი ბოლოს მხნედ დაეშვა პადუსის ველზე... მას თან ჩამოყვა 12 ათასი ქვეითი ნუმიდიელი, 8 ათასი იბერი და არა უმეტეს 6 ათასი ცხენოსნისა“[66]. ამ ცნობის უტყუარობის დასამტკიცებლად პოლიბიოსი იმოწმებს ჰანიბალის ბრძანებით გაკეთებულ დაფას, რომელიც ლაციუმში ინახებოდა მის დროს.

ამრიგად, ჰანიბალმა უდიდესი ზარალი ნახა ბარბაროსთა თავდასხმებისა და იმ საშინელი გაჭირვებისაგან, რომლის გადატანაც მოუხდა ჯარს ლაშქრობის დროს. კართაგენელი სარდალი იძულებული იყო გაეთვალისწინებინა ესოდენ დიდი ზარალი. ახლა მას გაცილებით ნაკლები ძალები გააჩნდა. ამიტომ იგი იძულებული იყო გადაესინჯა თავისი ტაქტიკა და შექმნილი სიტუაციის მიხედვით შეედგინა იგი.

ისეთი კრიტიკულად მოაზროვნე მეცნიერიც კი, როგორიც ჰ. დელბრიუკია, ამ უდიდეს ზარალს ბუნებრივად მიიჩნევს, რადგან „ცნობილია, — წერს ის, — როგორ ფიტავს არმიას მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ლაშქრობა, თუნდაც დიდი ბრძოლების გარეშე“[67].

მაგრამ ჰანიბალმა იცოდა ვის წინააღმდეგაც იბრძოდა. მან იცოდა მტრის ყველა სუსტი მხარე, სჯეროდა, რომ რომაელ კონსულთა რუტინაზე უნდა გაემარჯვა მის მოჭნილ სამანევრო ბრძოლას, რომის თვითდაჯერებაზე, — მისი მებრძოლების გმირობასა და სიმამაცეს.

„ჰანიბალი ეკუთვნოდა იმ ბუნების ადამიანებს, რომლებიც სასიკვდილო საფრთხის ჟამს თავიანთ საუკეთესო თვისებებს ამ-

---

[65] პ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 301.

[66] ი ქ ვ ე, გვ. 303.

[67] ჰ. დ ე ლ ბ რ ი უ კ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 290.

ულავნებენ და უფსკრულის პირას ყველაზე უფრო ზუსტად პოულობენ ხსნის გზას. მისი არმიისათვის ხსნა მხოლოდ გამარჯვებას ნიშნავდა"[68].

ჰანიბალი ალპების ძირში შეჩერდა. იგი დაღლილ-დაქანცული, ფიზიკურად და მორალურად დაცემული არმიის ძალების აღდგენას შეუდგა. ამის შემდეგ მან გადაწყვიტა ახლო მცხოვრებ ტომებთან მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინა. მან მოკავშირეობა შესთავაზა ტაგრიმანების ტომს, მაგრამ უარი შეიღო. ჰანიბალმა სამაგალითოდ დასაჯა ეს ტომი. რითაც „ისეთი ძრწოლა მოჰგვარა მეზობელ ბარბაროსებს, რომ მაშინვე მასთან გამოცხადდნენ და მფარველობა სთხოვეს"[69].

ამგვარად, ჰანიბალმა ფეხი მოიკიდა იტალიაში. რომაელებმა ხელიდან გაუშვეს მისი დამარცხების შესანიშნავი მომენტი. თ. მომზენის აზრით, რომაელებს რომ გენერალური ბრძოლა გაემართათ ჰანიბალისათვის ალპების ძირში მაშინ, როცა ჰანიბალის არმია ქანცგამოლეული დაეშვა იქ, მათ რომ მთელი სერიოზულობით გაეთვალისწინებინათ მოწინააღმდეგის ძალა, მათ რომ იმთავითვე მოეხდინათ მნიშვნელოვანი ძალების კონცენტრაცია, მაშინ საეჭვოა ჰანიბალის გენიალურ ჩანაფიქრს ფრთები შესხმოდა[70].

კელტების მნიშვნელოვანი ნაწილი ჰანიბალს შეხვდა როგორც მოკავშირესა და გხნმათავისუფლებელს.

პირველი შეტაკება რომაელებსა და კართაგენელებს შორის მდ. ტიციინუსთან მოხდა 218 წელს. ამის შესახებ დ. პ. კონჩალოვსკი წერს, სციპიონი მიხვდა, რა მასშტაბის სარდალთან ჰქონდა საქმე, მაგრამ მაინც ვერ წარმოედგინა რომაელთათვის ჩვეული სიამაყის წყალობით, რომ წარმატებას ვერ მიაღწევდა[71]. ბრძოლის წინ ორივე მხარის მხედართმთავრებმა სიტყვებით მიმართეს თავიანთ ჯარისკაცებს. ჰანიბალმა ჯარისკაცებს მიუთითა რომაელთა სიმდიდრეზე, რომელიც გამარჯვების შემთხვევაში კართაგენელთა ალაფად იქცეოდა. იგი შოუწოდებდა ჯარისკაცებს „უდიდესი ნე-

---

[68] დ. პ. კონჩალოვსკი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 62.
[69] პოლიბიოსი, დასახელებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 307.
[70] თ. მომზენი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 552.
[71] დ. პ. კონჩალოვსკი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 63.


500-500 მეომარი
ლეგიონები
ლეგიონები
ბანაკები
ბრიტანეთი
ბრიტანეთი
ბრიტანეთი

ბა გამოამეღავნა. ამ არმიის წარმატებათა წყარო იყო მისი კავალერიის მრავალრიცხოვნობა და სიძლიერე. ფრ. ენგელსი რომაელთა ამ მარცხის შესახებ წერს: რომაელები არასოდეს არ იყვნენ ცხენოსნები. მათი ცხენები უჯიშონი იყვნენ, ხოლო მებრძოლებმა არ იცოდნენ მისი ტარება... ბრძოლა ხანმოკლე იყო, რომაელები მამაცურად იბრძოდნენ, მაგრამ გამარჯვების უმცირესი შანსიც კი არ ჰქონდათ... საკუთარმა ცხენებმა დაამარცხეს ისინი[73].

ტიციენუსთან ბრძოლამ დაარწმუნა პუბლიუსი, რომ ჰანიბალის არმიასთან გაშლილ ველზე დიდი ბრძოლის გამართვა რომაელებისათვის ხელსაყრელი არ იყო. „ჰანიბალმა, — წერს დენისონი, — პირველმა დასავლეთ ევროპაში გაიგო კავალერიის ნამდვილი მნიშვნელობა და ყველა ის სიკეთე, რისი გამოწურვაც მისგან შეიძლებოდა. ეს იყო ერთ-ერთი ისეთი უდიდესი ხელოვანი სამხედრო საქმისა, რომლებიც გამოჩნდებიან ხოლმე საუკუნეში ერთხელ და თავისი გენიის დაღს ასვამენ მთელ მათ თანამედროვე სამხედრო ისტორიას“[74]. შემდეგ იგი სწორად აფასებს ჰანიბალის გამარჯვებებში ცხენოსანი ჯარის როლს და წერს:

„აღმოსავლეთში ალექსანდრეს მსგავსად, ჰანიბალი — დასავლეთში, ბრწყინვალე გამარჯვებების მთელ სერიას, რომელიც მოიპოვა საუკეთესო ქვეით ჯარზე, უნდა უმადლოდეს მრავალრიცხოვან, შესანიშნავად გაწვრთნილ ცხენოსან ჯარს და მისი გაძღოლის ცოდნას“[75].

დენისონი, ეყრდნობა რა ანტიკურ ავტორებს, ჰანიბალის ცხენოსან ჯარს ყოფს მძიმე და მსუბუქ ნაწილებად. მძიმეს ჰქონდა შემდეგი შეიარაღება: კაპარჭი, მუზარადი, რკინის ორთუყები, მახვილი და მოკლე შუბი. იგი იყოფოდა ესკადრონებად, რომლებშიც შედიოდა 64 კაცი. მოკავშირე გალების ცხენოსანი ჯარიც მძიმე ნაწილს ეკუთვნოდა.

მსუბუქი კავალერია ნუმიდიელებისაგან შედგებოდა. მათი ცხენები ტანმორჩილნი, მაგრამ მარდნი იყვნენ. თვით ნუმიდიელები ცუდად იყვნენ შეიარაღებული. უნაგირს არ ხმარობდნენ. არც სპეციალურ აღვირსა და არც სადავეს. ცხენს მიერეკებოდნენ წკნელით

---

[73] ფ. ენგელსი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 182—183.

[74] Денисон. История конницы. I, С.-Петербург, 1897, с. 48.

[75] იქვე, გვ. 48.

რომაელი ცხენოსანი.

ან ქამრით. ანტიკური ავტორების ცნობით, ისინი თითქმის მთლად შიშველნი იყვნენ და მხოლოდ ზურგზე ეფარათ პატარა მოსასხამი, რომელიც ჭენების დროს ჰაერში ფრიალებდა. შეიარაღებული იყვნენ ხელშუბებით და ფარებით. მათ ევალებოდათ: დაზვერვა, ალაფობა, მტრის არიერგარდების დევნა; იყვნენ სწრაფნი, მოქნილნი. გულადნი, შეიარაღება მათი შეეფერებოდა მათი დანიშნულების შინაარსს. მოკლე ხელშუბი მათ ხელში მრისხანე იარაღად იქცეოდა[76].

[76] დ ე ნ ი ს ო ნ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 48.


პო
პლაცენცია
ტრებია
მოკავშ.
II
მოკავშ.
ტრებიის ბანაკი
ბანაკი
ბანაკი

ჰანიბალმა რომაელებთან ახლოს გაშალა ბანაკი. ჯარის ნაწილი გაგზავნა იმ კელტების ასაოხრებლად, რომელნიც ორჭოფობდნენ. მათ, თავის მხრივ, დახმარებისათვის რომაელებს მიმართეს. სემპრონიუსმა მათ დასახმარებლად ათასი მებრძოლი გაგზავნა. რომაელებმა გადალახეს მდინარე ტრებია და მტერს ეკვეთნენ. ამ ბრძოლაში, რომელშიც ორივე მხარე მიეშველა თავისიანებს, რომაელებმა უფრო მცირე ზარალი ნახეს, ვიდრე კართაგენელებმა. კართაგენელთა ამ დამარცხებას პოლიბიოსი ხსნის იმით, რომ თითქოს ჰანიბალი მზად არ იყო გადამწყვეტი ბრძოლისათვის[77]. შესაძლებელია, ეს ჰანიბალის ტაქტიკური ხრიკი იყო, რომელსაც კართაგენელმა სარდალმა იმისათვის მიმართა, რომ გაეხალისებინა ტიბერიუს სემპრონიუსი და მისთვის დიდ ბრძოლაში გამარჯვების იმედი მიეცა.

პუბლიუსი გენერალური ბრძოლის წინააღმდეგი იყო. იგი ვარაუდობდა, რომ ზამთრის ვარჯიშები მებრძოლებს გამოაწრთობდა და შესაძლოა, კელტებიც, თავიანთი მერყეევი ხასიათის გამო, კვლავ რომაელების მხარეზე გადასულიყვნენ. ჰანიბალმა კარგად იცოდა პუბლიუსის ეს განზრახვა. ამიტომ მან გადაწყვიტა როგორმე მოეხერხებინა ბრძოლის გამართვა ტიბერიუსის მორიგეობისას. იგი ცდილობდა ესარგებლა კელტების საბრძოლო აღტყინებით და ეშურებოდა, რაც შეიძლება ჩქარა გაემართა ბრძოლა, რადგან გამოუცდელი, ცოტა ხნის წინათ შეგროვილი რომაული ლეგიონების დამარცხება, რომელთაც ჯერ ვერ მოესწროთ ჯეროვანი საბრძოლო წვრთნის გავლა, ადვილი იყო. ჰანიბალმა გადაწყვიტა ხაფანგი მოეწყო მოწინააღმდეგისათვის. მან თავისი გეგმა გაანდო სამხედრო საბჭოს, რომლის წევრებმაც მოიწონეს სარდლის აზრი. ამის შემდეგ სარდალმა ათასი ცხენოსანი და ქვეითი გაგზავნა ჩასასაფრებლად, ხოლო ნუმიდიელებს უბრძანა მიახლოებოდნენ მტრის ბანაკს და მოწინააღმდეგისათვის თავს მოეხვიათ ბრძოლა.

ბრძოლა მოხდა ცივ ამინდში. რომაელი მებრძოლები და ცხენები ბრძოლაში უჭმელნი ჩაებნენ. მათ გადალახეს ცივი მდინარე, რომელიც მებრძოლებს მკერდამდე სწვდებოდა. კართაგენელები კი დანაყრდნენ, ცხენები შეკაზმეს ბრძოლისათვის, ტანი დაიზილეს ზეთით და ყოველმხრივ მომზადებულნი ჩაებნენ ბრძოლაში.

---

77 პ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 319.



რომაელი მხედარი.

ტიბერიუსი წამოეგო ჰანიბალის ანკესზე. მან ნუმიდიელებს დაადევნა ჯერ ცხენოსნები, შემდეგ 6 ათასი ქვეითი; ნუმიდიელებმა პირი იბრუნეს. ჰანიბალმა დაუცადა შესაფერის მომენტს და მთელი ძალები ჩააბა ბრძოლაში. კართაგენელმა სარდალმა მთელი ქვეითი ჯარი 20 ათასი კაცის რაოდენობით ერთ სწორ ხაზზე განალაგა, კავალერია, რომელიც კელტ მოკავშირეებთან ერთად, 10 ათას კაცს აღემატებოდა, ორ ნაწილად გაყო და ფლანგებზე დააყენა. ფლანგებს შორის გაანაწილა სპილოებიც.

ტიბერიუსის ქვეითი ჯარი 36 ათასი კაცისაგან შედგებოდა. კავალერია 4 ათას მხედარს ითვლიდა. დარწმუნებული თავის ძალაში, იგი „ამაყად, დინჯად, საბრძოლო წყობით გაემართა მტრის წინააღმდეგ“[78].

[78] პ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 323.

შეტაკებისთანავე გამომჟღავნდა, რომ რომაელები ბევრ რამეში ჩამორჩებოდნენ კართაგენელებს. მათ ნუმიდიელებთან შეტაკებისას ხელშუბების დიდი რაოდენობა დახარჯეს. ისე რომ, როდესაც მთავარი ძალები ბრძოლაში ჩაებნენ. მებრძოლთა უმეტესობას ხელშუბები აღარ ჰქონდა, ხოლო დიდი ნაწილი, სინესტის გამო, უვარგისი აღმოჩნდა. კართაგენელები კი დასვენებული ძალებით ჩაებნენ ბრძოლაში და სარდლის ყველა ბრძანებას ზუსტად ასრულებდნენ.

კართაგენელთა კავალერიამ შეავიწროვა მოწინააღმდეგის ფლანგები. ამის შემდეგ საქმეში ჩაერია ჯარის ძირითადი მასა, თან ჩასაფრებული ნუმიდიელები გამოვიდნენ საფრიდან და ზურგიდან დაარტყეს მტერს. მოწინააღმდეგეს ელეტდნენ კართაგენელთა სპილოებიც. რომაელები დამარცხდნენ. 10 ათასმა რომაელმა გაქცევით უშველა თავს. კართაგენელებს მცირე ზარალი მოუვიდათ, რაც მეტწილად კელტებზე მოდიოდა[79].

„ბრძოლა მდინარე ტრებიაზე შეიძლება განვიხილოთ როგორც ეტაპი კანასკენ მიმავალ გზაზე"[80].

ტრებიაზე ბრძოლაში გამოვლინდა ჰანიბალის დიდი სამხედრო ნიჭი. ტრებიაზე ბრძოლის შესახებ დენისონი შენიშნავს, რომაელების სარდალს ბრძოლა რომ არ მიეღო კართაგენელთა კავალერიისათვის ხელსაყრელ პირობებში, მაშინ „ბრძოლის შედეგი უთუოდ სულ სხვა იქნებოდა. ტრებიის ბრძოლამ ნათელყო, რომ კართაგენელთა ქვეითი ჯარი ძლიერ ჩამორჩებოდა რომაულს"[81]. ამ ბრძოლამ რომაელებს დაანახვა, რომ კართაგენელი სარდლის წინააღმდეგ უფრო სერიოზული, ყოვლისმომცველი საომარი სამზადისი იყო საჭირო, რომ მათ წინააღმდეგ დიდოსტატი სარდალი იდგა.

რომაელთა ჯარების დამარცხებამ დედაქალაქში დიდი შეშფოთება გამოიწვია. მათ კიდევ უფრო გულმოდგინედ იწყეს ომისათვის მზადება. გამწვავდა პარტიული ბრძოლა. დემოკრატიულმა პარტიამ კონსულად ფლამინიუსი გაიყვანა. კონსულად იქნა აგრეთვე არჩეული გნეუს სერვილიუსი. რომაელებმა დახმარებისათვის

---

[79] პ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 324—325.

[80] Е. А. Р а з и н. История военного искусства, М., 1955, с. 318.

[81] დ ე ნ ი ს ო ნ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 54.

სიცილიის მეფე ჰიერონს მიმართეს. მან 1500 მებრძოლი გამოგზავნა. კონსულები რომისა და მოკავშირეების ჯარებს დედაქალაქში უყრიდნენ თავს.

ჰანიბალმა ზამთარი კელტიკაში გაატარა. „ის რომის მოკავშირეებს განსაკუთრებით პატივისცემით ექცეოდა, ეუბნებოდა მათ, რომ სამტროდ კი არ არის მოსული, არამედ — რომაელების წინააღმდეგ — მათ დასახსნელად. ამ სიტყვებთან ერთად იმ მიზნით, რომ იტალიის მცხოვრებთა გული მოეგო, ტყვეები გამოსასყიდის გარეშე შინ გაუშვა[82].

გაზაფხულის დადგომისთანავე ფლამინიუსი ტირენიაზე გავლით არეცინისაკენ გაემართა, ხოლო გნეუს სერვილიუსმა არიმინუმისაკენ გასწია, რომ იქ დალოდებოდა მტერს.

კელტები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ მათი ტერიტორია ომის ასპარეზად იქცა და სურდათ იგი როგორმე თავიანთი მიწა-წყლიდან გადაეტანათ, რითაც ნადავლში წილს დაიდებდნენ. ჰანიბალმა გადაწყვიტა დაეკმაყოფილებინა მათი სურვილი.

კართაგენელმა სარდალმა გადაწყვიტა მტრისთვის დიდი ბრძოლა გაემართა. მაგრამ ყველა გზას რომაელები დარაჯობდნენ.

ამ გარემოებამ აიძულა ჰანიბალი სხვა გამოსავალი მოეძებნა. მან ჭაობზე გავლა გადაწყვიტა. ეს გზა, თუმცა უდიდეს ჯაფას მოითხოვდა, მაგრამ მოკლე და მტრისათვის შეუმჩნეველი იყო. ჰანიბალის ამ გადაწყვეტილებამ ჯარში შეშფოთება გამოიწვია, მაგრამ ბელადის გადაწყვეტილება ურყევი იყო. წინ მან ლიბიელები და იბერები გაუშვა, საერთოდ, თავისი არმიის საუკეთესო ნაწილი. მათვე გაატანა ალალი. სურსათის მარაგზე არ უზრუნია, რადგან ფიქრობდა, თუ გაიმარჯვებდა სურსათის შოვნა არ გაუძნელდებოდა, ხოლო დამარცხებულს იგი აღარ დასჭირდებოდა. საარიერგარდო ჯარს სათავეში ჰანიბალმა მაგონი ჩაუყენა. ეს იმას ნიშნავდა, რომ, თუ კელტები ვერ აიტანდნენ ლაშქრობის სიმძიმეს და პირს იბრუნებდნენ, მაგონს ისინი თავისი კავალერიით უნდა შეეჩერებინა.

ლაშქრობა უდიდესი სიძნელეებით იყო აღსავსე. ჯარი იტანჯებოდა უძილობისაგან, რადგან სამი დღისა და ოთხი ღამის განმავ-

---

[82] პ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 327.

ლობაში მეომრებს ჭაობიდან გამოსვლის საშუალება არა ჰქონდათ. ყველაზე მეტად კელტები იტანჯებოდნენ და იღუპებოდნენ, რადგან მათ სიარული უხდებოდათ მეწინავე ნაწილების მიერ უკვე გავლილ ლაფში, რომელიც ამის გამო, კიდევ უფრო გაუვალი ხდებოდა. პირუტყვის დიდი ნაწილი ტალახში ეფლობოდა და იღუპებოდა. თვით ჰანიბალი ჯართან ერთად ინაწილებდა გზის მთელ სიმძიმეს. „აუტანელმა ჯაფამ მას თვალის ავადმყოფობა დამართა, რის გამოც, ცალი თვალი დაკარგა კიდეც. მდგომარეობა არ აძლევდა არც გაჩერების, არც თვალის მკურნალობის საშუალებას“[83].

ამ ოპერაციას ალპებზე გადასვლას ადარებენ[84].

ჰანიბალმა ბოლოს გადალახა ჭაობი და არიცინუმთან დაბანაკდა. მან დაასვენა და მოაწესრიგა ლაშქარი. ამის შემდეგ საბრძოლო სამზადისს შეუდგა.

კართაგენელმა სარდალმა გადაწყვიტა ახლომდებარე მიდამოების აოხრება, რითაც ფლამინიუსს გააღიზიანებდა და აიძულებდა ბრძოლა მიეღო. მან კარგად იცოდა, რომ ფლამინიუსი რომაელთა არა მარტო სარდალი, არამედ პარტიის ლიდერიც იყო.

ფლამინიუსის ჯარი ბრძოლისათვის გამოუსადეგარი იყო. იგი შედგებოდა ბრძოლებში გამოუცდელი ახალგაზრდებისაგან და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, „შეიარაღებული ნაკლები ჰყავდა, ვიდრე უიარაღო“[85].

ჰანიბალის მოქმედებით გაღიზიანებულმა ფლამინიუსმა გადაწყვიტა ბრძოლა მიეღო. მოწინააღმდეგენი ერთმანეთს ტრაზიმენის ტბასთან შეხვდნენ. ფლამინიუსი კართაგენელი სარდლის ხაფანგში მოექცა.

ბრძოლა მოხდა მინდორზე, რომელიც მთებით მთავრდებოდა. ჰანიბალმა მინდვრის ვიწრო შესავალში დააყენა იბერები და ლიბიელები. დანარჩენი არმია მაღლობებს იქით ჩაასაფრა. მან დააცალა ფლამინიუსის არმიას, რომ ხეობაში მთლიანად შესულიყო და შემდეგ ყოველი მხრიდან დაარტყა. „მტერი რომაელებს ერთბაშად ესხმოდა ფრონტიდან, ზურგიდან და ფლანგებიდან“[86].

---

[83] პ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 330.
[84] А. И. Л а п и н. Ганнибал. М., 1939, с. 83.
[85] პ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 330.
[86] ი ქ ვ ე. გვ. 333—334.



ბრძოლა ტრაზიმენის ტბასთან.

რომაელებმა მნიშვნელოვანი ზარალი განიცადეს. „ბრძოლის ველზე დაეცა 15 ათასი რომაელი, რომელთაც საშუალება არ ჰქონდათ გასცლოდნენ იქაურობას, ან რაიმე წინააღმდეგობა გაეწიათ... ნაწილი რომაელებისა, რომელნიც ხეობაში ფერდობებს შორის მდებარე ვიწროებში ჩაკეტეს, დაიღუპნენ სამარცხვინო და უმწეო სიკვდილით, კერძოდ: ტბასთან მომწყვდეულნი, ისინი დაფეთებულნი, იარაღიანად ტბაში ცვივოდნენ, სულ უფრო შორს მიდიოდნენ და შემდეგ ჩერდებოდნენ; წყლის ზემოთ მხოლოდ მათი თავებიღა მოჩანდა. როცა, ამის შემდეგ, გამოჩნდა (კართაგენელთა) ცხენოსანი ჯარი და უთუო დაღუპვა დაემუქრათ, ბედკრულნი, ზეაწეული ხელებით, ბაგეებზე მუდარით, იღუპებოდნენ მტრის ხელით ან ერთმანეთს ევედრებოდნენ სიკვდილს, ანდა თვით ისპობდნენ სიცოცხლეს“[87].

რომაელები სასტიკად დამარცხდნენ. ბრძოლაში დაეცა ფლამინიუსიც. ჰანიბალის ზარალი უმნიშვნელო იყო და ისიც უმეტესწილად კელტებზე მოდიოდა[88].

[87] პ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 334.

[88] ი ქ ვ ე, გვ. 335.

გნეუს სერვილიუსმა, რომ გაიგო ჰანიბალის ტირენიაში შეჭრის ამბავი, მაშინვე კოლეგის დასახმარებლად გასწია. მან დააწინაურა ოთხი ათასი მხედარი გაიუს ტერენციუსის მეთაურობით. ჰანიბალმა მას მაჰარბალი შეაგება; რომაელები დამარცხდნენ.

ტრაზიმენის ბრძოლა ჩასაფრების და მთელი არმიის ხაფანგში გაბმის საუკეთესო მაგალითია[89].

სასტიკმა მარცხმა შეშფოთება გამოიწვია რომაელებში. მათ საგანგებო ღონისძიებებს მიმართეს და უარყვეს ომის ხელმძღვანელობის პრაქტიკა არჩეული თანამდებობის პირების მეთაურობით. ისინი დაიწმუნდნენ, რომ მდგომარეობა მოითხოვდა საგანგებო ღონისძიების გატარებას, მიხვდნენ, რომ საჭირო იყო სრულუფლებიანი ბელადი, დიქტატორი, რომელიც საგანგებო და გადამჭრელ ღონისძიებებს განახორციელებდა. დიქტატორად დანიშნულ იქნა ფაბიუს მაქსიმუსი „განსაკუთრებული ჭკუისა და ბუნებისაგან უხვად დაჯილდოებული ადამიანი"[90].

დიქტატორმა ბრძანა სერვილიუსის ორი ლეგიონისათვის კიდევ ორი დაემატებინათ და გაეძლიერებინათ. სოფლის მცხოვრებლებს, სადაც შესაძლებელი იყო უახლოეს ხანებში ჰანიბალის გამოჩენა, მან უბრძანა ქალაქისათვის თავი შეეფარებინათ და გაეწადგურებინათ ნათესები, რათა მტერს ვერაფერი ეგდო ხელთ[91].

დიქტატორის უფლებები ფართო იყო. თუ კონსულები ვალდებულნი იყვნენ რაიმე ღონისძიების განსახორციელებლად სენატის ნებართვა აეღოთ, დიქტატორი სრულუფლებიანი ხელმძღვანელი იყო, რომლის დანიშვნისთანავე ყველა თანამდებობის პირი რომში, სახალხო ტრიბუნებს გარდა, კარგავდა თავის უფლებებს[92].

კვინტუს ფაბიუს მაქსიმუსი დინჯი, მტკიცე, ფრთხილი პიროვნება იყო[93].

დიქტატორმა გადაწყვიტა ქვეყნის შიგნით ისეთი საგანგებო ღონისძიებები განეხორციელებინა, რომლებიც ხალხს გაამხნევებდა, ასწევდა მის მორალურ დონეს. ამ მიზნით ბრძანება გასცა ხშირად

---

[89] ე. რ ა ზ ი ნ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 311.
[90] პ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 338.
[91] ტ ი ტ უ ს ლ ი ვ ი უ ს ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 66.
[92] პ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 338.
[93] იქ ვე, გვ. 339—340.

გაემართათ თეატრალური და მუსიკალური სანახაობანი; ამისათვის გაღებულ იქნა გარკვეული სახსრები[94].

ფაბიუსმა ჰანიბალთან ბრძოლაში წვრილი თავდასხმების ტაქტიკა არჩია. დიქტატორის ასეთ ტაქტიკას ეწინააღმდეგებოდა ცხენოსანი ჯარის უფროსი მარკუს მინუციუსი, რომელიც მისი მოადგილე იყო. მინუციუსი ჯარისკაცთა მასის სულისკვეთებას გამოხატავდა და გადამწყვეტი, დიდი ბრძოლების მომხრე იყო.

ჰანიბალმა აპენინები გადაიარა და სამნიუმის ოლქში შეჩერდა. აქ მან ვენუზია აიღო. ფაბიუსი მას 1—2 დღის სავალზე აედევნა. კართაგენელთა სარდალმა შენიშნა, რომ ფაბიუსი გადამწყვეტ ბრძოლაზე არ მიდიოდა. ამიტომ იგი თამამად გაემართა კაპუის მიდამოებისაკენ, ფალერენისაკენ.

„ამით იგი ფიქრობდა ორი მიზნიდან ერთისათვის მიეღწია: ან აეძულებინა მოწინააღმდეგე ბრძოლა მიეღო, ან ყველასათვის აშკარად დაენახვებინა, რომ სრული გამარჯვება მოიპოვა და რომაელები ბრძოლის ველიდან გაეცალნენ... საქმე ისაა, რომ მიუხედავად რომაელების ორი დამარცხებისა, იტალიის არც ერთი ქალაქი არ ჩამოსცილებია მით და არ გადასულა კართაგენელის მხარეზეო"[95], —წერს პოლიბიოსი.

ბოლოს ფაბიუსსა და ჰანიბალს შორის მცირე ხასიათის შეტაკება მაინც მოხდა. ფაბიუსმა ხაფანგში გაბმა დაუპირა მტერს, მაგრამ კართაგენელი სარდალი გაუსხლტა და საკმაოდ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა რომაელებს. ამის შემდეგ ფაბიუსი რომში გაემართა რელიგიურ ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად და ავტომატურად მისი ადგილი მარკუს მინუციუსმა დაიკავა.

რომში წასვლის წინ, ტიტუს ლივიუსის გადმოცემით, ფაბიუს მაქსიმუსმა მინუციუსი გააფრთხილა, რომ ჰანიბალისათვის არავითარ შემთხვევაში არ გაემართა ბრძოლა.

— ნუ გგონია, —ამბობდა ის, — რომ ზაფხულმა უკვალოდ განვლო. ექიმებიც ხომ ავადმყოფებს ხშირად სიმშვიდით ჰკურნავენ.

---

[94] П л у т а р х. Сравнительные жизнеописания. Ч. II, перевод с греческого В. Алексеева. Перикл и Фабий Максим. С.-Петербург, 1891, с. 179.

[95] პ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 342.

ჩვენთვისაც აუცილებელი იყო დამარცხებათა დავიწყება, გაუთავებელი წარუმატებლობის შემდეგ შვებით ამოსუნთქვა"[96].

ჰანიბალი გამოსაზამთრებლად გერუნიაში დარჩა. აქ შეტაკება მოხდა ჰანიბალისა და მინუციუსის ჯარებს შორის. ჰანიბალის ჯარისკაცებს, რომელნიც მინდვრად იყვნენ გასულნი და სურსათს იმარაგებდნენ, მარკუსი მოულოდნელად თავს დაესხა. მან გარკვეული ზიანიც მიაყენა კართაგენელებს, ამან კიდევ უფრო ასწია მისი პრესტიჟი.

ახლა ძნელია იმის თქმა, მინუციუსმა მართლა გაიმარჯვა, თუ ეს ჰანიბალის ჩვეული ხრიკი იყო, რითაც მან წაახალისა მოწინააღმდეგე. ასეა თუ ისე, მინუციუსის წარმატებამ, რომლის შესახებაც მან სასწრაფოდ აცნობა რომს, დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. დედაქალაქში ყველა ზეიმობდა, გარდა ფაბიუსისა.

ამასთან, რომში, ისე როგორც ჯარში, ფაბიუსს მრავალი მტერი ჰყავდა. მას ბრალს სდებდნენ დანაშაულებრივ ზოზინში, სიმხდალეში, თვით ღალატშიც კი.

ღალატის თაობაზე ხმები ჰანიბალის ხრიკის გამო გავრცელდა: ჰანიბალმა ბრძანება გასცა აეოხრებინათ და გადაეწვათ დიქტატორის მამულის ახლომახლო ყველაფერი და მხოლოდ ფაბიუსის სახლისა და მინდვრისათვის არ ეხლოთ ხელი. ამან, ცხადია, კიდევ უფრო გააღრმავა ეჭვები.

სახალხო ტრიბუნი მარკუს მეტილიუსი, რომელიც კრებას კრებაზე იწვევდა, დიქტატორის მისამართით სიძულვილით აღსავსე სიტყვებს წარმოთქვამდა.

«გაგონილა, — ამბობდა ის, — ამას რაღა ვუწოდოთ! ჯერ ერთი, როცა ჯართან არის ჩვენი დიქტატორი, გამარჯვების საშუალებას არ აძლევს მას. ახლა, როცა რომში დაბრუნდა, ამ გამარჯვებას საეჭვოდ ხდის... მას მხოლოდ ერთი რამ სურს: როგორმე რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნოს ძალაუფლება და ამიტომ აჭიანურებს ომს, იმიტომ უყურებს მშვიდად, როგორ აოხრებს პუნი იტალიის მიწას, იმიტომ გამოკეტა ბანაკში ჩვენი ბრძოლის წყურვილით ანთებული ლეგიონები, მებრძოლებს ხმლები და შუბები ჩამოართვა, თითქოს მტრები იყვნენ. ფაბიუსი მთლად უნდა გადავაყენოთ, მაგრამ მე თანახმა ვარ შედარებით მცირეზეც: უფლებებით გავუ-

[96] ტიტუს ლივიუსი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 71.

თანაბროთ დიქტატორს მისი თანაშემწე—თქვენ ხომ ყველამ მშვენივრად იცით, როგორი მამაცია მარკუს მინუციუსი!"[97]

ფაბიუსმა ყური არ ათხოვა სახალხო ტრიბუნის სიტყვებს და სასწრაფოდ გასწია უკან, ჯარისაკენ. მაგრამ მეტილიუსმა სახალხო კრებას მიაღებინა დადგენილება, რომლითაც მინუციუსი ისეთივე უფლებებით აღიჭურვა, როგორი უფლებებიც ჰქონდა ფაბიუს მაქსიმუსს. დადგენილების ამბავი დიქტატორმა გზაში გაიგო, მაგრამ ჩვეული სიდინჯით გადაიტანა ეს დიდი შეურაცხყოფა. ამრიგად, ერთისა და იმავე ომის საწარმოებლად ერთდროულად ორი დიქტატორი აღმოჩნდა, რაც რომის ისტორიაში მანამდე გაუგონარი ამბავი იყო[98].

ფაბიუს მაქსიმუსი კარგად ხედავდა მინუციუსის აღზევებას და თავისი პრესტიჟის დაცემას, მაგრამ მტკიცედ იდგა გადაწყვეტილებაზე. უმრავლესობა მას მშიშარად თვლიდა. მისი ტაქტიკის სისწორე მხოლოდ ჰანიბალს ესმოდა. ფაბიუსი დარწმუნდა, რომ მინუციუსი, რომელიც გაიტაცა დაფნის გვირგვინის ძიებამ, მზად იყო ჰანიბალისათვის გენერალური ბრძოლა გაემართა. ამიტომ მან კოლეგას შესთავაზა ერთმანეთს შორის გაენაწილებინათ ჯარი. მინუციუსი სიამოვნებით დათანხმდა.

ჰანიბალმა, ჩვეული გამჭრიახობით, ორ დიქტატორს შორის არსებული უთანხმოება თავის სასარგებლოდ გამოიყენა. მან მარკუსი ხაფანგში გაობა და მის ჯარს სრული განადგურება მოელოდა, რომ წინდახედულ ფაბიუს მაქსიმუსს დროზე არ მიესწრო მისთვის.

ამ ბრძოლამ ყველას დაანახვა ფაბიუსის ტაქტიკის სისწორე. ამაში დარწმუნდა მინუციუსიც. პლუტარქეს ცნობით, მან აღიარა თავისი შეცდომები და მოუწოდა ჯარს დამორჩილებოდა ფაბიუს მაქსიმუსის ბრძანებას „დიქტატორი თქვენი ერთადერთი მეთაურია. მე სარდლობას გაგიწევთ მხოლოდ იმისათვის, რომ ფაბიუსს მადლობა გადავუხადო. მე მისი უპირველესი მსახური ვარ და დავეშორჩილები მის ბრძანებას"[99].

216 წელს ფაბიუს მაქსიმუსს ვადა გაუვიდა და რადგან მისი ტაქტიკით უმრავლესობა უკმაყოფილო იყო ქვეყანასა და სენატში,

---

[97] ტიტუს ლივიუსი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 72.
[98] პოლიბიოსი, დასახელებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 356.
[99] პლუტარქე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 198.

თავის რწმუნებები გადასცა ორ კონსულს—სერვილიუს გემინუსსა და ატილიუს რეგულუსს.

216 წელს სენატის პარტიამ კონსულის პოსტზე გაიყვანა ლუციუს ემილიუს პაულუსი, ხოლო დემოკრატიულმა პარტიამ გაიუს ტერენციუს ვარონი.

რომაელებმა ამ დროისათვის ადამიანთა უდიდეს რეზერვს მოუყარეს თავი. ჩვეულებრივ ისინი ყოველ წელს ოთხ ლეგიონს აგროვებდნენ; ლეგიონში კი ოთხი ათასი ქვეითი და ორასი მხედარი იყო. ამ პერიოდისათვის რომაელებმა რვა ლეგიონს მოუყარეს თავი: თითოეულ ლეგიონში, მოკავშირეებს გარდა, იყო ხუთი ათასი მეომარი ქვეითი და 200 მხედარი[100].

მკვლევართა აზრით, ამ დროს რომაელ მობილიზებულთა რაოდენობა შთელი თავისუფალი მოსახლეობის 6-10%-ს უდრიდა.

დელბრიუკის გამოანგარიშებით საბრძოლო დაძაბვა 6,5%-ს შეადგენდა, ხოლო დანაკარგის ჩათვლით 7,5%-ს[101]. დელბრიუკის აზრს იზიარებს ფრანც მერინგიც[102].

ახლად არჩეულმა კონსულებმა გამამხნევებელი სიტყვებით მიმართეს ჯარს. ემილიუს პაულუსი კართაგენელთა ჯარის დაბალ მორალურ დონეზე მიუთითებდა. კართაგენელები იბრძვიან სხვისი ქონების, სხვისი დოვლათის ხელში ჩასაგდებად, რომაელებს ბრძოლა მოელით საკუთარი თავისათვის, სამშობლოსათვის, ცოლებისა და შვილებისათვის[103], ამბობდა იგი.

ემილიუს პაულუსი ფაბიუს მაქსიმუსის ტაქტიკას მიჰყვებოდა. იგი თავს არიდებდა ჰანიბალთან დიდი ბრძოლის გამართვას და ყოველმხრივ ცდილობდა, რომ მოკავშირეები არ ჩამოსცილებოდნენ.

მაგრამ ვარონი საწინააღმდეგო პოზიციაზე იდგა. იგი გენერალური ბრძოლის მომხრე იყო და როდესაც კონსულობის ჯერი მასზე მიდგა, ბრძოლა გარდუვალი გახდა, ცხადია, ჰანიბალისათვის ხელსაყრელ პირობებში.

ჰანიბალს წარსულმა ბრძოლებმა ნათლად დაანახვა, რომ რომაული ქვეითი ჯარი სჯობნიდა კართაგენულს. ამიტომ გადაწყვიტა

---

100 პ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 360—361.

101 ჰ. დ ე ლ ბ რ ი უ კ ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 284.

102 ფ. მ ე რ ი ნ გ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 52.

103 პ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 362—363.

ნუმიდიელი მხედარი.

თავისი ქვეითი ჯარი გარდაექმნა რომაულ ყაიდაზე. მეომრები შეაიარაღა ნადავლი იარაღით და ლეგიონებად დაყო. ამის შემდეგ კართაგენელთა ქვეითი ჯარი ოთხი კვირის განმავლობაში ინტენსიურად ვარჯიშობდა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კართაგენელმა სარდალმა სხვადასხვა სახეობის ჯარების შეხამებული ბრძოლის საკითხს.

ჰანიბალმა მებრძოლებს სიტყვით მიმართა და გაამხნევა ისინი იმით, რომ ბრძოლა მათთვის ხელსაყრელ პირობებში მოხდებოდა. აქვე გაიხსენა, რომ პირობა, რომელიც ჯარს მისცა ალპების გადალახვის შემდეგ, ასრულდა.

„თქვენ უკვე გახდით ამ მიწა-წყლის მფლობელნი, — ამბობდა ის, — ახლა მოგველის ბრძოლა ქალაქებისა და მათი სიმდიდრისათვის. ამ ბრძოლაში გამარჯვებისთანავე მთელი იტალიის მფლობელნი გახდებით. ეს ერთი ბრძოლა საზღვარს დაუდებს თქვენს აწმყო ჯაფას და მთელი ქვეყნის მპყრობელნი იქნებით. აი რატომ აღარ არის სიტყვები საჭირო. საჭიროა საქმენი, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთების ნებით მალე აღსრულდება ჩემი დაპირებები“[104].

[104] პ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 365—366.

კანას ბრძოლა

ბრძოლა კანასთან მოხდა, მდ. აუფიდუსის ნაპირას, ამ ბრძოლას მხატვრულად აგვიწერს ტიტუს ლივიუსი[105]★ კონსულმა ვარონმა, 216 წლის 2 აგვისტოს, ემილიუს პაულუსთან ყოველგვარი მოთათბირების გარეშე, ბრძოლის ნიშანი მისცა. რომაელთა მარჯვენა ფლანგზე ცხენოსნები იდგნენ, შემდეგ ქვეითები, მარცხენა ფლანგის კიდე მოკავშირეთა ცხენოსნებმა დაიკავეს. უფრო ახლოს იდგა ქვეითი ჯარი, რომელიც ცენტრში რომაულ ლეგიონებს უერთდებოდა. მეწინავე რაზმს მეშურდულეები შეადგენდნენ. ტერენციუს ვარონი მარცხენა ფლანგს სარდლობდა, ემილიუს პაულუსი მარჯვენას, ცენტრს — გემინუს სერვილიუსი.

ჰანიბალმა თავისი არმია შემდეგნაირად განალაგა: გალებისა და ესპანელებისაგან შემდგარი ცხენოსანი ჯარი — მარცხენა ფლანგზე, ნაპირის მახლობლად, მარჯვენა ფლანგზე — ნუმიდიელი ცხენოსნები, ცენტრი შემაგრებული იყო ქვეითი ჯარით. ისე რომ, ორივე ფლანგი აფრიკელებს ეჭირათ, მათ შორის კი გალები და ესპანელები იყვნენ. ქვეითი ჯარის რიცხვი 40 ათასს უდრიდა, კავალერია 10 ათასს შეადგენდა. მარცხენა ფლანგს სარდლობდა ჰასდრუბალი, მარჯვენას—მაჰარბალი, ცენტრს—ჰანიბალი და მისი ძმა მაგონი.

მზე ორივე მხარეს ირიბი სხივებით ანათებდა, ხოლო ქარი რომაელების წინააღმდეგ ქროდა, რაც კართაგენელებისათვის ხელსაყრელი იყო.

ბრძოლის დაწყებისთანავე რომაელთა ცხენოსანმა ჯარმა მტერს ზურგი უჩვენა, მაგრამ ქვეითებმა გაკვეთეს კართაგენელთა წყობა, როცა „ფრონტის ხაზი ჯერ გასწორდა, ხოლო მერე, შემდგომი უკანდახევის გამო, შეიქმნა შუაში გაღუნული ხაზი, — აფრიკელებმა წინ წაიწიეს ორივე მხარეზე და ფლანგებით გარს შემოერტყნენ რომაელებს, რომლებიც წინდაუხედავად მტრის ცენტრისაკენ მიისწრაფოდნენ. გაჟიმეს რა თანდათან ფლანგები, კართაგენელებმა მალე ჩაკეტეს მტრები ზურგიდანაც“[106].

---

[105] ტ ი ტ უ ს ლ ი ვ ი უ ს ი, კანასთან ბრძოლა, XX 45, 47, 54 (იხ. გ. გოზალიშვილი, ძველი ისტორიის ქრესტომათია, თბილისი, 1951 წ., გვ. 97—102).

[106] ი ქ ვ ე, გვ. 99.


ბრძოლის გეგმა და ჰანიბალის კავალერიის მოქმედება
ჰანონი
2 ათასი
ბასუმაული კავალერია
6 ათასი
ბალეარელების ვარონი
20 ათასი
ბალეარელები
ჰანიბალი
ბალეარელები
ბალეარელები
55 ათასი
ბალეარელები
ბალეარელები
ბალეარელები

ბრძოლის დამთავრების შემდეგ, ტიტუს ლივიუსის გადმოცემით, მაჰარბალმა შესთავაზა ჰანიბალს, რომ ნება მიეცა გაელაშქრა რომზე. კართაგენელ სარდალს თავი შეუკავებია. მაშინ მაჰარბალს ასე მიუმართავს ჰანიბალისათვის:

„რასაკვირველია, ღმერთები ყველაფერს არ აძლევენ ერთ ადამიანს: შენ, ჰანიბალო, იცი გამარჯვების მოპოვება, მაგრამ არ იცი გამარჯვებით სარგებლობა“[108].

კანასთან მეომარი მხარეების ზარალის შესახებ ცნობას გვაწვდის პოლიბიოსი. „6 ათასი მხედრიდან, წერს ის, ვენუზიაში გაქცევით თავს უშველა 70-მა კაცმა და მოკავშირეთა დაახლოებით 300 კაცი გაიფანტა და შიიმალა ქალაქში. რაც შეეხება ქვეითებს, მათგან ბრძოლაში ტყვედ იქნა წაყვანილი 10 ათასი კაცი; იყვნენ სხვა ტყვეებიც, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ საქმეში. ბრძოლაში მონაწილეთაგან დაახლოებით 3 ათასი კაცი გაიქცა ქალაქის მიდამოებში. დანარჩენი 70 ათასი კაცი ღირსეულად დაეცა ბრძოლაში... ჰანიბალის ჯარიდან დაიღუპა დაახლოებით 4 ათასი კელტი, 1500 ლიბიელი და იბერი და დაახლოებით 200 ცხენოსანი“[109].

მკვლევართა აზრი კანასთან რომაელთა არმიის რაოდენობის შესახებ სხვადასხვაა. ზოგი იზიარებს პოლიბიოსის ცნობას (დაახლოებით 80 ათასი კაცი), ზოგი არა. ნ. ა. მაშკინის აზრით, კანასთან დაახლოებით 50 ათასი რომაელი იბრძოდა[110]. ვ. ს. სერგეევი სარწმუნოდ მიიჩნევს პოლიბიოსის ცნობას[111].

„კანასთან დამარცხებამ რომაელები დიდად შეაშფოთა. არასოდეს, ვიდრე რომი ფეხზე იდგა, მის კედლებში ასეთ შიშსა და ძრწოლას ადგილი არ ჰქონია“[112].

მაგრამ სენატი სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდნილა. იგი აკეთებდა ყოველივეს, რაც შეეძლო: ამხნევებდა ხალხს, ამაგრებდა ქალაქს, გულდასმით ემზადებოდა შემდეგი ბრძოლებისათვის.

---

108 ტ ი ტ უ ს ლ ი ვ ი უ ს ი, კანასთან ბრძოლა (იხ. გ. გოზალიშვილის დასახელებული ქრესტომათია, გვ. 101).

109 პ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 373.

110 Н. А. М а ш к и н. История древнего Рима. 1947, с. 152.

111 ვ. ს. ს ე რ გ ე ე ვ ი, რომის ისტორიის ნარკვევები, ტ. I. გვ. 124.

112 ტ ი ტ უ ს ლ ი ვ ი უ ს ი, კანას ბრძოლა, XX, 45—47 (იხ. გ. გოზალიშვილის დასახელებული ქრესტომათია, გვ. 331).

კანას ბრძოლა ჰანიბალის გამარჯვებათა გვირგვინია. იგი ჰანიბალის გენიალური სამხედრო ნიჭის გამოვლინებაა.

ჰ. დელბრიუკი კანას ბრძოლის გარჩევისას ჰანიბალს უპირისპირებს ნაპოლეონსა და კლაუზევიცს და უპირატესობას ჰანიბალს ანიჭებს[113].

ისტორიკოსი ო. იეგერი აღფრთოვანებით წერს, კანას შემდეგ სედანამდე ასეთი ბრძოლა აღარ მომხდარაო[114].

კანა ბრძოლის ისეთი ტიპია, სადაც რიცხობრივად მცირე მოწინააღმდეგე მრავალი ოსტატური ხერხის გამოყენებით აბათილებს მოწინააღმდეგის რიცხობრივ უპირატესობას და ბრწყინვალე გამარჯვებას აღწევს.

კანასთან ბრძოლა ტაქტიკური გარემოცვის ნიმუშია. ჰანიბალმა შესანიშნავად აუღო ალღო შექმნილ სიტუაციას, შემოქმედებითად შეახამა ჯარისა და იარაღის სხვადასხვა სახეობა და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა მსოფლიოში განთქმულ რომაულ ქვეით ჯარზე.

რომაელი ქვეითი ლეგიონერი.

ცნობილმა სამხედრო სპეციალისტმა, ა. ფონ შლიფენმა გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელშიც განხილულია ფრიდრიხ დიდისა და ნაპოლეონის ომები, 1866 წლის სამხედრო კამპანია, 1870—71 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომი. ამ სერიოზულ ნაშრომს მან სახელად დაარქვა — „კანა“ და პირველი თავი სწორედ კანას ბრძოლას მიუძღვნა. დასკვნით ნაწილში იგი წერს: „კანას ბრძოლის სრული განმეორება სამხედრო ისტორიის ფურცლებზე აღარ ყოფილა. ამისათვის საჭირო იყო, ერთი მხრივ, ჰანიბალი, ხოლო მეორე მხრივ, ტერენციუს ვარონი, ორივე ხელს უწყობს დიადი მიზნის განხორციელებას.

---

113 ჰ. დ ე ლ ბ რ ი უ კ ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 361.

114 O. И е г е р. Всеобщая история в четырех томах, т. I, С.-Петербург, 1894, с. 331.

ჰანიბალი ვალდებულია, თუ არა აქვს ძალთა უპირატესობა, შექმნას ის. სედანის გარდა სრულყოფილი კანა აღარ ყოფილა"[115].

მეცნიერთა უმრავლესობა სწორად თვლის ჰანიბალის გადაწყვეტილებას, კანას შემდეგ რომ არ გაილაშქრა რომზე.

ფ. მერინგის აზრით, ჰანიბალის გენიალობას სწორედ ის მოწმობს, რომ მიუხედავად კართაგენელთა ჯარის სამხედრო-ტექნიკური უპირატესობისა, იგი მაინც არ გაუტაცნია უტოპიურ მიზნებს. კანასთან ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ რომზე არ გაილაშქრა, რადგან კარგად იცოდა, რომ საუკეთესოდ გამაგრებული და მომარაგებული ქალაქის აღება გაუჭირდებოდა, ეს კი გამოიწვევდა მისი გეგმის მთავარი ნაწილის—რომის კავშირის დაქუცმაცების—ჩაშლას[116]. რომისაგან მოკავშირეთა ჩამოცილება კი ნიშნავდა „შის სისხლისაგან დაცლას, თანდათანობით სიკვდილს"[117].

ამ აზრის საწინააღმდეგოდ ი. შ. კორაბლიოვი აღნიშნავს, რომ თუკი ომში ჰანიბალს ოდესმე გამარჯვების რაიმე შანსი გააჩნდა, ეს ჰქონდა კანასთან გამარჯვების შემდეგ, რომელიც გარდატეხის პუნქტად იქცა ომის მსვლელობაში[118].

დენისონი კანასთან კართაგენელთა ჯარის მოქმედებას ადარებს მაკედონელის ოპერაციებს ისოსთან და არბელასთან[119].

პროფ. ნ. ა. მაშკინის აზრით, ჰანიბალმა იმიტომ არ გაილაშქრა რომზე, რომ მან მნიშვნელოვანი ზარალი ნახა და ამიტომ გამარჯვება დიპლომატიური მიზნებისათვის გამოიყენა[120].

აქ ანგარიში უნდა გაეწიოს ერთ გარემოებას. ჰანიბალმა, როგორც თავისი დროის დიდმა სარდალმა, შესანიშნავად იცოდა რომაელთა დედაქალაქის მდგომარეობა კანას ბრძოლამდე. მას ესმოდა, რომ კართაგენელთა ცხენოსან ჯარს, რომელიც მთელი შისი არმიის გამარჯვებათა სულისჩამდგმელი იყო, რომის ვიწრო ქუჩებ-

---

115 Шлиффен. Канны. Перевод с немецкого. М., 1936, с. 351.

116 Ф. Меринг. Очерки по истории войн и военного искусства, с. 52—53.

117 იქვე.

118 ი. შ. კორაბლიოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 142.

119 დენისონი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 56.

120 ნ. მაშკინი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 192.

ში გაუძნელდებოდა მოძრაობა; რომ რომის მცხოვრებნი, ჯართან ერთად, ძალის მაქსიმალური დაძაბვით იბრძოლებდნენ მშობლიური ქალაქის დასაცავად, რასაც სულ ადვილად შეიძლება მოჰყოლოდა კართაგენელთა არმიის მარცხი, ყოველ შემთხვევაში დიდი ზარალი, რომლის ანაზღაურებაც ძალზე ძნელი, თითქმის შეუძლებელი იქნებოდა შორეულ იტალიაში მყოფი ჰანიბალისათვის. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ჰანიბალის ძირითადი გეგმა რომის კავშირის დაშლისა კატასტროფის წინაშე დადგებოდა და კანასთან გამარჯვების მთელი ნაყოფი ფუჭად ჩაივლიდა. რომის აღება კი ჯერ კიდევ არ გამოიწვევდა რომის კავშირის კაპიტულაციას, თუმცა, გამარჯვების შემთხვევაში მას დიდი მნიშვნელობა მიენიჭებოდა. რომზე გალაშქრება კანას ბრძოლის შემდეგ, აქ მოპოვებული გამარჯვების უდიდესი მნიშვნელობის მიუხედავად, მაინც ავანტიურა იყო, რისგანაც ჰანიბალი შორს იდგა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჰანიბალმა კანასთან მნიშვნელოვანი კი არა, უმნიშვნელო ზარალი ნახა და ამ ზარალის დიდი ნაწილი მისი არმიის ყველაზე უფრო მერყევ ნაწილზე — კელტებზე მოდიოდა. ამ მცირე დანაკარგს არ შეეძლო მისი რომზე გალაშქრება შეეჩერებინა, თუკი ჰანიბალს რომის აღება ძირითად მიზნად ექნებოდა დასახული, მაგრამ ეს ასე არ იყო.

კანასთან გამარჯვების შედეგები უდიდესი იყო. ამ გამარჯვების წყალობით რომის კავშირში მნიშვნელოვანი ბზარები გაჩნდა.

კართაგენის სენატში, ტიტუს ლივიუსის გადმოცემით, ცხარე კამათი გაიმართა ჰანიბალის ძმის მაგონის ჩამოსვლასთან დაკავშირებით. მაგონმა, კართაგენელთა ისედაც უდიდესი წარმატებანი, კიდევ უფრო გააზვიადა და თქვა, მტერმა დაკარგა 200 ათასი მოკლულის და 50 ათასი დაჭრილის სახითო. ამის დასამტკიცებლად მაგონმა კურიის შესასვლელში მოკლულ რომაელთათვის წაძრობილი ოქროს ბეჭდების მთელი მთა ალმართა. თან თურმე დასძინა, რომ ასეთ ოქროს ბეჭდებს მხოლოდ მხედრები ატარებდნენ რომში და თან ყველაზე უფრო წარჩინებულნი.

მაგრამ ამისათვის კი არ გამოუგზავნია ჰანიბალს მაგონი, — წერს ლივიუსი, — არამედ იმისათვის, რომ მოეთხოვა დამხმარე ძალა და ფული. რადგან, ამტკიცებდა იგი, რაც უფრო ახლოა გადამწყვეტი და საბოლოო გამარჯვება, იმდენად მეტი ძალაა საჭირო, რათა მას მივაღწიოთო.

ბარკიდები ზეიმობდნენ და ერთმანეთს ულოცავდნენ ჰანიბალის ასეთ გამარჯვებას. ერთ-ერთ მათგანს ჰანონისთვის დამცინავად უკითხავს:

„ჰანონ, ახლაც ისევე არ გვირჩევ ომს რომის წინააღმდეგ? ისევ მოითხოვ რომაელთათვის ჰანიბალის გადაცემას?



საიერიშო ბოგირებით აღჭურვილი რომაული საბრძოლო ხომალდი.

— დიახაც, — უპასუხა ჰანონმა, — მანამდე ვიდარდებ წინა ზავზე, ვიდრე არ დაიდება ახალი, და მანამდე არ მივცემ მოსვენებას თქვენს ძლევამოსილ სარდალს; ვიდრე არ დამიმტკიცებთ, რომ ახალი ზავი უფრო სამართლიანი და ხელსაყრელია ძველზე. მაგრამ ზავზე აქ კრინტიც არ ჰრის დაძრული. დაუფიქრდით, რას გვეუბნება ჰანიბალი. „მე დავამარცხე მტრის ჯარი — კიდევ გამომიგზავნეთ ჯარისკაცები!“ იმავეს ხომ არ მოითხოვდა, თვითონ ის რომ დაემარცხებინათ? „მე ხელთ ვიგდე მტრის ორი ბანაკი — გამომიგზავნეთ პური და ფული!“ „სად გაქრა ნადავლი, რომელიც ხელთ იგდო ორ ბანაკში?!“[121]

---

[121] ტიტუს ლივიუსი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 105—106.

ომის მსვლელობა კანას შემდეგ

კანას ბრძოლამ რომს მძიმე ლახვარი ჩასცა. კართაგენელებმა უძლეველების სახელი მოიხვეჭეს. რომის კავშირის შიგნით გაძლიერდნენ კართაგენული ორიენტაციის მომხრენი. რომის შემდეგ მეორე ცენტრის კაპუას პლებსმა ჰანიბალს ქალაქის კარიბჭენი გაუღო და იგი კართაგენელების ხელში გადავიდა. ჰანიბალი მის მცხოვრებთ ლმობიერად მოექცა, რადგან კარგად იცოდა, რომ კაპუასადმი კართაგენელთა დამოკიდებულება სხვათა თვალშიც ასწევდა ჰანიბალის პრესტიჟს და მომხრეებს გაუმრავლებდა. ამიტომ მან ქალაქს დაუტოვა თავისი წყობა, კანონები. მის მცხოვრებთ არ ევალებოდათ ჰანიბალის ჯარში სამსახური და არც ერთ კართაგენელს უფლება არ ჰქონდა უდიერად მოქცეოდა კაპუელს. ყოველივე ამან კი ის გამოიწვია, რომ კაპუას სხვებმაც მიბაძეს და თითქმის მთელი სამხრეთი იტალია ჰანიბალის ხელთ აღმოჩნდა. ცენტრალური იტალია კი კვლავ რომის ერთგული რჩებოდა.

ტიტუს ლივიუსი დაწვრილებით გადმოგვცემს ჰანიბალის მხარეზე კაპუას გადასვლის ამბავს. კაპუაში, წერს ის, თავიდანვე დიდი გავლენა ჰქონდა უბრალო ხალხს. მათი მეთაური ყოფილა პაკუვიუს კალავიუსი, რომელსაც მოხერხებულად დაუპატიმრებია ქალაქის სენატი, მერე მისი წევრები გაუთავისუფლებია, მაგრამ ფაქტიური ძალაუფლება ხალხს დარჩენია. კაპუელებმა სიხარულით იკისრეს ჰანიბალის მოკავშირეობა.

„მხოლოდ ერთმა კაცმა, სახელად დეციუს მაგიუსმა, — წერს ტიტუს ლივიუსი, — ძველი მოკავშირეების ღალატი ხმამაღლა დაგმო და ურჩია თანამოქალაქეთ, ვიდრე გვიან არ იყო, დაფიქრებულიყვნენ. მისმა გაბედულმა სიტყვებმა ჰანიბალამდე მიაღწია და პუნმა დეციუსს სთხოვა სწვეოდა. დეციუსმა კატეგორიული უარი შეუთვალა, თან მიუთითა იმაზე, რომ ჰანიბალს არავითარი ძალაუფლება არ ჰქონდა კამპანიელი თანამოქალაქეების მიმართ. პუნმა ბრძანება გასცა ურჩი დეციუს მაგიუსი ბორკილებგაყრილი მიეგვარათ მისთვის, მაგრამ შემდეგ, ხალხის მღელვარებას მოერიდა, ბრძანება შეცვალა და მოქალაქეებს შეუთვალა, ხვალ კაპუაში თვითონ მოვალო"[22].

---

[22] ტიტუს ლივიუსი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 103.

ჰანიბალი კაპუაში მივიდა. მთელი კაპუის მოსახლეობა, გარდა დეციუს მაგიუსისა, კართაგენელ სარდალს დიდი ამბით შეეგება.

მეორე დღეს შეიკრიბა სენატი, რომელსაც ჰანიბალმა სიტყვით მიმართა. მან მადლობა გადაუხადა კაპუელებს მეგობრული შეხვედრისათვის და, დაარწმუნა ისინი, რომ კაპუა, მას შემდეგ, რაც იგი რომს აიღებდა, იტალიის დედაქალაქი გახდებოდა. მაგრამ დეციუს მაგიუსი არ შეიძლება ჩაითვალოს კამპანიელად და მეგობრობის ხელშეკრულების ტექსტი მასზე არ ვრცელდება, რადგან ის არ არის კართაგენელთა მეგობარი. თუკი სენატი ამას ეთანხმება, ამბობ-



დიდი ბალისტა.

და ჰანიბალი, მაშინ აქვე გამოიტანოს დადგენილებაო. სენატმა სამოქალაქო უფლება აჰყარა დეციუს მაგიუსს.

ჰანიბალი გამოვიდა კურიიდან და ბრძანა მისთვის წარედგინათ დეციუს მაგიუსი. იგი კელავ ამაყად არ დაემორჩილა ბრძანებას. მაშინ მას ბორკილები დაადეს და ისე მიჰგვარეს ჰანიბალს.

ტიტუს ლივიუსი გადმოგვცემს უშიშარი კამპანიელის სიტყვებს:

— დამიხედეთ კამპანიელებო, თქვენს თავისუფლებას, რომელიც ასეთი დიდი ჯაფით მოიპოვეთ! დღისით-მზისით, ზედ ფორუმზე, თქვენს თვალწინ გვარიშვილობით არცთუ უკანასკნელი კაპუელი გათოკეს და დასასჯელად მიათრევენ! მაშ, მორთეთ ქალაქი

და შეეგებეთ ჰანიბალს, იზეიმეთ მისი მოსვლის დღე, და გახდით თქვენს თანამოქალაქეზე მისი ტრიუმფის მოწმე!"[123]

კართაგენელებმა დეციუს მაგიუსს თავზე ლაბადა გადააცვეს და ხომალდით კართაგენისკენ გაისტუმრეს. მაგრამ, თუ ტიტუს ლივიუსს დავუჯერებთ, გზაზე ქარიშხალი ამოვარდნილა და ხომალდი ეგვიპტის ქალაქ კირენაში გარიყულა, სადაც დეციუსს მაგიუსს თავშესაფარი უთხოვია.

ჰანიბალმა სცადა რომაელებთან საზავო მოლაპარაკების დაწყება, ეს მისია მან დაავალა თავის უახლოეს თანამებრძოლს კართალონს. იგი სასტიკი უარით გამოისტუმრეს და მკაცრად გააფრთხილეს, რომ საღამომდე დაეტოვებინა რომის კუთვნილი ტერიტორია.

კართალონის მისიის წარუმატებლობა, წერს ი. შ. კორაბლიოვი, ჰანიბალისთვის იყო პირველი, თან ყველაზე უფრო ავბედითი, სიმპტომი: რომს ომი წაგებულად არ მიაჩნდა, რათა ჰანიბალისათვის შეწყალება და ზავი ეთხოვა[124].

რომის შინაპოლიტიკურ ცხოვრებაში ასეთი სურათია: პლებსი ომის პირველ წლებში აქტიურ მონაწილეობას იღებს პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ ომის ბოლო წლებში მისი მოქმედი ნაწილი არმიაში იყო დაკავებული და პოლიტიკურ ცხოვრებაში გადამწყვეტი როლის შესრულება შეწყვიტა. ძლიერდებიან მხედრები[125].

ჰანიბალის შეპრალა იტალიაში თან მოჰყვა საშუალო და წვრილი მწარმოებლის გაჩანაგების პროცესი, ხელოსნებისა და წვრილი მწარმოებლის გაღატაკება, მიცრემიწიანი მიწათმფლობელების გაბოგანოება.

ტიტუს ლივიუსი გადმოგვცემს, რომ ორი უმდიდრესი და უძლიერესი ხალხის ბრძოლამ ყველა მეფისა და მმართველის ყურადღება მიიპყრო; მათ შორის, რა თქმა უნდა, მაკედონიის მეფის ფილიპესიც. თავიდანვე იგი სიხარულით შეხვდა ამ ომს, ოღონდ ვერ გაერკვია, ვისი გამარჯვება სურდა.

მაგრამ, კანას ბრძოლის შემდეგ, ყოყმანს ბოლო მოეღო და კართაგენთან კავშირის დასადებად ჰანიბალს ელჩები გაუგზავნა.

---

[123] ტ ი ტ უ ს ლ ი ვ ი უ ს ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 104.
[124] ი. შ. კ ო რ ა ბ ლ ი ო ვ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 143.
[125] ნ. ა. მ ა შ კ ი ნ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 183.

ჰანიბალთან გზად მიმავალი ელჩები რომაელთა პატრუელს გადაეყარნენ. თავდაპირველად იეშმაკეს და პრეტორ მარკუს ვალერიუსს დაუძვრნენ, მაგრამ შემდეგ კვლავ ჩაუვარდნენ ხელთ რომაელებს[126].

ჰანიბალსა და ფილიპეს შორის კავშირი ითვალისწინებდა ყოფილიყვნენ მოკავშირენი „როგორც მეგობრები, ნათესავები და ძმები "[127]. პატივი ეცათ ერთმანეთის უფლებებისათვის, ერთმანეთის კანონებისათვის, ორივე მხარე მტრად უნდა მოჰკიდებოდა ერთ-ერთი მოკავშირე მხარის მტერს, რომაელების წინააღმდეგ ებრძოლათ საბოლოო გამარჯვებამდე, სეპარატული ზავი არ დაედოთ რომაელებთან. ამის შემდეგ ტექსტში ნათქვამი იყო, თუ როგორ უნდა მოქცეოდნენ მოკავშირენი რომს მისი დამარცხების შემდეგ.

ასეთივე ხელშეკრულება დადო ჰანიბალმა ჰიერონთან. სამოკავშირეო პირობები ითვალისწინებდა ურთიერთდახმარებას. ომის დამთავრების შემდეგ კართაგენელებსა და სირაკუზელებს შორის საზღვარი უნდა გასულიყო ქ. ჰიმერაზე, რომელიც სიცილიას ორ თანასწორ ნაწილად ყოფდა. შეთანხმება ადვილად იქნა მიღწეული, რადგან „კართაგენელებმა ყველაფერზე თანხმობა გაანაცხადეს"[128].

ჰანიბალისა და ფილიპეს კავშირს რომის დიპლომატიამ ეტოლიის კავშირი დაუპირისპირა. რომმა ფილიპე მეხუთეს წინააღმდეგ შეკრა კოალიცია, რომელშიც შედიოდნენ ეტოლიის კავშირი, ბერძნული ქალაქები და პერგამოსის მეფე ატალოს პირველი. ამ ომს ეწოდება პირველი მაკედონური ომი (215—205 წწ.). ზავის პირობებით რომაელებმა ფილიპეს დაუთმეს ზოგიერთი ტერიტორია ილირიაში, მაგრამ რომის დიპლომატიამ მიაღწია იმას, რომ ომი ძირითადად საბერძნეთის ტერიტორიაზე და მოკავშირეთა ძალებით მიმდინარეობდა. რაც მთავარია, ფილიპემ ვერ მოახერხა იტალიაში შეჭრა და ჰანიბალისათვის არსებითი დახმარების გაწევა.

სიცილიაში საქმე ასე წარიმართა: 213 წელს რომაელებმა იქ გაგზავნეს მარკუს კლავდიუს მარცელუსი. მარცელუსს ანტიკური ავტორები გვიხასიათებენ როგორც ნიჭიერ სარდალს. პლუტარქე

---

126 ტ ი ტ უ ს ლ ი ვ ი უ ს ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 117.
127 პ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. II; გვ. 101.
128 იქვე. გვ. 97.

ხელის ტარანი.

მის შესახებ წერს, იგი ხუთჯერ გახდა კონსულობის ღირსიო. რომაელები მას და ფაბიუსს ნიშნავდნენ ხან ერთს კონსულად, ხოლო მეორეს პროკონსულად, ხანაც პირიქით, რითაც, წერს ის, ერთის სიმამაცეს მეორის წინდახედულებას უერთებდნენო[129].

„რომი და კართაგენი, — გადმოგვცემს ტიტუს ლივიუსი, — სიცილიაში აგზავნიდნენ დამხმარე ძალებს. თითქოს საომარი მოქმედების მთავარმა თეატრმა იქ გადაინაცვლაო"[130]. მაგრამ მარცელუსმა სირაკუზის აღება კარგა ხნის განმავლობაში ვერ შეძლო. ამ ქალაქის დაცვას ხელმძღვანელობდა იმ დროის უდიდესი გამომგონებელი და ინჟინერი არქიმედე. მან შექმნა ქვის სატყორცნი იარაღები, რომლებიც დაახლოებით 262 კილოგრამიან ქვებს ისროდნენ. ის მანქანები ისე შემაძრწუნებლად მოქმედებდნენ რომაელებზე, რომ ვერაფრით ვერ შეძლეს მიდგომოდნენ ან მიახლოებოდნენ ქალაქს.

მხოლოდ 211 წლის გაზაფხულზე შეძლეს რომაელებმა ქალაქის აღება. იგი გაძარცვეს. ბრძოლაში დაიღუპა არქიმედეც. პლუ-

---

[129] Плутарх. Сравнительные жизнеописания. Перевод с греческого Спиридона Дестуниса. ч. IV, с. 327.

[130] ტიტუს ლივიუსი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 151.

ტარქე გადმოგვცემს, ქალაქი რომაელებმა მაშინ აიღეს, როცა იგი გეომეტრიულ ამოცანას ხსნიდაო. ზოგის გადმოცემით არქიმედეს მარცელუსისათვის სხვადასხვა ხელსაწყოთი სავსე ყუთი მიჰქონდა. მეომრებს ყუთში ოქრო ეგონათ და გაძარცვის მიზნით მოკლეს[131].

კანას შემდეგ ნოლა იყო პირველი ქალაქი, რომლის აღებაც ჰანიბალმა ვერ შეძლო.

ტიტუს ლივიუსი დეტალურად აგვიწერს ჰანიბალის მიერ ამ ქალაქის წინააღმდეგ გალაშქრებას. ქალაქს იცავდა კლავდიუს მარცელუსი. ჰანიბალმა ვერა და ვერ მოახერხა ქალაქის აღება. უფრო მეტიც. მოხერხებულ მომენტში რომაელი სარდალი თავს დაესხა მოალყე კართაგენელებს და საგრძნობი ზარალი მიაყენა მათ. „თუ რა ზარალი ნახა ორივე მხარემ, ზუსტად არავინ იცის. — ზოგი ამტკიცებს, რომ კართაგენელებმა დაკარგეს სამი ათასი კაცი, რომაელებმა კი მხოლოდ ხუთასი, — მაგრამ უდიდესი გამარჯვება, შესაძლებელია მთელი ომის განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვანიც კი, ის გახლდათ, რომ ეს იყო პირველი გამარჯვება კანას შემდეგ“[132].

ამას მოჰყვა კაზილინის ალყა, რომლის ერთბაშად აღება არ მოხერხდა, რადგან ქალაქი, ჯერ ერთი, კარგად იყო გამაგრებული, მეორეც, მისი დამცველნი საოცარი სიმამაცით იბრძოდნენ. ამიტომ ჰანიბალმა იგი მოალყეთ დაუტოვა, თვითონ კი თავისი ძირითადი ძალებით კაპუაში წავიდა გამოსაზამთრებლად.

ტიტუს ლივიუსს მიაჩნია, რომ კაპუაში გამოზამთრებამ კართაგენელებზე უარყოფითად იმოქმედა. მისი აზრით კართაგენელთა ჯარი შეჩვეული იყო ყოველგვარ გაჭირვებასა და განსაცდელს, საშაგიეროდ კარგი ცხოვრებისათვის სრულიად მოუმზადებელი იყო. ახლა იგი პირველ ზამთარს ატარებდა ბინებში, სითბოსა და განცხრომაში. და მისთვის, ვინც ნებისმიერი განსაცდელის წინაშე წარბს არ იხრიდა, დამღუპველი აღმოჩნდა ფუფუნება და ნეტარება — დიდხანს ძილი, ლოთობა, ღორმუცლობა, უსაქმურობა. ჰანიბალის ჯარისკაცები ამ ცდუნებებს ხარბად დაეწაფნენ და სულ ცოტა ხანში ხორციელად და სულიერად მოდუნდნენ, დაკარგეს ბრძოლის ყოველგვარი სურვილი და მეთაურის წინაშე შიში.

---

131 პ ლ უ ტ ა რ ქ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 382.
132 ტ ი ტ უ ს ლ ი ვ ი უ ს ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 108.

„კაპუაში გამოსაზამთრებლად დაბინავება, სამხედრო საქმის მცოდნეთა აზრითო, — წერს ლივიუსი, — სარდლის საბედისწერო შეცდომა იყო, უფრო მიუტევებელი, ვიდრე კანას ბრძოლის შემდეგ რომზე გალაშქრების დაყოვნება, იმიტომ რომ, კანასთან დაყოვნებით მან გამარჯვება გადადო, კაპუაში გამოზამთრებით კი ომის გამარჯვების ყოველგვარი შანსი დაკარგა. მებრძოლები თითქოს შეცვალეს: შემდგომ ზაფხულში მრავალი ჯარისკაცი გადეზერტირდა, აღარ სურდა საბანაკო კარვებში ღამის თევა, დამქანცველი ლაშქრობები, ჯარისკაცის ღარიბული ულუფა, განშორება საყვარელ მეგობრებთან და კაპუელ ქალიშვილებთან“[133].

ჰანიბალი რომის კარიბჭესთან

რომაელები წვრილ ბრძოლებზე გადავიდნენ. გამოცხადებულ იქნა 17 წლის ასაკიდან საყოველთაო გაწვევა. კერძო მესაკუთრეებისაგან სახელმწიფოს ხარჯზე 8 ათასი ახალგაზრდა მონა გამოისყიდეს და მათგან ორი ლეგიონი ჩამოაყალიბეს. რომი ემზადებოდა ხანგრძლივი ომისათვის. ჰანიბალის არმია კი ასეთი ომისათვის მზად არ იყო. ამას ემატებოდა ის ფაქტიც, რომ იგი თანდათან შემცირდა. განსაკუთრებით შეთხელდა ამ არმიის ყველაზე უფრო საიმედო ნუმიდიურ-იბერიული ნაწილი, რომლის შევსებაც ჰანიბალს არ შეეძლო. ყოველივე ამას ზედ ერთვოდა კართაგენელ ხელისუფალთა მოუქნელობა და საბოტაჟი. ამ ფაქტორებმა გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია ომის შემდგომ მსვლელობაზე. ომის სასწორი თანდათან რომაელების მხარეზე გადაიხარა. ეს გამოწვეული იყო ობიექტური ფაქტორებით, რომელთა გაბათილებაც არ შეეძლო ჰანიბალის გენიას.

სირაკუზის აღების შემდეგ რომაელებმა კაპუას შემოარტყეს ალყა. გარემოცვა 212 წელს დაიწყო. ჰანიბალმა რამდენჯერმე სცადა გამოეწვია რომაელები დიდ ბრძოლაში, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია. ამავე დროს რომაელებმა ახლომახლო მიდამოებში გადაწვეს ცხენის საკვები, ისე რომ, ჰანიბალს ცხენის ფურაჟის შოვნა

---

[133] ტიტუს ლივიუსი, დასახელებული ნაშრომი. გვ. 110.

გაუჭირდა. კართაგენელმა სარდალმა ტაქტიკურ მანევრს მიმართა. მან გადაწყვიტა რომისაკენ გაელაშქრა, რითაც „ძრწოლას მოჰგვრიდა ქალაქის მცხოვრებთ და იქნებ რაიმე გაეწყო მის წინააღმდეგ"[134]. ჰანიბალი ფიქრობდა, რომ „ან აიძულებდა აპიუსს მოეხსნა ალყა და წასულიყო მშობლიური ქალაქის დასახმარებლად, ან გაეყო თავისი ძალები. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა დაეძლია როგორც დასახმარებლად წამოსული ჯარი, ისე კაპუასთან ადგილზე დარჩენილნი"[135].



ჩარდახში მოთავსებული მძიმე ტარანი.

ჰანიბალმა მარშით გასწია რომისაკენ. იგი მოულოდნელად გამოჩნდა ქალაქიდან 40 სტადიონის (დაახლოებით 7 კმ-ის) დაშორებით. ამ ამბავმა დიდი პანიკა გამოიწვია რომში. სწორედ ამ დროს წარმოიშვა ცნობილი გამოთქმა „Hannibal ante portas" („ჰანიბალი კარიბჭესთანაა"). ეს გამოთქმა შემდეგში უდიდესი საფრთხის სინონიმად იქცა, ვ. ი. ლენინი 1918 წლის მარტში, როცა მიუთითებდა გერმანელების მიერ საბჭოთა რუსეთისათვის თავს მოხვეულ ომზე და მით გამოწვეულ უდიდეს საფრთხეზე, წერდა: „ომი უნდა ვაწარმოოთ ნამდვილად, ანდა სრულიად არ ვაწარმოოთ. შუათანა რამ აქ არ შეიძლება იყოს... ჰანიბალი კარს მოგვადგა, — ეს არ უნდა გვავიწყდებოდეს არც ერთ წუთს"[136].

---

[134] პ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. II, გვ. 180.

[135] ი ქ ვ ე.

[136] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 22, გვ. 72.

პოლიბიოსი ასე გადმოგვცემს ამ დროს ქალაქის მოსახლეობის განწყობილებას: „მომხდარი ამბის შესახებ ცნობა მოვიდა რომში და ქალაქის მცხოვრებნი უაღრესად შეაშფოთა და შეაძრწუნა. მოულოდნელი და გაუგონარი ამბავი იყო, იმიტომ, რომ ჰანიბალი არასოდეს არ მოსულა ასე ახლო ქალაქთან... მამაკაცები მიეშურებოდნენ ქალაქის კედლებისა და ქალაქის წინ მოხერხებული ადგილების დასაკავებლად, ხოლო ქალები ტაძრებში დადიოდნენ და ღმერთებს ევედრებოდნენ"[137].

რომის დასაცავად ძლიერ ძალებს მოუყარეს თავი. ქალაქი ემზადებოდა მოწინააღმდეგესთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის.

ტიტუს ლივიუსი გადმოგვცემს, რომ ჰანიბალი ორი ათასი ცხენოსნით თითქმის ზედ მიადგა რომის გალავანს, თან ქალაქის ციხესიმაგრეებს ზვერავდა. პუნებს ისე თავისუფლად და გულარხეინად ეჭირათ თავი, რომ ფულვიუსმა, რომელიც ბრაზისაგან ცახცახებდა, ცხენოსანი ჯარი გაგზავნა დაუპატიჟებელი სტუმრების გონს მოსაყვანად. ესკვილინუმის მთაზე გაიმართა ბრძოლა, რომელშიც გამარჯვება რომაელებს დარჩენიათ[138].

მეორე დღეს ჰანიბალმა ჯარი საომრად განალაგა. ფულვიუსმა და კონსულებმა მიიღეს ეს ბრძოლა. შაგრამ, როცა ყველაფერი მზად იყო, ისეთი თქეში და სეტყვა წამოვიდა, რომ მოწინააღმდეგენი, რომლებიც გალუმპულნი იყვნენ და ხელში იარაღს ვეღარ იჭერდნენ, იძულებულნი გახდნენ ერთმანეთს განშორებოდნენ. ასეთივე ამბავი განმეორდა მეორე დღეს. როგორც კი მოწინააღმდეგენი ერთმანეთს განშორდებოდნენ ხოლმე, ცა მოიწმინდებოდა და გამოიდარებდა.

კართაგენელებმა ეს ღვთის ნებად ჩათვალეს. ჰანიბალს უთქვამს, ერთხელ ჩემმა უჭკუობამ შემიშალა ხელი რომის აღებაში, მეორეჯერ კი — განგებამო[139].

მეცნიერებაში გაბატონებული აზრის მიხედვით, ჰანიბალი ქალაქის აღებას არ ფიქრობდა. ეს შემდეგმა მიზეზებმა განსაზღვრეს: 1. ჰანიბალს არ ჰქონდა საშუალებანი, რომლებიც აუცილებელი

---

137 პ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. II, 180

138 ტ ი ტ უ ს ლ ი ვ ი უ ს ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 221.

139 ი ქ ვ ე, გვ. 222.

იყო ისეთი გამაგრებული ქალაქის ასაღებად, როგორიც რომი იყო. 2. კართაგენელთა დამკვრელი ძალა, კავალერია, თავისუფლად ვერ იმოქმედებდა რომის ქუჩებში. 3. რომის მოსახლეობა და ჯარი კარგად მომზადებული დაუხვდა მტერს.

ი. შ. კორაბლიოვი წერს, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქ რომის წინააღმდეგ გალაშქრების შემდეგ ჰანიბალი იტალიაში თითქმის ათი წელი უნდა დარჩენილიყო, ომის შედეგი, იქ, არსებითად, უკვე გადაწყვეტილი იყო. მას აღარაფერი აღარ შეეძლო ეღონა, რათა რამდენადმე შეერყია რომის ბატონობის საფუძველი აპენინის ნახევარკუნძულზე. მას არც ადამიანთა რესურსები ჰყოფნიდაო[140].

რომის სარდლებმა ერთხელ კიდევ აცნობეს კაპუას მცხოვრებთ, რომ ის მოქალაქე, რომელიც თავისი ნებით გამოცხადდებოდა რომაელების ბანაკში, განთავისუფლდებოდა ყოველგვარი სასჯელისაგან. მაგრამ არც ერთი კაცი არ გამოეხმაურა ამ მოწოდებას[141].

საინტერესოდ და ხატოვნად გადმოგვცემს ტიტუს ლივიუსი ქალაქის სენატის ერთ-ერთ უკანასკნელ სხდომას, სადაც სენატორმა ბიბიუს ვირიუსმა ასეთი სიტყვით მიმართა კოლეგებს:

„რა სუსტი მეხსიერება გაქვთ, ბატონო სენატორებო! დაგავიწყდათ, რა დროს ვუღალატეთ რომს: დაგავიწყდათ წვალებით სული რომ ამოვხადეთ რომაელ მოქალაქეთ, რამდენჯერ დავლაშქრეთ რომაელთა ბანაკი და როგორ მოვიხმეთ დასახმარებლად ჰანიბალი? დაბოლოს, დაგავიწყდათ რა შეურიგებელი სიძულვილით არიან განწყობილი ჩვენს მიმართ რომაელები? მაშინ მე მოგაგონებთ“[142].

და ბიბიუს ვირიუსმა დახატა რეალური და კაპუელთათვის უიმედო სურათი.

„უცხო მტერი იტალიაშია, ყველგან ომია, რომაელები არაფერს დაგიდევენ და ორივე კონსულს გზავნიან კაპუასათვის ალყის შემოსარტყმელად. ჰანიბალი მათ ბანაკს თავს ესხმის, ლამის ხელთ იგდოს, ისინი მაინც არ ეშვებიან დაწყებულ საქმეს. ჰანიბალმა გაილაშქრა თვით რომზე, იგი ქალაქის გალავანთანაა, და აშ-

---

140 ი. შ. კ ო რ ა ბ ლ ი ო ვ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 240.
141 ტ ი ტ უ ს ლ ი ვ ი უ ს ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 223.
142 ი ქ ვ ე, გვ. 225.

კარად აგრძნობინებს მტერს, რომ თუკი თავს არ დაანებებენ კაპუას, იგი დაიპყრობს მათ დედაქალაქს! ნადირნი, რაც გინდ გახელებულნი იყვნენ, ისინიც კი ყველაფერს მიატოვებენ და გარბიან თავიანთი ბოკვერების საშველად, თუკი ბუნაგიდან მათ საცოდავ კიკეიეს გაიგონებენ, რომაელები კი არ მოეშვნენ კაპუას. არც ალყამ, არც ცოლებისა და შვილების გოდებამ, რომელმაც თითქმის ჩვენამდე მოაღწია, არც აოხრებამ და არც მათი სახლების, ხატების, ტაძრებისა და მათი წინაპრების საფლავების წაბილწვის შიშმა არ მოახსნევინა რომაელებს კაპუასათვის ალყა. აი როგორ სწყურიათ მათ ჩვენი სისხლი! და, სრულიად დამსახურებულადაც: ჩვენ რომ მათ ადგილზე ვყოფილიყავით, ზუსტად ასევე მოვიქცეოდით.

რომაული ტოგა.

სიკვდილს. მე არ დავემალები, რადგან ასეთია ღმერთების ნება, რომლებმაც გამარჯვება მტერს არგუნეს და არა ჩვენ—მაგრამ იმ ტანჯვასა და დამცირებას, რასაც რომაელები გვიპირებენ, თავიდან ავიცილებ. ჩემი თვალებით არ ვიხილავ ამაყ აპიუს კლავდიუსს, გულზვიად კვინტუს ფულვიუსს, არ გავყვები ბორკილებდადებული ტრიუმფულ ეტლს ქუჩებში, რომ მერე დილეგში მომგუდონ, ანდა მიმაბან ბოძზე და მათრახით ნაფლეთებად მიქციონ ზურგი, მერე კი ლიქტორის ნაჯახით წამკვეთონ თავი. მე არ დავინახავ როგორ აგიზგიზდება ჩემი ქალაქი, ტყვედ როგორ წაასხამენ ჩვენს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, დედებს. ყველას, ვისაც ჩემსავით არ სურს ყოველივე ამის დანახვა, ნადიმზე ვიწვევ. როდესაც ყველანი დავნაყრდებით და შიმშილს დავიკმაყოფილებთ, ჩამოვატარებ ფიალას და პირველად მე მოვსვამ. ეს ფიალა სხეულს აარიდებს ტანჯვას, სულს — დამცირებას და სამუდამოდ დაგვიხ-

შობს თვალისჩინსა და სმენას. მსახურნი ეზოში კოცონს გააჩაღებენ და ჩვენს გვამებს დაწვავენ. აი სიკვდილისაკენ მიმავალი ერთადერთი ღირსეული და თავისუფალი გზა. მტერს გააოცებს ჩვენი სიმამაცე. ჰანიბალი კი მიხვდება, თუ რა მოკავშირეებს აქცია ზურგი და უღალატა"[143].

ბიბიუს ვირიუსს ბევრმა სენატორმა დაუჭირა მხარი. მის სახლში მივიდა ოცდაშვიდი სენატორი, რომლებმაც შესვეს საწამლავი, შემდეგ გულმხურვალედ გამოეშშვიდობნენ და უკანასკნელად გადაეხვივნენ ერთმანეთს. ზოგნი ბიბიუსთან დარჩნენ, რათა შთანთქმულიყვნენ საერთო კოცონის ალში, თუმცა, ყველამ მანამდე განუტევა სული, ვიდრე მტრის წინაშე ქალაქის ბჭენი გაიღებოდა[144].

ტიტუს ლივიუსი დაწვრილებით აგვიწერს რომაელთა მიერ კაპუას აღებას და მის სასტიკად დასჯას. მისი გადმოცემით, კაპუაში შევიდა რომაელთა ლეგიონი და მოკავშირეთა ჯარის ათასი ცხენოსანი. ლეგიონის მეთაურმა უპირველეს ყოვლისა იარაღის ჩაბარება ბრძანა. შემდეგ კი უმსხვერპლოდ დაატყვევა კართაგენელთა გარნიზონი. შემდეგ სენატორებს უბრძანა ოქრო-ვერცხლი ჩაებარებინათ, სულ შეგროვდა რვაას ოთხმოცდაერთი კილოგრამი ოქრო და ათი ათას ორასთვრამეტი კილოგრამი ვერცხლი. ორმოცდაცამეტი სენატორი, რომლებიც განდგომის ყველაზე უფრო თავგამოდებული შომხრენი იყვნენ, გაიყვანეს ორ მეზობლად მდებარე ქალაქში, ჩაკეტეს და მცველები მიუყენეს.

დამნაშავეთა დასჯის თაობაზე კლავდიუსი და ფულვიუსი ვერ შეთანხმებულან. კლავდიუსი უფრო ლმობიერი გზის მომხრე იყო, ფულვიუსი კი მათ სასტიკად დასჯას მოითხოვდა. ამიტომ კლავდიუსმა კოლეგას შესთავაზა, რომ მათი დავა რომის სენატს გადაეწყვიტა.

მიუხედავად ფულვიუსის უკიდურესი გაცეცხლებისა, აპიუს კლავდიუსი მაინც ფიქრობდა, რომ მისი ამხანაგი სენატის გადაწყვეტილებას დაელოდებოდა და საკუთარი პასუხისმგებლობითა და რისკით არ იმოქმედებდა. მაგრამ ფულვიუსმა უბრძანა თავის ტრიბუნებს და მოკავშირეთა რაზმების მეთაურებს სალაშქროდ გაემზადებინათ ორი ათასი ცხენოსანი. ღამით იგი გაემგზავრა ერთ-ერთ

---

[143] ტ ი ტ უ ს ლ ი ვ ი უ ს ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 225.
[144] იქვე, გვ. 226.

ქალაქში, სადაც დატუსაღებული კამპანიელი სენატორები იყვნენ. ქალაქს რომაელებმა მიაღწიეს გარიჟრაჟზე და პირდაპირ მოედანს მიამურეს. ფულვიუსმა ტუსაღების მოყვანა ბრძანა. უკლებლივ ყველა გაროზგეს, მერე კი თავები დააყრევინეს.

იქიდან რომაელებმა მეორე ქალაქისკენ გაქუსლეს. გამოიყვანეს კამპანიელი ტყვეები და ბოძებზე გააკრეს. ამ დროს სენატის შიკრიკი გამოჩნდა და ფულვიუსს წერილი გადასცა. ფულვიუსი, ცხადია, მიხვდა რაც ეწერა წერილში, გაუხსნელად შეინახა უსტარი უბეში, და ბრძანა განეგრძოთ სიკვდილით დასჯა.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც უკანასკნელ ტუსაღს თავი წაკვეთეს, ამოიღო წერილი, წაიკითხა სენატის დადგენილება, მხრები აიჩეჩა და თქვა, წერილმა ძალზე დაიგვიანაო[145].

რომის სენატში კამათი გაიმართა იმის თაობაზე, დაენგრიათ და მიწასთან გაესწორებინათ ქალაქი, თუ ეკმარათ მისთვის უდიდესი მსხვერპლი. ბოლოს გონიერულმა აზრმა გაიმარჯვა და ქალაქი გადარჩა.

კაპუას დაცემა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა იყო. ეს ნიშნავდა ჰანიბალის გენერალური გეგმის მარცხს. „ეს იყო ომის გადამწყვეტი კრიზისი... ეს ნიშნავდა, რომ რომის ჰეგემონია იტალიაზე ურყევი იყო“[146]. კაპუას დაცემამ დაარწმუნა რომის მოკავშირეებს, რომ ჰანიბალის წარმატებები დროებითი იყო.

მდგომარეობა ესპანეთში

ესპანეთში გნეუს კორნელიუს სციპიონმა წარმატებებს მიაღწია. მან შეაღწია მატერიკის სიღრმეში. მრავალი მოკავშირე გაიჩინა და დაამარცხა ჰანონი, მაგრამ ჰასდრუბალმა გადმოლახა მდინარე იბერი, უეცრად თავს დაესხა მის ჯარს და გაიმარჯვა. ამის შემდეგ გნეუსი საზამთროდ ქ. ტარაკონაში გაჩერდა, ჰასდრუბალი კი გადავიდა იბერის მარჯვენა მხარეში და ომისათვის ინტენსიური მზადება გააჩაღა. გნეუსმა სახმელეთო ბრძოლებზე ხელი აიღო. სამაგიეროდ საზღვაო ბრძოლებში წარმატებებს მიაღწია. იბერიაში მას

---

[145] ტ ი ტ უ ს ლ ი ვ ი უ ს ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 227.

[146] ფ. მ ე რ ი ნ გ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 52.

დახმარებას უწევდნენ მასალიელები, „რომელნიც სხვა ხალხებთან შედარებით უფრო სანდო მოკავშირენი იყვნენ[147].

იბერის შესართავთან გამართულ ბრძოლაში გნეუსის ფლოტმა, რომელიც 25 ხომალდისაგან შედგებოდა, გამარჯვება მოიპოვა. კართაგენელებმა კვლავ შეაიარაღეს 70 ხომალდი, რომელსაც რომაელებმა დაუპირისპირეს 120 ხომალდისაგან შემდგარი ფლოტი და კართაგენელები იძულებულნი შეიქნენ ბრძოლისათვის თავი აერიდებინათ. სენატმა, მიუხედავად იმისა, რომ იტალიაში კვლავ სერიოზული მდგომარეობა იყო, შეაიარაღა 20 ხომალდი და გნეუსის ძმის პუბლიუს კორნელიუს სციპიონის მეთაურობით ესპანეთში გაგზავნა, რომაელები უაღრესად დაინტერესებული იყვნენ, რომ ესპანეთიდან გაერეკათ კართაგენელები.

ტიტუს ლივიუსის გადმოცემით, დიდმა სამხედრო საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა, რომ ბოლო მოეღო ესპანეთის ომისათვის. რომაელებმა ოცი ათასი კელტიბერი ჩარიცხეს სამსახურში. მოწინააღმდეგეს ჰყავდა სამი არმია: ორი მათგანი მაგონისა და ჰისგონის შვილის ჰასდრუბალის მეთაურობით ერთ ბანაკში იდგა, რომაელთაგან დაახლოებით ხუთი დღის სავალზე. მესამე არმიას სარდლობდა ჰასდრუბალი, ჰამილკარ ბარკას შვილი. სციპიონებმა განიზრახეს ჯერ ის დაემარცხებინათ.

ამრიგად, გადაწყდა საომარი მოქმედება გაეჩაღებინათ ერთბაშად მთელს ესპანეთში. პუბლიუს კორნელიუს სციპიონი დაიძრა მაგონისა და ჰისგონის შვილის, ჰასდრუბალის წინააღმდეგ, ხოლო გნეუს კორნელიუს სციპიონი ჰასდრუბალ ბარკას წინააღმდეგ.

ჰასდრუბალ ბარკას ბანაკი მდინარის გაღმა იყო. მან შეიტყო, რომ რომაელი სარდლის მთელი ძალა და იმედი ემყარებოდა კელტიბერთა დამხმარე რაზმებს. კართაგენელმა სარდალმა შესანიშნავად იცოდა ბარბაროსი ტომების სუსტი ადგილი. მან კელტიბერთა ბელადებს დიდი თანხა შესთავაზა იმის საზღაურად, რომ შინ წაეყვანათ თავიანთი მებრძოლები. კელტიბერები ჰასდრუბალის წინადადებამ ძლიერ მოხიბლა. მხარეები იოლად შეთანხმდნენ. კელტიბერები ერთბაშად აიყარნენ და რომაელებს ზურგი აქციეს. სციპიონი მიხვდა, რომ ვერც შეგონებითა და ვერც ძალით კელტიბე-

---

[147] პ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. I, გვ. 347.

რებს ველარ შეაჩერებდა. სხვა აღარაფერი დარჩენოდა და უკან დაიხია. იგი ყოველმხრივ ერიდებოდა გაშლილ ადგილზე ბრძოლას. ჰასდრუბალმა გადალახა მდინარე ბეტისი და ფეხდაფეხ დაედევნა მტერს[148].



ლეგიონერი ლაშქრობისას

უკეთეს მდგომარეობაში არც პუბლიუს კორნელიუსი იყო. მას ახალი, უცნობი მტერი ემუქრებოდა, მასინისა. იგი თავისი ნუმიდიური ცხენოსანი ჯარით თავს ესხმოდა პუბლიუსს და დღედაღამ მოსვენებას არ აძლევდა მის ჯარს.

პუბლიუს კორნელიუს სციპიონი იძულებული გახდა მიეღო ბრძოლა. მან გადაწყვიტა კართაგენელთა მოკავშირე სვესეტანების ტომისათვის მოეღო ბოლო.

ბრძოლაში რომაელებმა გატეხეს სვესეტანების წინააღმდეგობა და ის-ის იყო გამარჯვება უნდა ეზეიმათ, რომ მოულოდნელად მათ

---

[148] ტ ი ტ უ ს ლ ი ვ ი უ ს ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 202.

თავს დაესხა მასინისა. რომაელები არ შემდრკალან, მაგრამ ახლა კართაგენელთა ქვეითი ჯარი გამოჩნდა, რომელმაც ზურგიდან დაარტყა მტერს. სციპიონი ამხნევებდა მებრძოლებს და თვითონ გადაეშვებოდა ხოლმე ბრძოლაში იქ, სადაც ყველაზე უფრო მეტად უჭირდათ. ერთ-ერთ ასეთ შეტაკებაში მას მარჯვენა მხარში აძგერეს შუბი. როცა კართაგენელებმა დაინახეს, რომ სციპიონი ცხენიდან გადმოვარდა, ყიჟინით აუწყეს ყველას რომაელი სარდლის სიკვდილი[149].

რომაელთა ჯარი საშინელმა პანიკამ მოიცვა, პირი იბრუნა და სცადა გაქცევით ეშველა თავისთვის, მაგრამ ეს თითქმის შეუძლებელი იყო. მას დაედევნენ კართაგენელთა ცხენოსნები და ქვეითი ჯარი. დევნისას მტერმა თითქმის უფრო მეტი რომაელი გაწყვიტა, ვიდრე თვით ბრძოლის დროს. საერთოდ, ალბათ, არც ერთი კაცი არ გადარჩებოდა, რომ არ დალამებულიყო, წერს ტიტე ლივიუსი[150].

გნეუს კორნელიუს სციპიონმა შენიშნა, რომ მტრის ბანაკში ჯარმა იმატა. იგი მიხვდა, რომ პუბლიუს კორნელიუს სციპიონი დაამარცხეს მტრის შეერთებულმა ძალებმა და ახლა ჯერი მასზე მიმდგარიყო. მტრის ჯარი რამდენჯერმე სჭარბობდა რომაელთა ისედაც დემორალიზებულ ჯარს.

გაჩაღდა უთანასწორო ბრძოლა. რომაელები დამარცხდნენ. გნეუს კორნელიუს სციპიონი რამდენიმე თანმხლებლითურთ წააწყდა სადარაჯო კოშკს და მასში ჩაიკეტა. კართაგენელებმა კოშკს თივა შემოუწყვეს და ცეცხლი წაუკიდეს, როცა კარი დაიწვა, კოშკში შეცვივდნენ და ყველანი ამოჟლიტეს.

ასე დაიღუპა გნეუს კორნელიუს სციპიონი, პუბლიუსის სიკვდილის შემდეგ ოცდამეცხრე დღეს. ძმების დაღუპვას გლოვობდა არა მარტო რომი, წერს ლივიუსი, არამედ მთელი ესპანეთი. ამასაც ვიტყვით: რომში გლოვობდნენ დაკარგულ არმიასაც, დაკარგულ პროვინციასაც, ესპანეთი კი გლოვობდა მხოლოდ დაღუპულ სციპიონებს. უფრო გნეუსს, ვიდრე პუბლიუსს, იმიტომ, რომ მან უფრო დიდხანს დაჰყო ესპანეთის მიწაზე, პირველმა მოიხვეჭა ესპანელთა სიყვარული და პირველმა დაანახვა მათ რომაული სამართლიანობის, უბრალოებისა და თავდაჭერის ნიმუშიო[151].

---

149 ტ ი ტ უ ს ლ ი ვ ი [უ ს ი, [დასახელებული] ნაშრომი, გვ. 201—202.
150 ი ქ ვ ე, გვ. 202.
151 ი ქ ვ ე, გვ. 205.

სციპიონების სიკვდილის შემდეგი სენატმა ესპანეთში გაგზავნა ლუციუსს მარციუსი და ტიტუს ფონტეუსი, ხოლო მას შემდეგ, რაც რომაელებმა კაპუა აიღეს, შესაძლებლად ჩათვალეს ესპანეთში 12 ათასი ქვეითისა და 1100 მხედრის გაგზავნა კლავდიუს ნერონის მეთაურობით.

210 წელს სენატმა ესპანეთში გაგზავნა პუბლიუს კორნეულიუს სციპიონი (უმცროსი). მან თავი გამოიჩინა, როგორც მამაცმა და ნიჭიერმა სარდალმა. პოლიბიოსის ცნობით, მას ახასიათებდა დიდსულოვნება, სიფრთხილე, შორსმჭვრეტელობა, დაკვირვებულობა, თანამიმდევრულობა[152]. ამ თვისებების გამო მას დიდი პოპულარობა მოუპოვებია ხალხსა და არმიაში.

კორნელიუს სციპიონი დაიბადა 236—235 წლებში რომაელი დიდებულის ოჯახში. ეს გვარი III—II სს-ში ერთ-ერთ გამოჩენილ როლს ასრულებდა რომის პოლიტიკურ ცხოვრებაში. სციპიონთა გვარი დაკავშირებული იყო ემილიუსების გვართან. კორნელია, ძმები გრაკხუსების დედა, სციპიონ აფრიკელის ქალიშვილი იყო, ხოლო გრაკხუსების და სემპრონია გათხოვილი იყო სციპიონ ემილიანუსზე.

ი. შ. კორაბლიოვი იმოწმებს აპიანეს, რომლის სიტყვებითაც კონსულობის ახალგაზრდა პრეტენდენტი ამბობდა, რომ შურს იძიებდა მამის, ბიძისა და სამშობლოსათვის. უფრო მეტიც, იგი ამბობდა, რომ არა მარტო ესპანეთს, კართაგენსაც დაიპყრობდა. სციპიონმა აქტიური საქმიანობა გააჩაღა რის შედეგადაც იგი აირჩიეს რომაელთა ჯარების მეთაურად ესპანეთში.

გადმოცემით, როგორც ზემოთაც აღინიშნა, 17 წლის კორნელიუს სციპიონ უმცროსი ტიციინუსთან იბრძოდა და იქ სიკვდილს გადაარჩინა მამამისი. კანასთან მონაწილეობას იღებდა როგორც სამხედრო ტრიბუნი. იგი მათ შორის იყო, ვინც აპიუს კლავდიუს პულხერთან ერთად სათავეში ჩაუდგა შეძრწუნებულ და სასოწარკვეთილ რომაელ ჯარისკაცებს და წინააღუდგა ლუციუს ცეცილიუს მეტელუსს, რომ ბედის ანაბრად მიეტოვებინათ რომი, გაქცეულიყვნენ ნებისმიერი მიმართულებით. ასევე გადმოგვცემენ, რომ სციპიონ უმცროსი საოცრად ღვთისმოშიში კაცი იყო.

---

[152] პ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. II, გვ. 235—236.

ესპანეთში, ა. მიშულინის გამოანგარიშებით, პუბლიუს კორნელიუს სციპიონის ხელქვეით აღმოჩნდა 35 ათასი შებრძოლი[153].

რომაელი სარდალი მოქმედებდა როგორც იარაღით, ისე დიპლომატიური გზით. მან აქტიური საქმიანობა გააჩაღა. ამ დროისათვის, ჩანს, კართაგენელებს საკმაოდ მოუბეზრებიათ თავი იბერიელი ტომებისათვის, რომელნიც ცდილობდნენ რამენაირად თავიდან მოეშორებინათ კართაგენელთა ბატონობა. ამ ტომების რომაელთა მხარეზე გადასვლაში განსაკუთრებული როლი შეასრულა იბერმა დიდებულმა აბილიგმა. მან მოახერხა იმ იბერი მძევლების განთავისუფლება, ჰანიბალმა რომ წაიყვანა იტალიაზე გალაშქრების წინ.

ტიტუს ლივიუსი მოგვითხრობს ასეთ ეპიზოდს: „ჯარისკაცებმა სციპიონს მიუყვანეს ტყვე ქალი, რომელიც თურმე ახალგაზრდა იბერი დიდებულის ალუციუსის სატრფო იყო. სარდალმა პატივისცემით მიიღო ქალი და შემდეგ სასიძოს ჩააბარა. ამით მადლიერი იბერი რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდა და თან სციპიონს 1500 მხედარი მოუყვანა.

„ვიყოთ გულახდილნი, — უთხრა სციპიონმა კელტიბერ ალუციუსს, — იმიტომ, რომ ერთი ხნისანი ვართ და ერთმანეთს არ უნდა მოვერიდოთ. ჩემმა მებრძოლებმა ტყვედ იგდეს შენი საცოლე და მომგვარეს. მითხრეს, რომ ქალიშვილი შენ გიყვარს და ამაში არაფერია საოცარი. ის ისეთი მშვენიერია, რომ არც მე ვიტყოდი მსგავს საცოლეზე უარს, ჩემს თავს ჩვეულებრივი ჭაბუკისათვის შესაფერისი საქციელის უფლებას რომ ვაძლევდე. მაგრამ მე მთლიანად ჩემს თავს კი არ ვეკუთვნი, არამედ სახელმწიფოს. ამიტომ მინდა დაგეხმარო შენს სიყვარულში — ამის უფლება მე მაქვს. ჩემთან შენს საცოლეს ისევე არავინ მიჰკარებია, როგორც საკუთარ მშობლებთან. მიიღე ჩემგან ის ისეთ ძღვნად, ორივე ჩვენგანისათვის შესაფერისი რომ იქნება. მხოლოდ ერთ რამეს გთხოვ: იყავი რომაელი ხალხის მეგობარი. შენ თუ მიგაჩნია, რომ მე წესიერი კაცი ვარ, იცოდე, რომ რომაელ ხალხში მრავალი ჩემისთანაა და ქვეყნად არ არის სხვა ხალხი, რომელთანაც მეგობრობა შენთვის ესოდენ სასიკეთო იყოს, მტრობა კი საზარალო“[154].

---

[153] А. В. Мишулин. Античная Испания. 1952, с. 304.

[154] ტიტუს ლივიუსი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 256.

ი. შ. კორაბლიოვის აზრით, ესპანეთის ამბებს ჰანიბალი დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა და იქ ახალი რომაელი სარდლის გამოჩენას მასზე არაეითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. იგი არა მარტო თვით დარჩა იტალიაში, არამედ თავისი ძმა ჰასდრუბალიც გაიწვია[155].

„სციპიონმა გადალახა მდინარე იბერი,—წერს ლივიუსი,—ოცდახუთი ათასი ქვეითი ჯარისკაცითა და ორიათას ხუთასი ცხენოსნით... მან გადაწყვიტა დაეწყო ახალი კართაგენის ალყით.

ამ მდიდარ ქალაქში იყო კართაგენელთა იარაღის საწყობიც, სახელმწიფო ხაზინაც, სადაც ფული ინახებოდა და საპატიმროც, სადაც მთელი ესპანეთიდან მოყვანილი მძევლები ჰყავდათ დამწყვდეული. ქალაქს ჰქონდა ვრცელი ნავსადგური ნებისმიერი ფლოტისათვის და ძალიან ახლო იყო აფრიკასთან. იბერის გადალახვიდან მეშვიდე დღეს რომაელები ახალ კართაგენს მიუახლოვდნენ ხმელეთიდან და ზღვიდან ერთდროულად: ადრევე ასე შეუთანხმდა სციპიონი ფლოტის უფროსს გაიუს ლელიუსს“[156].

ახალ კართაგენს იცავდა კართაგენელთა გარნიზონი მაგონის მეთაურობით. იგი დარწმუნდა, რომ მხოლოდ თავისი გარნიზონით სათანადო წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა რიცხობრივად რამდენჯერმე ჭარბ მოწინააღმდეგეს. ამიტომ შეაიარაღა ორი ათასი მოქალაქე და განალაგა ქალაქის გალავანთან, რომელიც ზედ რომაელებისკენ იყო მიმართული. ხუთასი მებრძოლი ციხესიმაგრეში ჩააყენა, ხუთასი კი — ბორცვის კორტოხზე, ქალაქის სამხრეთ ნაწილში. მათ უბრძანა იქ მიშველებოდნენ, სადაც ქალაქის დამცველთ ყველაზე უფრო გაუჭირდებოდათ.

სციპიონმა ხმელეთიდან და ზღვიდან ერთდროულად დაარტყა მტერს. ქალაქის დამცველნი თავგანწირვით იბრძოდნენ, მაგრამ რომაელთა შტურმს ვერ გაუძლეს. ახალი კართაგენი დაეცა, მაგონი ციხეში ჩაიკეტა, მაგრამ მალე შეწყვიტა უიმედო წინააღმდეგობა. რომაელებმა უდიდესი ნადავლი იგდეს ხელთ. ლივიუსის გადმოცემით, ათი ათასი თავისუფალი წარმოშობის მებრძოლი ჩაბარდა ტყვედ. ახალი კართაგენის მკვიდრნი სციპიონმა გაათავისუფლა, დაუბრუნა მათ სახლები და ძარცვას გადარჩენილი ქონება. დაახლოე-

---

155 ი. შ. კ ო რ ა ბ ლ ი ო ვ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 247.

156 ტ ი ტ უ ს ლ ი ვ ი უ ს ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 248.

ბით ორი ათასი ხელოსანი რომაელი ხალხის მონად აქციეს. მათ გათავისუფლებას შეპირდნენ იმ პირობით, თუკი კეთილსინდისიერად ემსახურებოდნენ რომაელებს. დანარჩენი მცხოვრებნი, მოხუცებისა და ხეიბრების გარდა, რომელთაც არ ჰქონდათ მოქალაქეთა უფლება, ასევე ჯანმაგარი ჰაბუკი მონები ხომალდებს მიამაგრეს და მენიჩბეობა დააკისრეს, რომაელთა ფლოტი შეავსო მრავალმა ხომალდმა, რომლებიც ნავსადგურში დაისაკუთრეს.

სამხედრო მანქანებიდან და სურსათ-სანოვაგის მარაგიდან რომაელებმა ხელთ იგდეს ასოცი დიდი კატაპულტა, ორას ოთხმოცდაერთი მცირე, ოცდასამი დიდი და ორმოცდათორმეტი — მცირე ბალისტა, ურიცხვი დიდი და მცირე სკორპიონი, მახვილი, ფარი, ჯავშანი, ხელშუბი. უამრავი ოქრო-ვერცხლი. ორას სამოცდათექვსმეტი ოქროს ფიალა, ვერცხლის ზოდები და მონეტები — თითქმის ექვსი ათასი კილოგრამი, გარდა ამისა უამრავი ვერცხლის ჭურჭელი. ოთხი ათასი მოდიუსი[157] ხორბალი, სამოცდაათი ათასი მოდიუსი ქერი. ნავსადგურში იდგა ხორბლით, იარაღით, სპილენძით, რკინით, ტილოთი, ბაგირებით დატვირთული სამოცდასამი ხომალდი[158].

ა. ვ. მიშულინი იძლევა სციპიონის (უფროსის) და მისი ძმის გნეუსის წარუმატებლობის მიზეზების ახსნას, რომელიც კარგად გაითვალისწინა პუბლიუს კორნელიუს სციპიონმა (უმცროსმა). ამ მიზეზებად ა. ვ. მიშულინი ასახელებს: 1. დიდ მანძილს მდინარე ებროსა და ბეტისს შორის. 2. ესპანეთის აღმოსავლეთ წყლებში რომაული ფლოტის სისუსტეს. ორივე ეს პირობა მშვენივრად გაითვალისწინა სციპიონ უმცროსმა, მან აიღო ახალი კართაგენი, რითაც მყარი დასაყრდენი გაიჩინა ებროსა და ბეტისს შორის. ასევე მან უზრუნველყო რომაული ფლოტის ბატონობა ესპანეთის აღმოსავლეთ წყლებშიო[159].

ახალი კართაგენის აღების ოპერაცია ერთ-ერთი შესანიშნავი ფურცელია სამხედრო ხელოვნების ისტორიაში. სციპიონმა აქედან ენერგიული მოქმედება გააჩაღა. კართაგენელებმა უდიდესი შეცდომა ჩაიდინეს. მათი არმიები ერთმანეთისაგან დიდი მანძილით

---

157 მ ო დ ი უ ს ი — დაახლოებით 9 ლიტრი.

158 ტ ი ტ უ ს ლ ი ვ ი უ ს ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 253.

159 А. В. Мишулин. О возникновении римского провинциального управления в Испании. ВДИ, № 1, 1949, г., с. 41.

იყვნენ დაშორებული და თავიანთი ძირითადი სტრატეგიული პუნქ-ტი ათასკაციანი გარნიზონის ამარა დატოვეს, რომლის დამარცხებაც სციპიონმა ადვილად შეძლო. ამიერიდან ახალ კართაგენს იგივე რო-ლი უნდა შეესრულებინა რომაელთა მხარეზე, როგორსაც იგი აქამ-დე კართაგენელთათვის ასრულებდა. ეს ასეც მოხდა.

209 წ. პუბლიუს კორნელიუს სციპიონმა გამარჯვება მოიპოვა ჰასდრუბალზე ბეკულთან ბრძოლაში. ასეთივე გამარჯვება მოიპოვა სილანუსმა მაგონისა და ჰანონის გაერთიანებულ არმიაზე და შემ-დეგში სციპიონმა ილიპოსთან ბრძოლაში დაამარცხა ჰასდრუბალი-სა და მასინისას გაერთიანებული ლაშქარი. ილიპოსთან ბრძოლას ა. ვ. მიშულინი უწოდებს „კართაგენ-რომის ომში მობრუნების პუნქტს"[160]. დენისონი კი მას თვლის სამხედრო ისტორიაში რო-მის ტაქტიკური ხელოვნების ნიმუშად[161].

206 წლისათვის მთელი ესპანეთი რომაელთა ხელში გადავიდა.

ბრძოლა მეტაპონტთან

კართაგენელები ხედავდნენ, რომ იტალიაში ჰანიბალს გაუჭირ-და. ამიტომ ჰასდრუბალმა გადაწყვიტა ძმას დახმარებოდა. იგი გა-უსხლტა სციპიონს ესპანეთიდან, გადალახა ალპები და მისწერა ძმას, უამბრიაში შეგვხვდებიო.

ტიტუს ლივიუსი ზუსტად გადმოგვცემს ჰასდრუბალის მარშ-რუტს. იგი აპენინის მთებს სამხრეთით დაუყვა და ძმასთან წერილი გაატანა ექვს მხედარს — ორ ნუმიდიელსა და ოთხ გალს. მეტაპონტ-თან ჰასდრუბალის შიკრიკებს გზა აებნათ და რომაელთა პატრულს გადაეყარნენ, რომლებმაც ისინი მაშინვე კვინტუს კლავდიუსს მიუყვანეს. კვინტუს კლავდიუსმა, ისე რომ ბარათი არც კი გაუხსნია, ბრძანა ისინი აპულიაში წაეყვანათ და კონსულ გაიუს კლავდიუს ნერონისათვის წარედგინათ.

გაიუს კლავდიუს ნერონმა შეიტყო თუ არა წერილის შინა-არსი, გადაწყვიტა, რომ რომაელებს ომის გეგმა მთლიანად უნდა

---

[160] А. В. Мишулин. Античная Испания, с. 312.

[161] დ ე ნ ი ს ო ნ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 60.

შეეცვალათ. ამ გეგმით თითოეულ კონსულს სენატისაგან ევალებოდა თავის პროვინციაში თავისივე ძალებით ებრძოლა მტერთან. ახალი გეგმით გაიუს კლავდიუს ნერონი უნდა შეერთებოდა კონსულ მარკუს ლივიუსს და გაერთიანებული არმიით გაენადგურებინათ ჰასდრუბალი მანამ, ვიდრე ის ძმას შეუერთდებოდა.

როცა გაიუს კლავდიუსის გადაწყვეტილების შესახებ გაიგეს რომში, იქ ისეთმავე შიშმა დაისადგურა, როგორც ჰანიბალის რომთან გამოჩენის დროს. რომაელები შეაშფოთა იმან, რომ კლავდიუსმა ბანაკი უეცრად მიატოვა, თავის ლეგატს კვინტუს კატიუსს გადასცა ბანაკის უფროსობა და თვით კი ლივიუსთან შესახვედრად გაემართა. ეს მაშინ, როცა ჰანიბალი იქვე იყო, რომის კარიბჭესთან. რომაელები შეაძრწუნა იმ ამბავმა, წერს ლივიუსი, რომ ახლა არსებითად ორი პუნიკური ომი იყო და ორი ჰანიბალი იბრძოდა მათ წინააღმდეგ. დიახაც, ჰასდრუბალი ხომ იმავე მამის, ჰამილკარის შვილი იყო, ისეთივე გულადი, დაუცხრომელი და ქედუხრელი, ესპანეთის ომში მრავალი წლის ბრძოლით გამობრძმედილი, სციპიონების ორგზის დამარცხებით სახელგანთქმული და ზოგი რამით ის უფრო მაღლა იდგა ჰანიბალზე; რა სწრაფად გადმოლახა მან პირენეები და ალპები, რა იოლად აჯანყა და იარაღი აასხმევინა გალებს — და ეს მოხდა იმ ადგილებში, სადაც ჰანიბალმა თავისი არმიის ნახევარზე მეტი დაკარგა ყველაზე უფრო საზარელი სიკვდილით — შიმშილისა და სიცივისაგან[162].

კონსულების შეერთების ამბავმა თავზარი დასცა ჰასდრუბალს. „უთუოდ ორივე კონსული აქ არის, — ფიქრობდა ჰასდრუბალი, — მაგრამ როგორ დაუსხლტა კლავდიუსი ჰანიბალს?“ ათასგვარი აზრები მოსდიოდა მას თავში, მაგრამ მხოლოდ საგანთა ჭეშმარიტი მდგომარეობა ვერ წარმოედგინა — რომ ჰანიბალი პატარა ბიჭივით გააცურეს. „უეჭველად, — ფიქრობდა ჰასდრუბალი, — ჩემი ძმა სასტიკად დამარცხდა, ვერ შეძლო და ვერ გაბედა მტრის გამოდევნება. იგი თავის თავს ეკითხებოდა, ომი მთლად ხომ არ არის წაგებული, ხომ არ დავიგვიანე ძმის დასახმარებლადო“[163].

ჰასდრუბალმა გადაწყვიტა, რომ როგორმე გაცლოდა რომაელ კონსულთა შეერთებულ არმიებს, აჰყარა ბანაკი და გაემართა მდი-

---

[162] ტიტუს ლივიუსი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 297.
[163] იქვე. გვ. 301.

ნარე მეტავრაზე გადასასვლელად. ღამის სიბნელეში ადგილობრივ-მა მეგზურებმა კართაგენელებს უმუხთლეს და გაეპარნენ. ლაშქარი დაბნეული დაბორიალებდა. ბოლოს ჰასდრუბალმა ბრძანება გასცა მდინარის ზედაწელს აპყოლოდნენ, მაგრამ უკუნ ღამეში დაკ-ლაკნილმა მდინარემ კიდევ უფრო დააბნია კართაგენელები. ჰას-დრუბალმა ბრძანა განთიადს დალოდებოდნენ. პირველად გაიუს კლავდიუს ნერონის არმია მიადგა კართაგენელებს, მას მოჰყვებოდა პრეტორ ლუციუს პორციუსის მსუბუქი ქვეითი ჯარი. აქვე გამო-ჩნდნენ მარკუს ლივიუსის ლეგიონები. ჰასდრუბალს სხვა გზა აღარ დარჩენოდა და ბრძოლაში ჩაება. მან ცენტრში ათი სპილო დააყენა, მათ უკან — ლიგურები. მარცხენა ფლანგზე კლავდიუსის წინააღმ-დეგ განალაგა გალები, მარჯვენაზე — ესპანელები. ესპანელები იყვ-ნენ მისი ვეტერანები და არმიის მთავარ დასაყრდენ ძალას შეად-გენდნენ; მარჯვენა ფლანგს თვითონ შეთაურობდა. შეტაკება გააფთ-რებულ ჩეხვად გადაიქცა: აქ თავი შოიყარეს რომაელთა ქვეითმა და ცხენოსანმა ჯარმა, აქვე იბრძოდნენ ესპანელები, ლიგურიელები. აქეთკენ დაიძრნენ სპილოები, რომელთა შემოტევამაც არიე-დარია მტრის მეწინავე რიგები და რომაელთა დროშებიც შედრკნენ. სა-შინელ ზედახოცვაში გაძნელდა სპილოების დამორჩილება, ისინი დაფეთებული დაქროდნენ და ვეღარ გაეგოთ, სად იყო მტერი და სად მოყვარე.

ამ დროს ბრძოლაში ჩაება კლავდიუსი, რომელმაც ჰასდრუბალს დასცხო ფლანგიდან და ზურგში მოექცა. გაჩაღდა სისხლისმღვრე-ლი ბრძოლა. გალებმა თითქმის შეწყვიტეს წინააღმდეგობა. ისინი დაღლილ-დაქანცულნი იყვნენ უძილობისა და უმძიმესი ლაშ-ქრობისაგან, თან სიცხე და წყურვილი ტანჯავდათ.

გახელებული სპილოები საკუთარმა მხედრებმა დახოცეს; ერთ-ერთი ასეთი სპილო ყველაზე პირველად ჰასდრუბალმა გამოა-სალმა სიცოცხლეს. ლივიუსი აღტაცებულია ჰასდრუბალის გმირო-ბით. ის აკავებდა ჯარისკაცებს მწყობრში გამამხნევებელი სიტყვე-ბით, ხან საკუთარი მაგალითით, აღვივებდა მიმქრალ სიმამაცეს, რო-ცა ხედავდა, რომ ჯარისკაცებს დაღლილობისაგან მახვილი ხელიდან უვარდებოდათ, უკან აბრუნებდა უკუქცეულთ და მრავალ ადგილას კვლავ აღადგინა და გააერთიანა უკვე გაწყვეტილი მებრძოლთა რი-გები, არაერთხელ დაიბრუნა დაკარგული პოზიციები. დაბოლოს,

როცა ბრძოლის ბედი საბოლოოდ გადაწყდა, არ ისურვა აეტანა არმიის მარცხი, რომელიც მის დიდებასა და სახელს ანდეს, — ცხენი რომაელთა კოჰორტების შუაგულში შეაგდო და ბრძოლაში დაეცა დიდი ჰამილკარის ღირსეული მემკვიდრე და დიდი ჰანიბალის ძმა.

არასოდეს მთელი ომის განმავლობაში, წერს ტიტუს ლივიუსი, ერთ ბრძოლას მტრისთვის ასეთი ზარალი არ მოუტანია — ეს იყო შეშმარიტი საზღაური კანასათვის[164].

ეს ბრძოლა 207 წელს მოხდა. ჰასდრუბალის გმირობით აღტაცებული პოლიბიოსი წერს, რომ მან გასაოცარი სიმამაცე გამოიჩინა და თავი ისე ეჭირა, როგორც ბარკას ღირსეულ შვილს შეეფერებოდაო[165]. მისი თავი რომაელმა მხედარმა ჰანიბალის ბანაკში გადაისროლა. ძმის თავის დანახვაზე ჰანიბალს უთქვამს, ახლა კი ჩემთვის ცხადია, რაც ელის კართაგენსო.

ამ ბრძოლაში, პოლიბიოსის ცნობით, დაიღუპა 10 ათასი კართაგენელი. რომაელებმა დაახლოებით 2 ათასი მებრძოლი დაკარგეს[166].

მეტაურასთან კართაგენელების დამარცხებას არსებითი მნიშვნელობა არა ჰქონია, რადგან ჰასდრუბალი კიდევაც რომ შეერთებოდა ჰანიბალს, ეს მაინც ვერ შეატრიალებდა კართაგენელთა წაგებულ საქმეს, თუმცა, შესაძლებელია დროებით შეეშსუბუქებინა ჰანიბალის მდგომარეობა.

203 წ. მაგონი გაეშურა ძმის დასახმარებლად და გენუასთან 14 ათასიანი არმია გადასხა. იგი იმედოვნებდა, რომ გალები მიემხრობოდნენ, მაგრამ ვარაუდი არ გაუმართლდა. გალები არ მიემხრნენ, ძმას ვერ შეუერთდა და დამარცხდა. მძიმედ დაჭრილი მაგონი რომაელებს დაუსხლტა და კართაგენისაკენ გასწია, მაგრამ ჭრილობისაგან გემზე გარდაიცვალა.

სციპიონმა გადაწყვიტა კართაგენელებისათვის სასიკვდილო დარტყმა თვით აფრიკის კონტინენტზე მიეყენებინა. მაგრამ აფრიკაში ექსპედიციის წინაალმდეგ გამოსულა კვინტუს ფაბიუს მაქსი-

---

164 ტ ი ტ უ ს ლ ი ვ ი უ ს ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 303—304.
165 პ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. II, გვ. 305.
166 ი ბ ე-

მუსი. ტიტუს ლივიუსი გადმოგვცემს სენატში წარმოთქმულ მის სიტყვას:

„ვიცი, ბატონო სენატორებო, რომ ბევრს პროვინცია აფრიკის საკითხი, და ის, თუ ვის შეხვდება იგი, გადაჭრილად მიაჩნია. მაგრამ რამდენადაც ვიცი, არც ხალხს ჯერ არ დაუდგენია, რომ აფრიკა წლეულს იყოს ომის თეატრი...

დიახ, მე წინააღმდეგი ვარ აფრიკაში ლაშქრობისა და ამას აშკარად ვაცხადებ, მიუხედავად იმ საყვედურებისა, რასაც აქ უთუოდ მოვისმენ. ჯერ ერთი, გაიხსენებენ ჩემს მუდმივ აუჩქარებლობას და რა თქმა უნდა, ახალგაზრდები შემთხვევას არ გაუშვებენ, რომ მომნათლონ მშიშარად და ზოზინად, — მეორეც, ბრალს დამდებენ შურიანობაში დღითი-დღე მზარდი ჩვენი შესანიშნავი კონსულისადმი.

მაგრამ თუ არ გაითვალისწინებთ ჩემს ბუნებას, და იმ დიდ პატივს, რითაც მე უხვად დამაჯილდოვეს, გადახედეთ ჩემს წლებს. ნუთუ მე, მოხუცი კაცი, ხუთგზის კონსულობის შემდეგ, ვექიშპები ჩემს შვილზე უმცროს ჰაბუკს?...

მე ყოველთვის სახელმწიფოს სიკეთეს საკუთარ დიდებაზე მაღლა ვაყენებდი და უყოყმანოდ დავაყენებ შენს დიდებაზე მაღლა, პუბლიუს კორნელიუს... იტალიიდან ჰანიბალის განდევნა, რომელიც მოსვენებას არ გვაძლევს თოთხმეტი წლის განმავლობაში, — განა ეს უდიდესი გამარჯვება არ იქნება?“[167]...

კვინტუს ფაბიუს მაქსიმუსს ეშვეში დაუყენებია სციპიონის გეგმა, რაც იმას გულისხმობდა, რომ რომაელთა არმიის აფრიკაში გადასხმას თან აუცილებლად ჰანიბალის იტალიიდან წასვლაც მოჰყვებოდა.

მაგრამ სციპიონს სენატისათვის დაუსაბუთებია, რომ კართაგენელთა წინააღმდეგ ბრძოლის მისი გეგმა სრულიად რეალური იყო: სციპიონმა ნათელყო, რომ კართაგენელების ბატონობით შეწუხებული მეზობლები სიამოვნებით დასთანხმდებოდნენ საძულველი დამპყრობლების წინააღმდეგ რომაელებთან კავშირზე, საკუთარი ძალები კი კართაგენელებს ძალიან მცირე ჰყავდათ. „ეყოფა აფრიკას მშვიდობითა და სიწყნარით ტკბობა. ახლა, დაე, გმინავდეს სა-

---

[167] ტ ი ტ უ ს ლ ი ვ ი უ ს ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 340—341.

სოწარკვეთისა, ძრწოლისა და ტკივილებისაგან", — დაამთავრა თავისი გამოსვლა მან[168].

სციპიონმა 204 წელს 30-ათასიანი არმია გადასხა უტიკასთან, კართაგენის ოდნავ ჩრდილოეთით. იგი ფიქრობდა გამოეყენებინა სიფაქსი, რომელიც კართაგენელებთან მტრულ დამოკიდებულებაში იყო. მაგრამ მისი აფრიკაში ჩამოსვლის მომენტისათვის ეს მტრობა მოყვრობით შეიცვალა.

ტიტუს ლივიუსი გადმოგვცემს, რომ ჰასდრუბალ ჰისგონის შვილმა სიფაქსს მიათხოვა თავისი ქალიშვილი სოფონიბე. ამას მოჰყვა სახელმწიფოებრივი კავშირი, რომლითაც კართაგენელები და სიფაქსი ვალდებულნი იყვნენ ჰყოლოდათ საერთო მეგობრები და მტრები[169].

მაგრამ ჰასდრუბალისა და სიფაქსის გაერთიანებული ლაშქარი ორგზის დაამარცხა რომაელთა და მასინისას გაერთიანებულმა ჯარმა. ბრძოლაში სიფაქსი და მისი მშვენიერი მეუღლე ტყვედ ჩავარდნენ. ტიტუს ლივიუსი გადმოგვცემს სოფონიბეს სიტყვებს, რომლითაც მას მიუმართავს მასინისასთვის.

— მე შენს სრულსა და განუყოფელს განკარგულებაში ვარ, მაგრამ, თუკი ტყვეს უფლება აქვს ითხოვოს შეწყალება, გაფიცებ შენს მეფურ ღირსებას, რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ მეც გამაჩნდა, გაფიცებ ნუმიდიელის სახელს, შენ რომ ატარებ სიფაქსთან ერთად, ნუ ჩამაგდებ რომაელების ხელში. როგორც უნდა განაგო ჩემი ბედი, მე მზად ვარ ავიტანო ყოველივე, იმიტომ, რომ ეს ბრძანება იქნება თანამემამულისა, რომელიც ჩემი მშობლიური აფრიკის შვილია. და თუ შენ არ ძალგიძს დაიცვა სოფონიბე რომაელთა ძალადობისა და ქედმაღლობისაგან, მაშინ სიცოცხლე მოუსპე მას"[170] მასინისა მოხიბლა სოფონიბემ. „ტყვე ქალმა დაიმორჩილა გამარჯვებული". ნუმიდიელი ქალს შეეპირდა, რომ შეუსრულებდა თხოვნას. იმავე დღეს მასინისა დაქორწინდა სოფონიბეზე, რათა ლელიუსისა და სციპიონისათვის პირდაპირ ეგრძნობინებინა, რომ სოფონიბე მისი მეუღლე იყო და არა ტყვე. მასინისას ამ საქციელმა განარისხა ლელიუსი, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტა ყო-

---

168 ტ ი ტ უ ს ლ ი ვ ი უ ს ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 342.
169 ი ქ ვ ე. გვ. 354.
170 ი ქ ვ ე. გვ. 365.

ველივე მოეხსენებინა სციპიონისათვის და მას გადაეწყვიტა მასინისასა და სოფონიბეს ბედი.

ტიტუს ლივიუსი გადმოგვცემს სიფაქსის სიტყვებს, რომელიც ტყვედქმნილს უთქვამს სციპიონისათვის.

„მე მოვიქეცი როგორც უბადრუკი უგუნური, მაგრამ უგუნურება დამეუფლა არა მაშინ, როცა იარაღი აღვმართე რომის წინააღმდეგ, არამედ გაცილებით ადრე: უგუნურება ჩემს ჭერქვეშ შემოვიდა კართაგენელ ქალთან ერთად, რომელიც ცოლად შევირთე. საქორწინო ჩირაღდნებს მოჰყვა ის ალი, სიფაქსს რომ გონება და ძალა დაუხშო. ეს ქალი შემომეწნა, დამაბრმავა და იმდენი ეცადა, სანამ მახვილი არ აღმამართვინა ჩემი მეგობრისა და კეთილი მასპინძლის წინააღმდეგ. ახლა ჩემთვის ყველაფერი დაკარგულია, მხოლოდ ერთი რამ მრჩება ნუგეშად — რომ იგივე ჭირმა, იგივე ცოფმა შეაღწია იმ კაცის გულში, რომელიც ამ ქვეყანაზედ ყველაზე მეტად მძულს. მასინისა სიფაქსზე არც უფრო ჭკვიანია და არც უფრო მტკიცე, ხოლო ასაკით ბევრად უფრო დაუდეგარია და სულ მალე ზღავს სოფონიბეს სიყვარულისათვის“.

ეს გესლიანი სიტყვები, წერს ტიტუს ლივიუსი, სიფაქსს ათქმევინა არა სიძულვილმა, არამედ ეჭვიანობამ, მაგრამ ისინი ღრმად ჩასწვდა სციპიონის გულსო.

მასინისამ და ლელიუსმა დაიპყრეს მთელი დასავლეთ ნუმიდია. დაბრუნებისთანავე სციპიონმა დაიბარა მასინისა და განუცხადა, რომ მისმა საქციელმა სოფონიბესთან დაკავშირებით ჩრდილი მიაყენა რომაელთა მეგობრის სახელს. რომაელმა სარდალმა ერთხელ კიდევ აუხსნა მასინისას ის ჭეშმარიტება, რომ გამარჯვებულის საკუთრება იყო არა მხოლოდ სიფაქსი, მისი ტახტი და ქალაქები, არამედ სიფაქსის მეუღლეც, რომელიც რომში უნდა წაეყვანათ, რადგან მხოლოდ რომის სენატს და ხალხს უნდა გადაეწყვიტა მათი მომავალი. მან გააფრთხილა მასინისა, რომ ამ ერთადერთი შეცდომით არ დაეჩრდილა თავისი გმირობა და დამსახურება.

როცა სციპიონს უსმენდა, გაფითრებული მასინისა ცრემლებს იწმენდდა. მან აღუთქვა სციპიონს, რომ ყოველთვის მისი მსახური იქნებოდა, თუკი ანგარიშს გაუწევდა მის მიერ სოფონიბესთვის შეცემულ პირობას. როცა სციპიონმა ამაზე დუმილით უპასუხა, იგი მიხვდა, რომ მისი და სოფონიბეს ერთად ყოფნა შეუძლებელი

ოყო. ნუმიდიელი ბელადი ჩაიკეტა თავის კარავში და იქ დიდხანს ფიქრობდა, მერე დაუძახა თავის ერთგულ მონას, რომელსაც ყოველი შემთხვევისათვის საწამლავი თან დაჰქონდა, უბრძანა, რომ საწამლავი ღვინოში გაეხსნა და მიეტანა სოფონიბესთვის. თან დააბარა ეთქვა, რომ ყოველგვარი ცდის მიუხედავად, ვერ იხსნა იგი და ვერ შეუსრულა პირობა. მაგრამ ასრულებს მეორე ფიცს — ცოცხალს არ ჩაუგდებს ხელში რომაელებს.

მონამ ზუსტად მოახსენა დანაბარები სოფონიბეს.

— მადლობელი ვარ ამ საქორწინო საჩუქრისათვის, რადგან სხვა ვერაფრით ვერ შეძლო მასძნისამ მისი მეუღლის გახარება. ოღონდ იმასაც ახსოვდეს, რომ დღეს უფრო იოლად მოვკვდებოდი, სამარის პირას ეს უკანასკნელი ქორწინება რომ არ მომხდარიყო.

და ისე, რომ წარბიც არ შეუხრია, საწამლავით სავსე ფიალა ბოლომდე შესვა[171].

კართაგენელებმა საზავო მოლაპარაკება გამართეს სციპიონთან. ამოსავალ პუნქტად მათ წამოაყენეს Status quo ante bellum. თან ჰანიბალს შეუთვალეს იტალიიდან დაბრუნებულიყო.

საზავო მოლაპარაკება დამთავრდა ხელშეკრულებით, რომელიც რომაელმა ხალხმა და სენატმა დაამტკიცა. კართაგენი კარგავდა აფრიკის გარეთ მდებარე ტერიტორიებს, იხდიდა დიდ კონტრიბუციას და თმობდა ფლოტს. მაგრამ ამ დროს ჰანიბალი დაბრუნდა იტალიიდან და მდგომარეობა ისევ შეიცვალა.

ჰანიბალის დაბრუნება იტალიიდან. ზამასთან ბრძოლა

იტალიაში ჰანიბალთან გამოცხადდნენ ელჩები, რომელთაც ჰანიბალს გადასცეს კართაგენის სენატის ბრძანება იტალიიდან დაბრუნების შესახებ. ეს მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის შესანიშნავი შემთხვევა იყო. კართაგენელი სარდალი კარგად ხედავდა, რომ რომის სასწორი იტალიაში აშკარად გადაიხარა რომაელებისაკენ; მაგრამ ჰანიბალს არ გაუმჟღავნებია გულისნადები. ტიტუს ლივიუსი გადმოგვცემს: „როდესაც ელჩებს უსმენდა, ჰანიბალი კვნესოდა, კბი-

---

[171] ტ ი ტ უ ს ლ ი ვ ი უ ს ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 366—368.

ლებს აღრეიალებდა და ლამის ტიროდა... ჰანიბალი დაამარცხეს, — ამბობდა ის, — მაგრამ რომაელმა ხალხმა კი არა, —მათი გამკლავება მან შეძლო, ის დაამარცხა კართაგენის სენატმა, მისმა მზაკვრობამ და შურიანობამ"[172]. ჰანიბალი მიუთითებდა იმ სიხარულზე, რომელსაც რომაელებში იტალიიდან მისი წასვლა გამოიწვევდა „მაგრამ — უფრო გახარებული იქნება ჰანონი, რომელიც მზად არის დაღუპოს მთელი კართაგენი, ოღონდ როგორმე ბოლო მოუღოს ჰამილკარ ბარკას გვარსო"[173].

ამის შემდეგ სარდალმა თავისი ჯარი გემებში ჩასხა. მოკავშირე მებრძოლების ის ნაწილი, რომელმაც არ ისურვა მასთან ერთად იტალიიდან წასვლა, დაახოცვინა, ან ტყვედ აქცია. ჰანიბალის მიერ განხორციელებული ეს აქტი, ცხადია, ჩრდილს აყენებს მას. დახოცა და ტყვედ აქცია ადამიანები, რომლებიც მასთან ერთად ინაწილებდნენ მძიმე ლაშქრობის ხვედრს. მაგრამ აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმავე მებრძოლებს, რომლებიც გუშინ კართაგენელთა მხარეზე იბრძოდნენ, ხვალ რომაელები ჰანიბალის წინააღმდეგ გამოიყენებდნენ. ისე რომ, კართაგენელი სარდლის ეს მოქმედება მხოლოდ მისი „პუნიკური მუხანათობით" როდი უნდა ავხსნათ.

ჰანიბალმა ჯარი ლიბიაში, ლეპტისში გადმოსხა. დიდი ხნის განშორების შემდეგ იგი სამშობლოში დაბრუნდა.

ჰანიბალის ჩამოსვლამ კვლავ ასწია სამხედრო პარტიის პრესტიჟი და კართაგენელთა საბრძოლო აღტკინება გამოიწვია. „დავიწყებას მიეცა უკანასკნელი დამარცხებანი; ისევ აკიაფდა გამარჯვების იმედი. კართაგენელებს ბრმად სჯეროდათ ჰანიბალის გენიისა და ვერ გრძნობდნენ, რომ მისი ნიჭი ფუჭი იყო მოვლენათა მსვლელობის კანონზომიერებათა წინაშე"[174].

პოლიბიოსის გადმოცემით ჰანიბალი და სციპიონი ერთმანეთს შეხვედრიან.

ჰანიბალს შემდეგი სიტყვებით მიუმართავს სციპიონისათვის:

„რადგან ჩვენ პირველი დავა და ომი ჯერ სიცილიის, ხოლო შემდეგ იბერიის გამო წამოვიწყეთ, რადგან, ბოლოს, ჩვენ, ბედის

---

172 ტიტუს ლივიუსი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 370.

173 იქვე, გვ. 370.

174 ლევან სანიკიძე. ანტიკური ქვეყნების ისტორია, პუნიკური ომების ეპოქა, თბილისი ,1963, გვ. 154.

უკუღმართობით მაინც შეუგონებელნი, იმდენად დავბრმავდით, რომ ერთ-ერთ ჩვენგანს ადრე ემუქრებოდა, ხოლო მეორეს ახლა ემუქრება მშობლიური მიწა-წყლის დაკარგვის საფრთხე,— ამიტომ აწმყო შუღლს ბოლო უნდა მოვუღოთ, თუკი ამას ღმერთები ინებებენ. მე მზად ვარ ხელი ავიღო მტრობაზე, რადგან გამოცდილებამ შემაგნებინა, რაოდენ მუხთალია ბედი, თუ რაოდენ მცირე მიზეზის გამო განგება გადამწყვეტ გამარჯვებას ანიჭებს ან ერთ, ან მეორე მხარეს და ჩვენ უგონო ბალღებივით გვათამაშებს. ოღონდ, პუბლიუს, ძლიერ ვშიშობ, რომ შენ არ დაჰყვები ჩემს რჩევას, მიუხედავად იმისა, რომ ჭეშმარიტებას მოგახსენებ, რადგან ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ, და შენს საქმეებს როგორც იბერიაში, ასევე ლიბიაში სასურველი დასასრული ჰქონდა. ამიტომ ბედის უკუღმართობა აქამდე საკუთარ თავზე არ გამოგიცდია. მაგრამ აი შენს წინაშეა ადამიანის ბედის ერთი ნათელი მაგალითი, შორეულ წარსულიდან კი არა — აწმყოდან: იგივე ჰანიბალი, რომელიც კანასთან ბრძოლის შემდეგ თითქმის მთელი იტალიის მფლობელი გახდა, ელვისებურად მიადგა რომს და მისგან 40 სტადიონის დაშორებით დასცა ბანაკი, მოიწვია საბჭო იმის თაობაზე, თუ როგორ მოგქცეოდათ თქვენ და თქვენს ქალაქს. ახლა მე ლიბიაში ვარ, შენს წინაშე, რომაელთან, ჩემი და კართაგენელთა სიცოცხლის თაობაზე მოსალაპარაკებლად. გირჩევ, დაიხსომო ბედის ეს სიმუხთლე და სიამაყემ არ აღგაზევოს, მიიღე ჩვეულებრივი მოკვდავის შესაფერისი გადაწყვეტილება, ესე იგი, ყოველთვის აიღე მეტი სიკეთისაგან და მცირე ბოროტისაგან. ნუთუ წინდახედულ ადამიანს კეთილი ნებით შეუძლია ამჯობინოს ზავს ისეთი ომი, რომელიც შენ გელის? მით უმეტეს, რომ გამარჯვების შემთხვევაშიც კი ვერ განადიდებ ვერც შენს სახელს, ვერც შენს ქვეყანას, და თუ დამარცხდი, საკუთარი ხელით დაღუპავ აქამდე მოპოვებულ დიდებასა და პატივს. რა არის, ბოლოს და ბოლოს, ჩემი სიტყვის დედააზრი?

ყოველივე, რის გამოც ჩვენ რომაელებს ვებრძოდით, ეკუთვნოდეს რომაელებს, კერძოდ, სიცილია, სარდინია, იბერია; და კართაგენელები ნურასოდეს დაიწყებენ ომს რომაელების წინააღმდეგ ამ მიწების გამო; რომაელებსვე ეკუთვნოდეთ ყველა სხვა კუნძული, რომლებიც მდებარეობენ იტალიასა და ლიბიას შორის. ასეთი პირობებით დადებული ხელშეკრულება, ამაში ღრმად ვარ დარწმუ-

ნებული, სრულიად სამართლიანად დაიცავს კართაგენელთა უშიშროებას მომავალში, ხოლო შენ, აგრეთვე ყველა რომაელს, უსაზღვრო დიდების შარავანდედით შეგამკობთ"[175].

პოლიბიოსი გადმოგვცემს სციპიონის პასუხს. მასში ნათქვამია, რომ რომაელებმა კი არა, კართაგენელებმა გააჩაღეს ომი, რაც შესანიშნავად იცის ჰანიბალმა. რომის სენატი და ხალხი აღაშფოთა იმ მუხანათობამ, რაც კართაგენმა ჩაიდინა. „ჩვენ დავდეთ ხელშეკრულება, — ამბობს სციპიონი, — რომელშიც, გარდა იმისა, რაც შენ ჩამოთვალე, ნათქვამი იყო, რომ კართაგენელებს უსასყიდლოდ გეთავისუფლებინათ ყველა სამხედრო ტყვე, რომაელებისათვის გადაეცათ ბანიანი გემები, გადაეხადათ ხუთი ათასი ტალანტი და მიეცათ მძევლები"[176].

ამრიგად, მხარეებმა ვერავითარ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. იარაღს უნდა ეთქვა საბოლოო სიტყვა.

გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ზამასთან. ამ ბრძოლის მნიშვნელობის შესახებ პოლიბიოსი წერს: „გამარჯვებული გაბატონდებოდა არა მარტო ლიბიასა და ევროპაში, არამედ სხვა, მსოფლიოს აქამდე ჩვენთვის ცნობილ ქვეყნებშიც. მალე ასეც მოხდა"[177].

ზამასთან ბრძოლამ სამხედრო ხელოვნების ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაწერა, აქ პირველად იქნა გამოყენებული ეშელონისებური ტაქტიკა, რომლის გამოყენებისას მომდევნო მწკრივს ენიჭება დამოუკიდებელი მოძრაობის საშუალება, შეუძლია თავისუფლად იმოქმედოს ფლანგიდან, ზურგიდან.

* რომაელებმა ფლანგებზე განალაგეს ძლიერი ცხენოსანი ჯარი, რომელსაც ლელიუსი და მასინისა მეთაურობდნენ.

ჰანიბალმა მთელი ჯარის წინ სპილოები დააყენა. მათი რიცხვი 80-ზე მეტს შეადგენდა. ქვეითი ჯარის ფლანგებზე კი — კავალერია[178].

თითოეული მებრძოლი მხარის რიგებში 40 ათასი მებრძოლი იბრძოდა, მაგრამ კავალერიის მხრივ უპირატესობა სციპიონის მხა-

---

175 პ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი. ტ. II, გვ. 454—455.
176 ი ქ ვ ე, გვ. 455—456.
177 ი ქ ვ ე. გვ. 457.
178 ი ქ ვ ე. გვ. 458.



ბრძოლა ზ ამასთან.

რეზე იყო. ამიტომ ჰანიბალი ვარაუდობდა სპილოებითა და ქვეითი ჯარით მოეპოვებინა მტერზე გამარჯვება, ცხენოსან ჯარს კი უბრძანა გაეტყუებინა მტრის კავალერია რაც შეიძლება შორს, რათა მას ბრძოლისათვის ვერ მიესწრო.

ბრძოლა დაიწყო. ჰანიბალმა მეორე ხაზი ორად გაყო და შეუდგა რომაელთა ფლანგების გარშემოვლას, მაგრამ სციპიონმაც ასეთივე მოქმედებით უპასუხა. ისე რომ, ბრძოლამ ორი გაგრძელებული ხაზის ფრონტალური შეჯახების სახე მიიღო. კართაგენელები წარმატებით იბრძოდნენ, მაგრამ რომაელთა კავალერიამ ზურგიდან დაარტყა მტერს. კართაგენელთა დამარცხება გარდუვალი გახდა. „რომაელებმა მოკლულთა სახით 1500 კაცი დაკარგეს. კართაგენელთაგან 10 ათასზე მეტი დაეცა ბრძოლაში და ცოტა უფრო ნაკლები ტყვედ ჩავარდა"[179].

ჰანიბალი მცირერიცხოვანი ჯარით ჰადრუმეტუმში გაიქცა. იგი დამარცხდა, მაგრამ ამ დამარცხებას ოდნავადაც არ დაუჩრდილავს მისი სახელი, ზუსტად შენიშნავს ამის შესახებ ჰ. დელბრიუკი „ისტორია ორ უდიდეს მხედართმთავარს იცნობს, ჰანიბალსა და ნაპოლეონს, რომელთა სიდიადესაც სრულებით ვერ ჩრდილავს უკანას-

[179] ჰ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. II, გვ. 462.

ანელი მარცხი. მათი დიდების წინაშე ისტორია ყოველთვის განიცდიდა ცდუნებას განესაჯა მათი დამამარცხებელნი უფრო მკაცრად, ვიდრე თვით ისინი, რათა არ შექმნილიყო ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს გამარჯვებული დამარცხებულზე მაღლა დგას"[180].

ზამა ომის დასრულების საბაბად იქცა. სციპიონის მიერ 203 წელს წამოყენებულ პირობებს დაემატა შემდეგი მუხლები: კართაგენს უფლება არ ჰქონდა რომაელების დაუკითხავად დაეწყო ომი. მასინასას სამეფო უნდა აღმდგარიყო და მისთვის უნდა დაებრუნებინათ წინაპართა ტერიტორიები. კართაგენელებს უნდა გადაეცათ რომაელებისათვის ტყვეები, ყველა ხომალდი და სპილო, უნდა შეენახათ რომის საოკუპაციო არმია 3 თვის განმავლობაში და გადაეხადათ კონტრიბუცია 10 ათასი ტალანტის რაოდენობით 50 წლის განმავლობაში. კართაგენელებს უფლება ეძლეოდათ ემართათ ლიბიის ქალაქები, რომელნიც მათ ემორჩილებოდნენ, „იცხოვრებდნენ საკუთარი კანონებით და ადათებით, არ ეყოლებოდათ ჩაყენებული რომაული გარნიზონი"[181].

ზავი ერთადერთი გამოსავალი იყო, ასე ესმოდა შექმნილი მდგომარეობა ჰანიბალსაც. მაგრამ კართაგენში მას აღმოუჩნდნენ მოწინააღმდეგენიც.

ტიტუს ლივიუსი გადმოგვცემს, რომ როცა ელჩებმა სახალხო კრებას გააცნეს გამარჯვებულთა მოთხოვნები, ერთ-ერთი წარჩინებული მოქალაქე, სახელად ჰისგონი, გამოვიდა სახალხო კრებაში და მოითხოვა, რომ უარი ეთქვათ ასეთ დამამცირებელ ზავზე. აღელვებული და შეძრწუნებული ხალხი მას უსმენდა და მხარი დაუჭირა. მაგრამ ჰანიბალმა მიირბინა ორატორის კათედრასთან, ხელი ჩაავლო მხრებში ჰისგონს და თავდაღმა უბიძგა. ამ ამკარა, თავისუფალ სახელმწიფოში მანამდე გაუგონარმა ძალადობამ აღაშფოთა კრება, ხალხი მრისხანედ აგუგუნდა, შეწუხებულმა და აღგზნებულმა ჰანიბალმა თავის მართლება დაიწყო:

— ცხრა წლისა ვიყავი, — დაიწყო მან, — როცა სამშობლოს გამოვეთხოვე და მისგან მოშორებით გავატარე ოცდათექვსმეტი წელი. სამხედრო ხელოვნებას, მე მგონი, კარგად დავეუფლე, მაგრამ სამოქალაქო წესები და კანონები თქვენ უნდა მასწავლოთ.

---

[180] ჰ. დ ე ლ ბ რ ი უ კ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 312.

[181] ბ ო ლ ი ბ ი ო ს ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. II, გვ. 465.

მან ბოდიში მოუხადა ჰისგონს, მერე კიდევ გაიმეორა თავისი მოსაზრებანი და ამტკიცებდა, რომ კართაგენისათვის ჰაერივით საჭირო იყო ზავი, როგორი უსამართლოც უნდა ყოფილიყო ის[182].

საზავო ხელშეკრულება 201 წელს რატიფიცირებულ იქნა რომში. სციპიონს ბრწყინვალე ტრიუმფი გადაუხადეს.

კ. მარქსი მეორე პუნიკურ ომში კართაგენელების დამარცხების შესახებ წერდა: „...რომაელების გადასხმა აფრიკაში II პუნიკური ომის დროს მხოლოდ მას შემდეგ შეიქნა შესაძლებელი, რაც კართაგენის არმიის საუკეთესო ნაწილი მოისპო ესპანეთსა და იტალიაში, ხოლო პუნიკური ფლოტი გაძევებული იქნა ხმელთაშუა ზღვიდან; თავდასხმა თავდასხმა კი არ იყო, არამედ მეტად სოლიდური ოპერაცია, რომელიც ხანგრძლივი და რომისათვის კეთილსასურველი ომის სრულიად ბუნებრივ დამთავრებას წარმოადგენდა"[183].

ამრიგად, რომმა გაიმარჯვა. მისი ფედერაცია უფრო ხალხმრავალი, მტკიცე, ერთიანი და ეკონომიკურად ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე კართაგენის კოლონიური იმპერია. ჰანიბალის გეგმა, რომელიც ნავარაუდევი იყო რომის ფედერაციის ერთიანობის სისუსტეზე, ჩაიფუშა; რომაელ მებრძოლთა მორალური დონე უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე კართაგენისა, რადგან ომის უმეტესი ხნის განმავლობაში რომაელები თავიანთი დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ.

ვ. ი. ლენინი, როცა მიუთითებდა ომში ძირითად მოქმედ ფაქტორებზე, წერდა: „ომში იმარჯვებს ის, ვისაც მეტი რეზერვები ჰყავს, ძალის მეტი წყაროები აქვს, მეტი გამძლეობა აქვს ხალხის სილრმეში"[184].

II პუნიკური ომი რომის მონათმფლობელური რესპუბლიკის უდიდესი გამოცდა იყო. მისმა მატერიალურმა და სულიერმა ძალებმა წარმატებით ჩააბარეს ეს გამოცდა. ომში დროებითად მოქმედმა ფაქტორებმა ჰანიბალს გადამწყვეტი გამარჯვება ვერ მოუპოვა. კართაგენელმა ომის ხელოვანმა, ისარგებლა მოულოდნელობით და თავისი ჯარის დროებითი უპირატესობით მან მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, მაგრამ საბოლოოდ დამარცხდა.

---

182 ტიტუს ლივიუსი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 380.

183 ს. ი. კოვალიოვი, მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ. გვ. 41—42.

184 ვ. ი. ლენინი, ტ. 30, გვ. 72.

„ყოველ ომში, — წერს ვ. ი. ლენინი, — გამარჯვება საბოლოო ანგარიშით განპირობებულია იმ მასების სულისკვეთების მდგომარეობით, რომელნიც ბრძოლის ველზე ღერიან თავიანთ სისხლს. ომის სამართლიანობაში დარწმუნება, თავის თანამოძმეთა საკეთილდღეოდ საკუთარი სიცოცხლის განწირვის აუცილებლობის შეგნება ამხნევებს ჯარისკაცებს და აიძულებს მათ გადაიტანონ გაუგონარი სიმძიმეები...

მასების მიერ ომის მიზნებისა და ამ მიზნების შეგნებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ეს უზრუნველყოფს გამარჯვებას"[185].

ფრ. ენგელსი შეფასებას აძლევს ომში სახელმწიფოთა ეკონომიკურ მდგომარეობას და გენიალურ მხედართმთავართა როლს. იგი წერს, რომ ძალას განსაზღვრავს სახალხო მეურნეობის მდგომარეობა და არაფერი ისე არ არის დამოკიდებული ეკონომიკურ მდგომარეობაზე, როგორც არმია და ფლოტი. გენიალურ მხედართმთავართა გენია კი არ განსაზღვრავს ომის ბედს, არამედ კარგი იარაღის გამოგონება და ცვლილებანი არმიაში. გენიალურ მხედართმთავართა დიდ დამსახურებად ფრ. ენგელსს მიაჩნია ის, რომ გონივრულად შეუხამონ ერთმანეთს ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება, ერთი მხრივ და, მეორე მხრივ, ახალი იარაღი და ახალი ჯარისკაცები[186].

ჰანიბალის გენიამ კართაგენს გადამწყვეტი გამარჯვება ვერ მოუპოვა. რომს, მართალია, ომის დიდ მანძილზე არ ჰყავდა ისეთი ბრწყინვალე სარდალი, როგორიც ჰანიბალი იყო, მაგრამ მეორე პუნიკური ომის მსვლელობაში რომში გამოჩნდა უდავოდ ნიჭიერი სარდალი სციპიონ აფრიკელის სახით.

ჰეგელი სციპიონს იმ ბედნიერ ინდივიდუუმთა რიცხვს აკუთვნებს, რომლებიც დიდი საქმეებისათვის არიან მოწოდებულნი[187]. სციპიონმა შეძლო რომის არმიის სტრატეგია და ტაქტიკა შეეფარდებინა რომის დაუშრეტელი რეზერვებისა და ახალი ჯარისკაცებისათვის, რომელნიც ხანგრძლივი ომის შედეგად სახალხო მილიციელებიდან კადრის ჯარისკაცებად იქცნენ.

---

[185] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 31, გვ. 154.

[186] ფრ. ე ნ გ ე ლ ს ი, დასახელებული ნაშრომი, ტ. 1, გვ. 169—170.

[187] ჰ ე გ ე ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 290.

რომმა გაიმარჯვა იმიტომ, რომ მისი ეკონომიკა უფრო ძლიერი აღმოჩნდა კართაგენისაზე; წარმოების მონათმფლობელური წესი იქ ჯერ კიდევ არ შეიცავდა იმ გამწვავებულ წინააღმდეგობებს, რომლებიც კართაგენს ღრღნიდა. რომის პოლიტიკური წყობილება უფრო რეალურ საფუძველზე იდგა, ვიდრე კართაგენისა.

მეორე პუნიკურ ომს უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ომის შემდეგ ხმელთაშუაზღვეთის სახელმწიფოებს შორის რომის ჰეგემონობა განუყოფელი იყო. მისი დაპყრობითი პოლიტიკა ამიერიდან კიდევ უფრო აშკარა და აღვირახსნილი გახდა.

„მეორე პუნიკურმა ომმა, — წერს ჰეგელი, — დაამხო კართაგენის ძლიერება. ამ სახელმწიფოს სტიქია ზღვა იყო; მაგრამ ოდითგანვე არ გააჩნდა საკუთარი ტერიტორია, არ შეუქმნია ერი, და არ ჰყავდა ეროვნული არმია. მისი არმია დამორჩილებული და მოკავშირე ერების რაზმებისაგან შედგებოდა და მაინც ასეთი არმიით, რომელიც სულ სხვადასხვა ეროვნებისაგან შედგებოდა, დიდმა ჰანიბალმა კინაღამ დაამხო რომი. მან, ყოველგვარი დახმარების გარეშე, მხოლოდ თავისი გენიალობა დაუპირისპირა რომაელთა ამტანობასა და სიმტკიცეს იტალიაში 16 წლის განმავლობაში; მართალია, ამ დროის მანძილზე სციპიონებმა დაიპყრეს ესპანეთი და ურთიერთობა დაამყარეს აფრიკელ მეფეებთან. ბოლოს ჰანიბალი იძულებული გახდა წასულიყო თავისი სამშობლოს დასახმარებლად, რომელსაც საფრთხე დაემუქრა... და 36 წლის განშორების შემდეგ კვლავ იხილა მშობლიური ქალაქი, რომლისთვისაც თვითონ უნდა ერჩია ზავი. ამრიგად, მეორე პუნიკური ომის შედეგად დამყარდა რომის ურყევი ბატონობა კართაგენზე...“[188].

ზამასთან დამარცხების შემდეგ. ჰანიბალის სიკვდილი

ზამასთან დამარცხების შემდეგ ჰანიბალს იმედი არ გადაუწყვეტია. იგი რომის წინააღმდეგ ახალ ომზე ფიქრობდა, რომელშიც ელინისტური აღმოსავლეთის სახელმწიფოების ჩაბმის იმედი ჰქონდა. ჰანიბალის ფართო ჰორიზონტის გონება მაშინდელ მსოფლიოში

---

188 ჰ ე გ ე ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 289.

ხედავდა ძალებს, რომლებიც ანტირომაულ გაერთიანებაში უნდა ჩაება.

ჩანს, სამხედრო პარტია და დემოკრატია კართაგენში კვლავ ძლიერი იყო, რადგან ზამას ბრძოლის შემდეგ ჰანიბალს სამხედრო ხელმძღვანელად ეხედავთ. მან წესრიგში მოიყვანა მთელი ის ტერიტორია, რომელიც ხელშეკრულების შემდეგ კართაგენელთა ხელში აღმოჩნდა. მაგრამ მტრები დიდხანს ვერ მოითმენდნენ მის ყოფნას კართაგენის შეიარაღებული ძალების სათავეში, ამიტომ გადაინაცვლა ქვეყნის სამეურნეო და ფინანსურ საქმეებზე.

ჰანიბალმა თავისი მოქმედება აგრარული პარტიის მსხვილი მესაკუთრეების წინააღმდეგ მიმართა, მოაწესრიგა სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობა და სასამართლო საქმეები. მან, როგორც უმაღლესმა მოსამართლემ, მოითხოვა რესპუბლიკის ხაზინადარს პასუხი გაეცა ხაზინის საქმიანობის შესახებ. ხაზინადარმა უარი განაცხადა. ჰანიბალმა აიძულა იგი ტრიბუნალში გამოცხადებულიყო. ეს კი ნიშნავდა ასთა საბჭოს წინააღმდეგ გალაშქრებას, რადგან ხაზინადარი მისი წევრი იყო. ჰანიბალი ამაზე არ შეჩერებულა და გადაწყვიტა სახალხო კრებაზე დაყრდნობით გაეტარებინა კანონი, რომლის მიხედვითაც 100-ის საბჭო ყოველ წელიწადს უნდა გადარჩეულიყო. ეს აქცია პირდაპირ იყო მიმართული ამ საბჭოში მოკალათებული ჰანონის პარტიის წევრთა წინააღმდეგ.

კართაგენელი სარდალი განაგრძობდა ქვეყნის გაჯანსაღების კურსს. მან გაწმინდა საბაჟო მმართველობა და ქვეყნის ხაზინის გასავალ-შემოსავალი მკაცრ კანონს დაუმორჩილა.

ჰანიბალის ცხოვრების ეს პერიოდი დაუდო საფუძვლად პროგრესულმა ინგლისელმა მწერალმა ჯ. ლინდსეიმ თავის რომანს. ნაწარმოების წინათქმაში ა. სარუხანიანი წერს: „კართაგენის ისტორია ლინდსეისათვის იმის კლასიკური მაგალითია, თუ მმართველი კლასები რა იოლად ღალატობენ სამშობლოს, როცა იქ იმარჯვებენ დემოკრატიული ძალები“[189]. თვით ლინდსეი კი რომანის შესახებ წერს, ამ ისტორიის ხასიათი ისე საოცრად გავს თანამედროვე ევროპის სტილს, რომ მკითხველს შეიძლება ეჭვი შეეპაროს, თითქოს შე გამოვიგონე ფაქტები. მაგრამ ამაში მკითხველმა მე კი არ უნდა

---

[189] Джек Линдсей. Ганнибал. Перевод с английского И. Ермашевой. М., 1962 г., с. 9.

დამდოს ბრალი, არამედ მმართველი კლასების უცვლელ ბუნებას[190].

მწერალი უარყოფს ზოგიერთი ისტორიკოსის აზრს, ვითომცდა კართაგენელები მხოლოდ გამდიდრების სურვილით შეპყრობილი ფილისტერები იყვნენ და წერს, რომ ასეთი ხალხი ვერ წარმოშობდა ჰანიბალის მსგავს სარდალს, ვერ გამოიჩენდა ბრწყინვალე თვისებებს ზღვაოსნობაში. ფილისტერს არ შეუძლია ისე უყვარდეს მიწა, როგორც უყვარდათ იგი კართაგენელებს, რომლებმაც დაგვიტოვეს მაგონის შესანიშნავი ტრაქტატი. დაბოლოს, არც ერთ ხალხს, თუკი ის ფილისტერებისაგან არის შემდგარი, არ შეუძლია ისეთი თავგანწირვით იბრძოლოს, როგორც იბრძოდნენ კართაგენელები[191]. რომანის ერთ-ერთი გმირი ბარაკი ჰანიბალს ალექსანდრე მაკედონელს ადარებს, ხოლო ჰანიბალი თავისი ეპოქის უდიდეს პროგრესულ მოაზროვნედ წარმოგვიდგება. მონობა ბოროტებაა, მხოლოდ შეგობრობაშია ნამდვილი სათნოებაო, ამბობს ლინდსეისეული ჰანიბალი[192].

ეპოქის ღრმა ცოდნით აგვიწერს ავტორი ჰანიბალის სუფეტად ყოფნის დროს ოლიგარქიის მიერ მოწყობილ ხრიკებს. საკმარისი იყო ჰანიბალს რაიმე დოკუმენტი მოეთხოვა, რომ უპასუხებდნენ, დაიკარგა, ან განადგურდა, ანდა საერთოდ არ არსებობდაო. რომელი საქმის გამოძიებასაც ხელი მოჰკიდა, უთხრეს, მოხელე, რომელიც ამ საქმეს იძიებდა, გარდაიცვალაო. უკანასკნელი წლის განმავლობაში რამდენიმე ხანძარი გაჩნდა, რომლებმაც მნიშვნელოვანი დოკუმენტები გაანადგურეს. თანამდებობის მოხელეები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ხელი შეეშალათ გამოძიებისათვის. ჰანიბალს ეჭვი ჰქონდა, — წერს ლინდსეი, — რომ აღმოაჩენდა კორუფციას, და როგორც მის შედეგს არსებული მმართველობის სისტემის სრულ უვარგისობას დაამტკიცებდა, მაგრამ სახელმწიფო აპარატი თუ ასე იქნებოდა გადაქცეული მმართველ ოჯახების გამდიდრების საშუალებად, ამას ვერ წარმოიდგენდა. მისთვის ნათელი შეიქნა, რომ კორუფციამ თავიდან ბოლომდე გააჩანაგა მთელი სახელმწიფო აპარატი. ასთა საბჭოს მთავარი მიზანი იყო გაბატონე-

---

190 დ. ლ ი ნ დ ს ე ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 16.
191 ი ქ ე ვ ე, გვ. 20.
192 ი ქ ვ ე, გვ. 60.

«ბული ოჯახების მდგომარეობისა და ისეთი წყობის შენარჩუნება, როდესაც ყველა გადასახადი და ბაჟი დაეკისრებოდათ წვრილ ვაჭრებს, მრეწველებს, მიწათმოქმედებსა და ხელოსნებს. იმისათვის, რომ მმართველ ოჯახებს ასეთი ხელსაყრელი პირობები შექმნოდათ, საჭირო იყო სახელმწიფო აგენტებისა და თანამდებობის პირების განშტოებული ქსელი. ისინი ყველანი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული, რადგან დატაცებისა და ქრთამის აღების ფართო საშუალება ეძლეოდათ[193].

ჰანიბალი დიდხანს ვერ დარჩებოდა კართაგენში. მის წინააღმდეგ, თავის მხრივ, აქტიური საქმიანობა გააჩაღა აგრარულმა პარტიამ, რომელსაც რომში ძლიერი მომხრეები ჰყავდა. ჩანს, ამ პარტიამ რომაელთა ყურადღება გაამახვილა ჰანიბალის რომის საწინააღმდეგო გეგმებზე და რომმა, ვითომდა რესპუბლიკასა და მასინისას შორის დავის მოსაწესრიგებლად, კართაგენში ელჩობა გაგზავნა, რომელსაც ხელთ უნდა ეგდო ჰანიბალი. მაგრამ კართაგენელმა სარდალმა დაასწრო და 195 წელს დატოვა სამშობლო. კართაგენის სენატმა ჰანიბალი სამშობლოს მტრად გამოაცხადა. მის მთელს ქონებას კონფისკაცია უყვეს, სახლი დაუნგრიეს და ნაცარტუტად უქციეს. ლტოლვილ სარდალს ორი ხომალდი გამოუყენეს მდევრად. მაგრამ ჰანიბალი უკვე მიუწვდომელი იყო. ჯერ მან შეიარა კუნძულ კერკინაზე, შემდეგ ტვიროსში გაჩერდა ცოტა ხანს. აქ დიდის ზეიმით მიიღეს როგორც ეროვნული გმირი და შემდეგ გასწია სირიისაკენ, სადაც ამ დროს ანტიოქე III მეფობდა. გენიალური სარდალი ფიქრობდა სირიის მეთაურობით რომის წინააღმდეგ გაეერთიანებინა ელინისტური აღმოსავლეთი. მაგრამ ჰანიბალის ეს გეგმა არარეალურ ნიადაგზე იდგა.

სირია ანტიოქე III-ის (223—187 წწ.) დროისათვის განთქმული ხელევკიდების სახელმწიფოს აჩრდილს წარმოადგენდა. ამ დროისათვის მას ჩამოსცილდა: ბითვინია, კაპადოკია, პონტო, პერგამონი და სხვა სახელმწიფოები. ანტიოქეს კარზე თავაზიანად მიიღეს სახელგანთქმული სარდალი.

პირველ სირიულ ომში (192—189 წწ.) ანტიოქემ რომაელების წინააღმდეგ ბრძოლაში თავდაპირველად გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ მისი ვარაუდი, რომ ზმელთაშუაზღვეთის

---

[193] ჯ. ლინდსეი, დასახელებული რომანი, გვ. 96—97.

ყველა სახელმწიფო გაერთიანდებოდა მის გარშემო, არ გამართლდა. ზოგიერთი პირიქით მოიქცა. მაკედონია და აქეის კავშირი რომაელთა მხარეზე გადავიდნენ. ასევე მოიქცნენ პერგამოსის მეფე ევმენოს II, როდოსელები, ქიოსელები, სამოსელები. ამას ზედ დაერთო ანტიოქე. მესამის მოუქნელი და დაუყვირვებელი მოქმედება. კორნელიუს ნეპოტის მიხედვით „ჰანიბალი კარგად ხედავდა, რომ ანტიოქე ერთობ არაოსტატურად იქცეოდა"[194]. ანტიოქემ იმის მაგივრად, რომ მთელი ძალით გამოეყენებინა ჰანიბალის დიდი სამხედრო ნიჭი და მისი უდიდესი გამოცდილება, ჩამოაშორა იგი ძირითად ბრძოლებს და მეორეხარისხოვანი ოპერაციების სარდლობა მიანდო. მაგალითად, ჰანიბალს დავალებული ჰქონდა ერთ-ერთი ესკადრის ხელმძღვანელობა იმ ფლოტის შემადგენლობაში, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა რომაელთა ფლოტის წინააღმდეგ ბრძოლა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ პატივმოყვარე მეფე შიშობდა ჰანიბალს არ დაეჩრდილა მისი სახელიო.

190 წელს მაგნეზიასთან ბრძოლაში ანტიოქე III დამარცხდა. აზიის დიდი ნაწილი ტავრამდე რომაელთა ხელში გადადიოდა. რომაელებმა ანტიოქესთან დადებულ ხელშეკრულებაში სპეციალურ პუნქტად შეიტანეს საკითხი ჰანიბალის გაცემის შესახებ. მასში ნათქვამია: „ანტიოქე ვალდებულებას კისრულობს, თუ მისთვის შესაძლებელი იქნება, გასცეს კართაგენელი ჰანიბალი"[195].

ლტოლვილი სარდლის გაჩერება სირიაში აღარ შეიძლებოდა. იგი კუნძულ კრეტაზე წავიდა, მაგრამ ვერც იქ ჰპოვა სასურველი გარემო და წასვლა არჩია ბითვინიის მეფე პრუსიასთან, რომელსაც ბრძოლა ჰქონდა რომაელების მეგობარ ევმენოსთან, პერგამოსის მეფესთან. ნეპოტის გადმოცემით, ჰანიბალმა პერგამოსელებთან ბრძოლაში შხამიანი გველები გამოიყენა, რომლებიც ქოთნებში ჰყავდათ ჩამწყვდეული ბითვინიელებს.

ბითვინიელთა გამარჯვებებმა რომაელთა ყურადღება მიიქცია. მათ დაინახეს, რომ ბითვინიელთა არმიას გამოცდილი სამხედრო პირი ხელმძღვანელობდა. მალე კი დარწმუნდნენ, რომ პრუსიასის არმიას ჰანიბალი სარდლობდა. რომაელებმა პრუსიასთან გაგზავნეს

---

194 Корнелий Непот. Жития славных генералов. Перевод с латинского Василия Лебедева, С.-Петербург, 1748, кн. XXIII, 8.

195 პოლიბიოსი, დასახელებული ნაშრომი, ტ. II, გვ. 694.

ტიტუს ფლამინინუსი—გამოცდილი, ეშმაკი, პატივმოყვარე ადამიანი[196]. პლუტარქეს გადმოცემით, იგი სენატმა ბითვინიაში მიავლინა სულ სხვა საქმეების გამო, მაგრამ შეიტყო თუ არა იქ ჰანიბალის ყოფნის შესახებ, გადაწყვიტა მისი თავიდან მოშორება. ამ დროისათვის ჰანიბალი ბითვინიის ზღვისპირა სოფელ ლიბისოში ცხოვრობდა. იგი თურმე მაინც არ ენდობოდა თავის მფარველ მეფეს და თავისი სახლიდან რამდენიმე საიდუმლო ხვრელი გაუკეთებია. როდესაც გაუგია ფლამინინუსის ბრძანების შესახებ, ჰანიბალს გაპარვა მოუნდომებია, მაგრამ, ჩანს, გაცემული ყოფილა და ვეღარ მოუხერხებია. იმედდაკარგულმა მოხუცმა რომაელთა ტყვეობას სიკვდილი არჩია და საწამლავი შესვა, რომელსაც იგი სულ თან ატარებდა. პლუტარქეს გადმოცემით, ჰანიბალს შემდეგი სიტყვები წარმოუთქვამს სიკვდილის წინ: „მე ავაცილებ უდიდეს საზრუნავს რომაელებს, რომლებისთვისაც მძიმე და მოსაბეზრებელი იყო ეცლიათ საძულველი მოხუცისათვის სიკვდილი. მაგრამ ტიტუსის გამარჯვება შესაშური როდია. იგი უღირსი მემკვიდრეა თავისი წინაპრებისა, რომელთაც თავიანთ მტერსა და დამამარცხებელს პიროსს აცნობეს, რომ მისთვის გამზადებული საწამლავი არ დაელია"[197].

პლუტარქე ლიბისოში მცხოვრებ ჰანიბალს „სიბერისაგან ფრთაშემოძარცულ მოშინაურებულ ჩიტს"[198] ადარებს, რომელიც ტიტუს ფლამინინუსის პატივმოყვარეობის შსხვერპლი შეიქნა. ცხადია, აქ პლუტარქე აჭარბებს. ჰანიბალი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე რომაელთა საშიში მტერი იყო და მათთვის გარკვეული ზიანის მიყენება ყოველთვის შეეძლო. ამიტომ არ შეიძლება, რომ რომის მმართველი წრეები მისი ფიზიკური მოსპობით დაინტერესებული არ ყოფილიყვნენ. ამ მისიის შესრულება მათ ტიტუს ფლამინინუსს დაავალეს, რომელმაც იგი სისრულეში მოიყვანა.

ასე დაამთავრა თავისი სიცოცხლე ჰანიბალმა, გენიალურმა კართაგენელმა სარდალმა, რომლის სახელიც ისტორიამ დიდების შარავანდედით შემოსა.

---

196 პ ლ უ ტ ა რ ქ ე. დასახელებული ნაშრომი, ნაწ. V, გვ. 303.
197 ი ქ ვ ე, გვ. 302—303.
198 ი ქ ვ ე, გვ. 303.

ამის შემდეგ კართაგენი კვლავ მომძლავრდა, მაგრამ ძველის აჩრდილილა იყო. თუმცა რომაელებს იგი მაინც განსაკუთრებით აღიზიანებდა. საბოლოოდ რომმა სისრულეში მოიყვანა კატონის სიტყვები: „კართაგენი უნდა დაინგრეს!“ კარგად შენიშნავს ამის თაობაზე ჰეგელი:

„კართაგენი კვლავ გაძლიერდა და რომაელთა შური გამოიწვია. დიდი ხნის წინააღმდეგობის შემდეგ იგი აიღეს და გადაწვეს... კართაგენის დამზობა და საბერძნეთის დაპყრობა ის გადამწყვეტი მომენტები იყო, რომლებსაც უკავშირდება რომაელთა ბატონობის განვრცობა“[199].

ჰანიბალი დამარცხდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი, როგორც სარდლის, გენიალობა თანამედროვეებმა და მომდევნო თაობებმა უდავოდ აღიარეს.

პლეხანოვის აზრით, პიროვნებებს შეუძლიათ გარკვეული ზეგავლენა მოახდინონ საზოგადოებაზე, ზოგჯერ ფრიად მნიშვნელოვანიც: „პიროვნების ხასიათი, — წერს პლეხანოვი, — საზოგადოებრივი განვითარების „ფაქტორს“ წარმოადგენს მხოლოდ იქ, მხოლოდ მაშინ და მხოლოდ იმდენად, სადაც, როცა და რამდენადაც მას ამის ნებას აძლევენ საზოგადოებრივი ურთიერთობანი“[200].

ჰანიბალის მაგალითი კიდევ ერთი ილუსტრაციაა იმისა, რომ პიროვნებებს „შეუძლიათ შეცვალონ მ ო ვ ლ ე ნ ა თ ა ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი ფ ი ზ ი ო ნ ო მ ი ა და მ ა თ ი ზ ო გ ი ე რ თ ი კერძო შედეგები, მაგრამ მათ არ ძალუძთ შეცვალონ მათი საერთო მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა, რომელსაც სხვა ძალები განსაზღვრავენ“[201].

ვ. ი. ლენინი პიროვნების როლის შესახებ ისტორიაში, წერდა: „ისტორიული აუცილებლობის იდეაც სრულიადაც არ უარყოფს პიროვნების როლს ისტორიაში: მთელი ისტორია შედგება სწორედ იმ პიროვნებათა მოქმედებისაგან, რომელნიც უეჭველად მოღვაწეები არიან“[202].

ჰანიბალი სწორედ ასეთი დიდი მასშტაბის მოღვაწე იყო.

---

199 ჰ ე გ ე ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 289—290.

200 გ. ვ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი, ისტორიაში პიროვნების როლის საკითხისათვის, სახელგამი, 1939, გვ. 37.

201 ი ქ ვ ე, გვ 41.

202 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. I, გვ. 176.

შინაარსი

წინათქმა .	3
წყაროები და ისტორიოგრაფია	5
ჰანიბალის საშობლო — კართაგენი	6
I პუნიკური ომიდან II პუნიკურ ომამდე. ჰანიბალის ფიცი.	18
ჰანიბალი კართაგენელთა ჯარის სათავეში	24
კანას ბრძოლა .	57
ომის მსვლელობა კანას შემდეგ	64
ჰანიბალი რომის კარიბჭესთან	70
მდგომარეობა ესპანეთში	76
ბრძოლა მეტავრასთან	84
ჰანიბალის დაბრუნება იტალიიდან. ზამასთან ბრძოლა	91
ზამასთან დამარცხების შემდეგ. ჰანიბალის სიკვდილი	99

რედაქტორი პროფ. გ. გოზალიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ნ. მიქაძე
გარეკანის მხატვარი ნ. პაპიაშვილი
მხატვრული რედაქტორი ე. სულთანიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მ. ოსიტაშვილი
უფ. კორექტორი ნ. დგებუაძე
კორექტორი ნ. დოლბაძე
გამომშვები ნ. დოგუზაშვილი

გადაეცა წარმოებას 2. III. 77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14. VII. 77 წ.
ქაღალდის ზომა 60×84 1/16; საბეჭდი ქაღალდი № 2. პირობითი ნაბეჭდი
თაბახი 6,28. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,52.
უე 00446 ტირაჟი 2000 შეკვეთა № 851
ფასი 18 კაპ.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, მარჯანიშვილის, 5
Издательство «Ганатлеба» Тбилиси, Марджанишвили, 5

1977

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19